


# საქართველოს იბლიოთეკა

სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდური ჟურნალი



ქართველთა შორის წერა-კითხვის  
გამავრცელებელი საზოგადოება -140



რაფიელ ერისთავი



ბიბლიოთეკის  
წარმატების რეცეპტი



ვახტანგ თულაშვილი



ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს; ჟურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაურიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება, როგორც ხელნაწერი, ასევე ელექტრონული ფორმით. ტექსტი უნდა იყოს აკრეფილი Sylfaen შრიფტით. გადმოიგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: [sakartvelosbiblioteka@gmail.com](mailto:sakartvelosbiblioteka@gmail.com)

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანოზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი            ალექსანდრე ლორია

სარედაქციო კოლეგია:        გურამ თაყნიაშვილი  
   გულნარა სტურუა  
   მაია მიქაბერიძე  
   მირიან ხოსიტაშვილი  
   რუსუდან ასათიანი

ყდის დიზანი                    გიგი გელაშვილი

ტექნიკური რედაქტორი    ლოლა სანაია

დაკაბადონება                გელა ბაბაკიშვილი

საქართველოს ბიბლიოთეკა №2(75) – 2019; გამოიცემა 2000 წლიდან.  
საავტორო უფლება: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ამ ჟურნალში გამოქვეყნებული ეკ. გაბაშვილის, ბ. ჯორჯაძის, ო. გურამიშვილის, დ. ერისთავის, ნ. ნაკაშიძის, ი. გოგებაშვილის, რ. ერისთავის და მამა გრ. ფერაძის ფოტოები აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა "ივერიელიდან".

## რ ე დ ა ქ ც ი ი ს ს ვ ე ტ ი

წინამდებარე ნომერი ტრადიციულად აგრძელებს თანამედროვე საბიბლიოთეკო პრაქტიკის აქტუალური საკითხების გაშუქებას. ჟურნალის შესავალ ნაწილში ვაქვეყნებთ ბიბლიოთეკების კვირეულის მასალებს. საჯარო ბიბლიოთეკების მიერ წარმოდგენილი ღონიძიებები გამოირჩევა სიახლეებით, შემოქმედებითი მიდგომებითა და ისეთი პრობლემების წარმოჩენით, სადაც ნათლად ჩანს მკითხველთა საინფორმაციო მოთხოვნები. მათი აქტიური მონაწილეობა საბიბლიოთეკო ღონისძიებებში. ისევე, როგორც წინა ნომერში, ამჯერადაც მკითხველს ვთავაზობთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საიუბილეო, 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილ მასალებს. აღნიშნული საზოგადოების ღვწალი და ამაგი საქართველოში განათლებისა და მნიგნობრობის განვითარების საქმეში საყოველთაოდ ცნობილია და ჯეროვნადაც არის გამოკვლეული. ჟურნალის ფურცლებზე ადგილს ვუთმობთ ამ საზოგადოების დამფუძნებელთა და ცნობილ მოღვაწეთა შესახებ ნაკლებად ცნობილ მასალებს.

ჟურნალში მკითხველი ინტერესით ეცნობა სტატიებსა და კორესპონდენციებს საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებში მიმდინარე ტექნოლოგიური სიახლეების და-

წერგვის შესახებ. ჟურნალის წინა ნომრები ჯეროვნად აშუქებენ საბიბლიოთეკო ქსელის მოდერნიზაციისა და ავტომატიზაციის პროცესებს, რომელსაც წარმართავს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია. ამავე რუბრიკით მკითხველი გაეცნობა მასალას, სადაც მოკლედაა დახასიათებული მკითხველთა ელექტრონული რესურსებით მომსახურება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

წინამდებარე ნომერი მკითხველს სთავაზობს იმერეთის მხარის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების შედარებით დახასიათებას. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შედგენილი სპეციალური ცხრილები რაოდენობითი მაჩვენებლებით ქმნიან მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების არასრულფასოვან სურათს, თუმცა ასეთი მაჩვენებლის გარეშე ვფიქრობთ შეუძლებელია მოსახლეობის მომსახურების სრული სურათის წარმოჩენა.

რედაქციაში შემოსული კორესპონდენციების ნაწილი შეეხება საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში ჩატარებულ ღონიძიებებს, მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებაში ბიბლიოთეკის როლსა და დანიშნულებას.

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

**ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაცია და მოდერნიზაცია**

**მედეა ჩოჩია** - ინტერნეტიზაციის სიკეთე ..... 3  
**ლელა დედაბრიშვილი** - მრავალფუნქციური ბიბლიოთეკა ..... 4  
**ნონა ომარაშვილი-სირბილაშვილი** - ბიბლიოთეკის ინტერნეტიზაცია ..... 6  
**რუსუდან დანელია** - ელექტრონული რესურსებით მომსახურება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ..... 7

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - 140**

**გულნარა სტურუა** - ქალთა როლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში .... 10  
**მაია მიქაბერიძე** - ვახტანგ თულაშვილი - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი ..... 15  
**რუსუდან ნაქაძე** - იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში ..... 19  
**გურამ თაყნიაშვილი** - მრავალმხრივი მოღვაწის ნათელი კვალი ..... 22  
**გიორგი სარაჯიშვილი** - სწავლა-განათლება და დავით და ეკატერინე სარაჯიშვილები ..... 25

**კვირეული - 2019**

**ინგა ფილაური-ლორია** - საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა ..... 29  
**კვირეული - 2019** - მასალების მიმოხილვა ..... 30

**საბიბლიოთეკო ქსელი**

**გურამ თაყნიაშვილი, ნანა ქავთარაძე** - იმერეთის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მდგომარეობა ..... 34

**IREX ინფორმაცია**

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავაზის ბიბლიოთეკის წარმატების რეცეპტი ..... 40

**სახელოვანი წინაპრები**

**გურამ თაყნიაშვილი** - ქართველი სასულიერო პირის ზნეობრივი მაგალითი ..... 42

**ღირსეული მამულიშვილები**

**ალექსანდრე ლორია** - მრავალმხრივი მოღვაწე და პროფესიონალი ..... 44

**წიგნის ისტორია**

**ნინო ხვედელიძე** - ფრანცისკ სკორინა - ბელორუსი პირველმბეჭდავი ..... 47

**კორესპონდენციები**

**მანანა ზარიძე** - იუბილარი ბიბლიოთეკარები ..... 51  
**მედეა მოსიავა** - თბილისის 42-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ადგილი სასწავლო პროცესში ..... 52  
**ირმა სისაური** - მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში ..... 53  
**ნანა ოქროპირიძე** - მოსწავლეები მსჯელობენ, ფიქრობენ ..... 55  
**ნინო ბერიძე** - ანა კალანდაძის საღამო ასპინძის მთავარ ბიბლიოთეკაში ..... 56

**რეცენზიები**

**ალექსანდრე ლორია** - გზა დიდებისაკენ ..... 58  
**ალექსანდრე ლორია** - დაულაღავი შრომის შედეგი ..... 59  
**გურამ თაყნიაშვილი** - მათემატიკოსის მხატვრული ოსტატობა ..... 59

**რევიუ**

დავით გიგინეიშვილი - კონცერტი ციურიხში ..... 61

**ქრონიკა**

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები ..... 63

**ნეკროლოგი**

**ნანა ბალათურია** ..... 67  
**ირინა თოფურია** ..... 68

**წიგნის ბუდე**

**ლოლა სანაია** - წიგნის ბუდეები და მათი უზადო ოსტატი ..... 69

## ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია - ინტერნეტიზაცია

### მედეა ჩოჩია

აბაშის მუნიციპალიტეტის  
სოფელ ნორიოს ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი



პროფესიით ბიბლიოთეკარს საბიბლიოთეკო მუშაობის 33 წლის სტაჟი მაქვს. წიგნის სიყვარული და ხალხთან ურთიერთობა ჩემი სტიქიაა. საბიბლიოთეკო ასოციაციამ 2016 წელს აბაშის რაიონის 4 ბიბლიოთეკას გადასცა კომპიუტერული აღჭურვილობა. სათანადო შენობის არარსებობის გამო მათ სიაში ვერ მოვხვდი. მას შემდეგ დავკარგე მოსვენება, მიწოდდა აღნიშნული სერვისი ნორიოს მოსახლეობისთვისაც შემეთავაზებინა. მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა შენობის გამოცვლა. ჩემი მონდომებით და აბაშის საკრებულოს ხელშეწყობით გარემონტებულ შენობაში გადავედი. 2017 წელს საბიბლიოთეკო ასოციაციამ გადმოგვცა კომპიუტერული ტექნიკა. ასოციაციის დაფინანსებით გავიარე ტრენინგები, რაც დამეხმარა ბიბლიოთეკის მუშაობის უკეთ

წარმართვაში. მოსახლეობასთან ერთად ყოველდღიურად ვიმადლებ კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს. ინტერნეტის და ტრენინგების საშუალებით გავიცანი ჩემი კოლეგები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ვეცნობი მათ მუშაობას და სიახლეებს ვწერგავ ჩემს ბიბლიოთეკაში. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვის შემდეგ გამოცოცხლა ბიბლიოთეკის ყოველდღიურობა. ახალმა სერვისებმა ბიბლიოთეკა აქცია საჯარო სივრცედ. გაიზარდა ბიბლიოთეკის ფუნქცია. ბიბლიოთეკა გახდა ყველასთვის საჭირო დაწესებულება. ბიბლიოთეკის მომხმარებელი გახდა მოსახლეობის ის კატეგორიაც, რომელიც წიგნს არ კითხულობდა. საბიბლიოთეკო მომსახურებით სარგებლობენ არა მარტო მკითხველები, არამედ სხვადასხვა კატეგორიის და ასაკის მკითხველი. აღნიშნული სერვისების უფასოდ სარგებლობამ გაზარდა ბიბლიოთეკის ავტორიტეტი სოფლად. კომპიუტერი იქცა საბიბლიოთეკო მომსახურების მძლავრ საშუალებად. გაიზარდა მკითხველთა რაოდენობა. აღნიშნულმა სერვისებმა უფრო შინაარსიანი გახადა ბიბლიოთეკის ყოველდღიურობა. ინტერნეტს და ქსეროქსის აპარატს გარდა მოსახლეობისა აქტიურად იყენებს სოფლის ამბულატორია, საბავშვო ბაღი, სკოლის პედაგოგები, სოფლის საკრებულო.

ბიბლიოთეკაში არსებული კომფორტი, მყუდრო, საინტერესო გარემო მოსახლეობის მოზიდვის ერთ-ერთი წინაპირობაა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბიბლიოთეკა წარმატებით პასუხობს მოსახლეობის თანამედროვე მოთხოვნებს.

## ლელა დედაბრიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის  
საბიბლიოთეკო გაერთიანების იყალთოს  
ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი



დღეს ინფორმაციას და ცოდნას განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება, ბუნებრივია, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ინფორმაციის მიღების ერთ - ერთ მთავარ წყაროდ ინტერნეტი იქცა.

21-ე საუკუნეში ტექნოლოგიური სიახლეები აღარავის უკვირს, მაგრამ სასოფლო ბიბლიოთეკებში კომპიუტერული ტექნიკის დანერგვამ და ინტერნეტმა მთლიანად შეცვალა საბიბლიოთეკო მუშაობის ფორმატი.

ბიბლიოთეკის ფუნქცია კიდევ უფრო გაიზარდა საპილოტე პროექტის „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ განხორციელების შემდეგ, პროექტის ფარგლებში გავიარე რამდენიმე ეტაპიანი ტრენინგი, რომელიც ითვალისწინებდა საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონულ კატალოგიზაციას, ეს პროცესი დღესაც წარმატებით ხორციელდება ჩვენს ბიბლიოთეკაში.

ტრენინგების მეორე ეტაპი ბიბლიოთეკაში ახალი სერვისების დანერგვას ითვალისწინებდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით დღესდღეობით საკვანძო როლს სოფლის ბიბლიოთეკა ასრულებს. ბიბლიოთეკა აღარაა მხოლოდ წიგნსაცავი, ტრადიციული საბიბლიოთეკო მომსახურების გარდა, ჩვენთან ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის სერვისები.

შეიძლება ითქვას, რომ ახლა ბიბლიოთეკა არის ინფორმაციის ადგილობრივი ცენტრი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის საინფორმაციო, საგანმანათლებლო და კულტურული მომსახურების თვალსაზრისით.

ჩვენს ბიბლიოთეკაში შესაძლებელია არა მხოლოდ სასურველი ინფორმაციის მოძიება, არამედ მომხმარებელს შეუძლია ბიბლიოთეკის სივრცე გამოიყენოს შეხვედრებისათვის, გუნდური მუშაობისთვის და იდეების განხორციელებისთვის.

ყოველივე ამაში გადამწყვეტ როლს ასრულებს facebook გვერდი, რომლის მეშვეობითაც ვაცნობ საზოგადოებას დაგეგმილ ღონისძიებებს. ვაქვეყნებ ყველა იმ აქტივობებს, რომლებსაც ბიბლიოთეკაში ვანხორციელებ. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სოციალური ქსელის მეშვეობით მჭიდრო კომუნიკაცია მაქვს ჩემს კოლეგებთან. ადრე თუ ვირტულურად ვიცნობდით ერთმანეთს, ახლა უკვე აქტიური ურთიერთთანამშრომლობა გვაქვს პროფესიული საქმიანობის კუთხით და, რაც მთავარია, მათი სახით ბევრი მეგობარი შევიძინე.

სოციალური მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ბიბლიოთეკების პოპულარიზაციაზე, გახლდათ „ბიბლიოთეკა-

რი, როგორც თემის მობილიზატორი და თემის გამაძლიერებელი“. ბიბლიოთეკართა მონაწილეობა ამ პროექტში მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სოფლად ბიბლიოთეკარი გახდა არა მხოლოდ წიგნისა და ინფორმაციის გამცემი, არამედ თემის მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებაში აქტიურად ჩართული. მას შეუძლია დააკვალიანოს და საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობა გაუწიოს სხვადასხვა სახლემწიფო სტრუქტურებთან და ორგანიზაციებთან ჯანმრთელობის პრობლემის, მატერიალური დახმარების და სხვა პერსონალური საკითხების მოგვარებაში.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები, ბიბლიოთეკართა გადამზადება, მნიშვნელოვანი იყო იმ კუთხით, რომ შემდგომში ინდივიდუალურად დავინწყეთ სხვადასხვა აქტუალური თემატიკის პროექტების განხორციელება.

პირადად მე ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე მომიწევდა პროექტებზე მუშაობა. ჩემ მიერ დაწერილი პროექტი - „ბულინგი საჯარო სკოლებში და მისი პრევენცია“ - დაფინანსებულ იქნა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიერ, რომელიც წარმატებით განვახორციელე იყალთოს საჯარო სკოლაში.

ამ პროექტზე მუშაობით მივიღე დიდი გამოცდილება, თუ როგორ გავუწიო ორგანიზება და ჩავატარო ტრენინგები, როგორ მოვიზიდო აუდიტორია, რომელი კატეგორიის სპეციალისტი მოვიწვიო და ა.შ.

დაფინანსების შედეგად, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია, შევიძინე ტექნიკა : პროექტორი, ფოტო-აპარატი, ეკრანი, ფლიპჩარტის დაფა, რასაც შემდგომში გამოვიყენებ სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პროექტში მონაწილე თითოეული ჩემი კოლეგა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეს წარმოვადგენთ, დღეს ერთ მუშტად შეკრულნი, ვაკეთებთ ბევრ სასიკეთო საქმეს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

მე პირადად ნდობამ, რომელსაც ვგრძნობ ადამიანებისაგან, მომცა მეტი თავდაჯერებულობა და მოტივაცია უფრო მეტად მოვახდინო ჩემი თავის რეალიზება თემის მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ იმ ადამიანს, ვინც საშუალება მოგვცა ამ პროექტში მონაწილეობით ბიბლიოთეკრებმაც ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ისეთი პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებაში, რომელიც დღეს საზოგადოებაში ასე მწვავედ დგას.

მადლობა მხარდაჭერისათვის პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, საბიბლიოთეკო ასოციაციას და მის პრეზიდენტს ქ-ნ რუსუდან ასათიანს, რომლის უშუალო ხელშეწყობითაც წარმატებით განხორციელდა ეს პროექტები.

**ნონა ომარაშვილი-სირბილაშვილი**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის  
საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების  
სოფელ ზეგაანის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

**ბიბლიოთეკის ინტერნეტიზაცია**



ბიბლიოთეკაში მუშაობა ჯერ კიდევ 1994 წელს დავიწყე. იმ დროისთვის საბიბლიოთეკო საქმიანობა წიგნის მიღება -გაცემა, წიგნადი ფონდის მოწესრიგება და საბიბლიოთეკო საქმიანობა იყო. შემდეგ, როგორც ყველა სხვა სოფელში, ჩვენთანაც გაუქმდა, დაიხურა ბიბლიოთეკა და მხოლოდ 10 წლის შემდეგ მოხდა ბიბლიოთეკის აღდგენა. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკა გაუქმებული იყო (წიგნადი ფონდი არ ჩავაბარე), სოფელს ვემსახურებოდი სრულიად უანგაროდ, საჭიროებებიდან გამომდინარე.

2016 წელს მოხდა ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაცია. 2017 წ. კი საბიბლიოთეკო ასოციაციის ხელშეწყობით ჩვენი ბიბლიოთეკა ჩაერთო ყველაზე წარმატებულ პროექტში „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, რომელიც საქართველოს პრეზიდენტისა და საერთაშორისო კომპა-

ნია IREX-ის მხარდაჭერით ხორციელდებოდა. შესაბამისად ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა კომპიუტერული ტექნიკა სრული აღჭურვილობით. აღნიშნულ სერვისს სრული აღფრთოვანება მოჰყვა, რადგან ჩვენი სოფელი მუნიციპალიტეტს საკმაოდ მოცილებულია. მოსახლეობას ხშირად სჭირდებოდა პრინტერი, სკანერის და ქსეროქსის აპარატით სარგებლობა.

სულ მალე საბიბლიოთეკო ასოციაციამ მიმიწვია ტრენინგზე, რომელიც გულისხმობდა პროექტს „ბიბლიოთეკარი, როგორც თემის მობილიზატორი და თემის გამაძლიერებელი“, რომელიც ითვალისწინებდა თემში არსებული პრობლემების განხილვას და გადასაჭრელი გზების მოძიებას. აღნიშნული ტრენინგი გავიარე საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტ რუსუდან ასათიანთან. ამ პროექტმა მომცა, როგორც პროფესიული ცოდნა, ასევე შემძინა უამრავი მეგობარი მთელი საქართველოს მასშტაბით. შეძენილ მეგობრებთან მაქვს მჭიდრო სატელეფონო თუ ინტერნეტ კავშირები ჩვენი პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე. ვკითხულობთ და ვეხმარებით სიახლეებს. ვიღებთ ერთმანეთისგან რჩევებს.

2017 წლის ბოლოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ეროვნული ბიბლიოთეკის შუამდგომლობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალმა“ გადმოგვცა პროექტორი, ეკრანი და ლეპტოპი, რამაც უფრო მეტი სიხალისე და აქტიურობა გამოიწვია ბიბლიოთეკის მომხმარებლებში. ბიბლიოთეკა გახდა სოფლისთვის, ის ნათელი წერტილი, სადაც განურჩევლად ასაკისა, ყველას მოუხარია. საბიბლიოთეკო სივრცე ყველა კატეგორიის მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან კომპიუტერულ და



ტექნოლოგიურ მომსახურებას. მოსახლეობას აქვს საშუალება, უცხოეთში ან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში SKYPE-ის საშუალებით დაუკავშირდნენ თავიანთ ახლობლებს. სწრაფად და ხარისხიანად გადაგზავნონ ან მიიღონ დასკანირებული საჭირო დოკუმენტაცია. სკოლა ხომ უშუალო მეგობარი გახდა ბიბლიოთეკის. ხშირად ვაწყობთ ფილმების ჩვენებას. გვაქვს ასევე მასწავლებელთა წინსვლისთვის ჩასატარებელი გაკვეთილების მხარდაჭერა, პროექტორით და ეკრანით, რაც წარმატებით ხორციელდება. ასევე მასწავლებლები და მოსწავლეები ჩვენი ბიბლიოთეკის მხარდაჭერით, მრავალი პროექტის ჩატარების თანამონაწილეა.

ბიბლიოთეკამ შეითავსა არაფორმალური განათლების ცენტრის მოვალეობა. სასკოლო არდადეგებზე ეწყობა საზაფხულო სკოლა, სადაც ბავშვები ჩამოსულ დამსვენებლებთან ერთად გეგმავენ თუ როგორ გაატარონ ზაფხულის ცხელი დღეები ერთად და ხალისიანად. ვაწყობთ ექსკურ-

სიებს, ლაშქრობებს და ღონისძიებებს. ასევე გვაქვს საგაკვეთილო პროცესები, რაშიც ხელს გვინყობს ბიბლიოთეკაში არსებული ყველა საჭირო კომპიუტერული და ინოვაციური ტექნოლოგიები. ყოველივე ამ დიდი სიკეთისთვის, სოფლის განვითარებასა და ზრუნვისთვის, ჩემი სოფლის სახელით, მადლობას ვუხდის საბიბლიოთეკო ასოციაციას და მის პრეზიდენტ რუსუდან ასათიანს, ასევე ყველა იმ პირს, ბატონ მირიან ხოსიტაშვილს და სხვ., ვინც თანაბრად ზრუნავს ყველა სოფლის წინსვლასა და განვითარებისათვის.

მე როგორც ბიბლიოთეკარს, სურვილი მაქვს მივიღო უფრო მეტი ცოდნა და განვითარება. გავიარო ყველა ის საჭირო ტრენინგი და ვიყო აქტიური ჩემს პროფესიაში. ვგეგმავ მეტი ვიმუშაო კოლეგებთან, გავითვალისწინო მათი აზრი და რჩევები. დაინტერესებული ვარ, როგორც ჩემი პროფესიული ზრდით, ასევე სოფლის უკეთ განვითარებასა და წინსვლისთვის.

## რუსუდან დანელია

ელექტრონული რესურსებით მომსახურების განყოფილება  
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელექტრონული რესურსებით მომსახურება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ წარმოქმნა არა მხოლოდ ავტომატიზირებული მართვა, ელექტრონული კომერცია თუ დისტანციური განათლება, არამედ იმოქმედა თვით ადამიანსა და მთლიანად საზოგადოებაზე - მის ცნობიერებაზე, ფასეულობებსა და მიზნებზე, რითაც საფუძველი ჩაეყარა სავსებით ახალ საზოგადოებრივ ფორმაციას - საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

იმისთვის, რომ შეიქმნას ინფორმაციაზე დაფუძნებული საზოგადოება, რომლის

ყველა წარმომადგენელს საშუალება ექნება ისარგებლოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დადებითი შედეგებით და განვითარების ახალი შესაძლებლობებით, აუცილებელია სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი რესურსების გამოყენებას, როგორცაა ინტერნეტი.

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, საზოგადოებამ უამრავი ინფორმაცია და გამოცდილება დააგროვა. დღეს, თანამედროვე საზოგადოება ინფორმაციის უდიდეს გარემოში



ცხოვრობს. ინტერნეტის არსებობამ კიდევ უფრო გაზარდა საინფორმაციო ველი და მასზე მოთხოვნილება. ასევე შეიცვალა ბიბლიოთეკის როლი და ფუნქციაც. დღეს ბიბლიოთეკა აღარაა მხოლოდ წიგნსაცავი. თანამედროვე ბიბლიოთეკა გადაიქცა საინფორმაციო ცენტრად და ვალდებულია ხელი შეუწყოს ინფორმაციული საზოგადოების შექმნასა და განვითარებას.

როგორც უკვე ავღნიშნე, ჩვენი ყოველდღიური ყოფა დამოკიდებული გახდა ინფორმაციის მიღებასთან. დღევანდელ ადამიანს ჰაერივით ჭირდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მაგრამ ამავე დროს მას არ აქვს საკმარისი დრო. ის განიცდის დროის დეფიციტს. ამიტომ საჭირო ხდება არსებული ინფორმაციის დახარისხება, სხვადასხვა საინფორმაციო საძიებო სისტემების შექმნა, რათა უმოკლეს დროში მიიღოს ინფორმაციულმა საზოგადოებამ სასურველ კითხვაზე პასუხი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მრავალი წლის მანძილზე მუშაობს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების საკითხებზე. მისი ინტერნეტ ვებ-გვერდი (<http://www.nplg.gov.ge/geo/home>) ვითარდება და იხვეწება, რათა მომხმარებლისთვის უკეთ გამოყენებადი გახდეს. ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებით მომსახურების განყოფილება კი, ხელს უწყობს ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას ინტერნეტის საშუალებით უახლესი ინფორმაციის

მიღებაში. განყოფილებამ თავისი განვითარების გზა გაიარა. ამ სახის მომსახურება (ლაპარაკია ელექტრონულ რესურსზე), ბიბლიოთეკაში დაიწყო „ეკონომიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, სპეც. სახეებისა და ტექნიკური საინფორმაციო წარმოების დაკომპლექტების, დამუშავებისა და მომსახურების განყოფილების“ ბაზაზე. მაშინ განყოფილებაში ორი კომპიუტერი იყო. მკითხელს შეეძლო ესარგებლა ლოკალური ქსელით და საკანონმდებლო „კოდექსის“ ბაზით. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე განყოფილებას რამდენჯერმე შეეცვალა სახელი. ჯერ გადაკეთდა „სამართლისა და ბიზნეს ინფორმაციის განყოფილებად“, შემდგომ „სპეციალურ კოლექციებისა და ინტერნეტით მომსახურების განყოფილებად“, შემდგომ „ელექტრონული რესურსების განყოფილება“, ხოლო 2006 წელს კი, ამჟამინდელი სახელი ეწოდა. 1997 წლიდან, წლების განმავლობაში ვთანამშრომლობდით IREX-ის (საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო - აშშ) ორგანიზაციასთან. ამ ორგანიზაციის დახმარებით ჩვენი განყოფილება ღებულობდა უფასო ინტერნეტით სარგებლობის უფლებას მკითხველისათვის და აქვე აწარმოებდა კომპიუტერთან და ინტერნეტთან მუშაობის სწავლებას ნებისმიერი მოქალაქისათვის უფასოდ. 2006 წლის ივლისიდან განყოფილებამ გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით კვლავ განაგრძო მოქალაქეთა უფასო ინტერნეტით მომსახურება, რასაც მო-

მხმარებელთა მხრიდან დიდი ინტერესი მოჰყვა. პროგრამის დასრულების შემდგომ ბიბლიოთეკამ თავად შეძლო თავის მკითხველის უზრუნველყოფა უფასო ინტერნეტით. დარბაზში 18 კომპიუტერი გვექონდა, მკითხველს ერთი საათი ეძლეოდა სამუშაოდ. ყოველდღიურად 100-მდე მკითხველი სარგებლობდა ჩვენი მომსახურებით. ინტერნეტით მკითხველთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და პირობების გასაუმჯობესებლად ბიბლიოთეკას დასჭირდა ახალი გზების ძიება. 2013 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და „ლიბერთი ბანკს“ შორის დაიდო მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც „ლიბერთი ბანკმა“ თავის თავზე აიღო ბიბლიოთეკის სივრცეში ელექტრონული დარბაზის შექმნა, უახლესი კომპიუტერებითა და სხვა საჭირო ტექნიკით აღჭურვა. ასე შეიქმნა „ლიბერთის ელექტრონული დარბაზი“, რომელსაც ჩვენი განყოფილება ხელმძღვანელობს. დარბაზში 33 სამუშაო ადგილია, რამაც სამუშაო დროის შეზღუდვა მოხსნა.

ჩვენთან მოსულ მკითხველს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგებით, ბიბლიოთეკის კომპაქტ-დისკების (CD-ROM) ფონდით, ლოკალური მონაცემთა ბაზებით, მათ შორის ინტრაქსელური ციფრული ბიბლიოთეკით, კანონების მონაცემთა ბაზით, სამეცნიერო ლიტერატურის ცნობილი გამომცემლობების ელექტრონული მონაცემთა ბაზებით, სხვადასხვა ელექტრონული ლექსიკონებითა და ცნობარებით, მათ შორის დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონით ბიბლიოთეკის ციფრული კოლექციით, ასევე მსოფლიო ბიბლიოთეკების კატალოგებით და ბოლოს ნებისმიერი ინტერნეტ რესურსით.

ასევე, განყოფილება მუშაობს „საქართველოს ბიოგრაფიულ ლექსიკონზე“ (<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/>). ლექსიკონში იხილავთ იმ პიროვნებათა ბიოგრაფიებს, რომლებიც საქართველოს ისტორიის ნაწილი არიან ან დაკავშირებულნი არიან საქართველოსთან, უცხოვრიათ

საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ. პროექტი მიზნად ისახავს, გამოაქვეყნოს მაქსიმალურად ყველა ცნობილი ქართველი. ამ უნიკალური ლექსიკონის შევსებაში, ვფიქრობთ, მთელი საქართველო ჩაერთვება. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ ამ ინტერნეტ საიტს და თავად შეავსონ ელექტრონული ანკეტი, ასევე შეუძლიათ მიმართონ ელექტრონული რესურსებით მომსახურების განყოფილებას და წერილობით მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია. დღეის მონაცემებით ლექსიკონში 13 710 ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული მონაცემია შეტანილი.

ჩვენ ვთვლით, რომ ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, კერძოდ კი ელექტრონული რესურსებით მომსახურების განყოფილებამ, გარკვეული დახმარება გაუწია ჩვენს მომხმარებელს კომპიუტერთან მუშაობისა და ინტერნეტით სარგებლობის უნარების ჩამოყალიბებაში. მიუხედავად იმისა, რომ დღეს თითქმის ყოველ მეორე ოჯახში არის კომპიუტერი და ინტერნეტი, განყოფილების აქტუალობას მნიშვნელობა არ დაუკარგავს. მკითხველთა რაოდენობა არ იკლებს. მაგალითად 2018 წელს განყოფილების მომსახურებით 24 866 მკითხველმა ისარგებლა, აქედან მხოლოდ ინტერნეტით 24 020. განყოფილების ბაზაზე „ლიბერთი ბანკი“ ახორციელებს პროექტს: „ინტერნეტისა და კომპიუტერის შემსწავლელი კურსი უფროსი თაობისთვის“. პროექტში მონაწილეობენ 60 წელს გადაცილებული საქართველოს მოქალაქეები, რომელთა უმეტესობა სამომავლოდ ჩვენი მკითხველი გახდება. შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ მოქალაქეთა დაინტერესება საკმაოდ მაღალია.

„ლიბერთის ელექტრონული დარბაზით“ უამრავმა ადამიანმა ისარგებლა, შესაბამისად ტექნიკას განახლება ჭირდება. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა სამომავლოდ იზრუნებს ამ საკითხზე და ბიბლიოთეკის ერთგულ მკითხველს ახალი ინოვაციების შეთავაზებას არ მოაკლებს.

## ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - 140

### გულნარა სტურუა

#### ქალთა როლი ქ.შ.ნ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში

ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოში სახელმწიფოებრიობა არსებობდა, მაგრამ ვაი ასეთ სახელმწიფოებრიობას. აღმოსავლეთ საქართველო ირანის ვასალურ ქვეყანას წარმოადგენდა, დასავლეთი კი ოსმალეთისას. საქართველოს მეფეებს არ შეეძლოთ დამოუკუდებელი პოლიტიკის წარმოება. სპარსელები, როგორც მათ სურდათ, ისე ცვლიდნენ ჩვენი ქვეყნის მეფეებს და არა მხოლოდ ცვლიდნენ, არამედ აიძულებდნენ გამაჰმადიანებას. ამ ეპოქაში ეკონომიურად ქვეყანა თითქოს გამოცოცხლდა, მაგრამ იმავე დროს თავი იჩინა ყველაზე საშიშმა პროცესმა-გამაჰმადიანებამ ანუ ეროვნული გადაგვარების საფრთხემ. ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას მოჰყვა აგრეთვე გაგრიგორიანებაც... საშველი არ იყო, საქართველოს ძლიერი და ერთმორწმუნე სახელმწიფოს თანადგომა ესაჭიროებოდა. ისტორიკოსები დღესაც დაობენ, რა უნდა ყოფილიყო და რა იქნებოდა ყოველ მხრივ ჩიხში შესული ქართველი ერისთვის გამოსავალი, თუმცა ფაქტი ჭიუტია და სიმართლეს ისეთი სინათლეა, რომ მას ვერც შეასწორებ და, მითუმეტეს, ვერსადაც ვერ დამალავ...

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ბევრი რამ გვაწვდო, მაგრამ ძალაუწებურად გარკვეული წვლილიც შეიტანა განათლების, მეცნიერებისა და ქართული კულტურის განვითარებაში. სხვადასხვა ქალაქებში იხსნებოდა გიმნაზიები, სემინარიები, სასწავლებლები. 1855 წელს საქართველოში უკვე 150-მდე სასწავლებელი იყო. და ისიც ხომ სასარგებლო აღმოჩნდა ქართველი ხალხისთვის, რაც ყოველივე ამას მოჰყვა? დიახ, ნამდვილად სასარგებლო, - ასე ვფიქრობ ახლა და იმედია ასე ფიქრობს

ბევრი... განათლებამიღებული ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილმა კარგად გააცნობიერა რუსეთის იმპერიის მიზნები საქართველოს მიმართ. „ძალადობამ საეკლესიო ცხოვრებაში, ძალადობამ სოციალურ- ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის დროს, ქართული ტრადიციებისა და ადათ-წესების ტოტალურმა უგულებელყოფამ ქართველი მოწინავე საზოგადოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია“, გვეუბნებიან იმ პერიოდის ისტორიული და სოციალური ვითარების მიმომხილველები. მიმდინარეობდა გამაღებული რუსიფიკაცია. აი როგორ იგონებს ამ ეპოქის საქართველოს მდგომარეობას პირველი იურისტი ქალი - ნინო ყიფიანი (დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი): „გარუსება-გადაგვარება სასწავლებლიდან დაიწყეს, ქართული ენა ძალის ენად მონათლეს და მასზე ლაპარაკი აკრძალეს. ვინც ქართულად დაილაპარაკებდა, იმას წითელ ფირფიტას ჩამოჰკიდებდნენ, ზედ რომ ძალის ენა იყო გამოხატული. მოწაფის ხელში რომ ქართული გაზეთი დაენახათ, მასწავლებელი ხელიდან გამოჰგლეჯდა: „მაგ სისულელის კითხვით თავს ნუ ილაყებო“... არა მარტო სასწავლებლებიდან, არამედ ქართული ენა დაწესებულებებიდანაც იდევენებოდა. აუცილებელი გახდა, რომ ქართველი ინტელიგენცია დაპირისპირებოდა ამ საშინელ პროცესს, რაც არც ისე ადვილი იყო. ამ გზაზე პირველი და მყარი ნაბიჯი გადაიდგა. მიზნად დაისახეს საქართველოს ყველა კუთხეში მაქსიმალურად აღმოეფხვრათ ქართული წერისა და კითხვის უცოდინარობა. დაიწყეს ჩანაფიქრის პრაქტიკულად განხორციელება, დაარსეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ეს მოხდა 1879 წლის 15 მაისს. ამ დღეს ჩატარდა საზო-

გადოების პირველი სხდომა, არჩეულ იქნენ გამგეობის წევრები: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და რაფიელ ერისთავი. საზოგადოების თავმჯდომარედ კი დიმიტრი ყიფიანი დასახელდა და დაინიშნა კიდევ. ამ საზოგადოების დაფუძნებაში დიდი მონაწილეობა მიიღეს რუსეთის იმპერიის მიერ დაარსებული გიმნაზიებში ნასწავლმა ქართველმა ქალებმა, რომლებიც კარგად ხვდებოდნენ, თუ რა მოელოდა ქართულ ენას და ქართველ ხალხს რუსეთის პოლიტიკის გატარების პირობებში და მანამ, სანამ ქართველი მამულიშვილები ამ საზოგადოებას დააარსებდნენ, ჯერ კიდევ 70 იან წლებში, შეუდგნენ ქართული სკოლების დაფუძნება-აღორძინებას სოფლებსა და დაბებში. 1874 წელს **ანა ღლობერიძე-მუსხელიშვილმა** ახალციხეში დააარსა ქალთა სკოლა, ხოლო **მარიამ მამაცაშვილმა** - სოფელ ხოვლეში

1880 წლიდან მოყოლებული, საზოგადოების წევრები გახდნენ **ანასტასია თუმანიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ეკატერინე მელიქიშვილი, ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე, მარიამ დემურია, დესპინე გელოვანი, მარჯორი უორდროპი, ელისაბედ საგინაშვილი, ნინო და მარიამ ორბელიანები, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე, ეკატერინე გურამიშვილი-სტაროსელსკა-**

**ია, ქეთევან ჟურული, ანა სოლოლაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ბაბილინა ხოსიტაშვილი და სხვები.** განათლებით, ცოდნითა და პატრიოტული გრძნობებით სავსე ქალბატონები დიდი ინტერესით შეუდგნენ სკოლების, რეგიონული განყოფილებების და სამკითხველოების გახსნის, სახელმძღვანელოების შექმნის და მასწავლებელთა მომზადების საქმეს და ძალისხმევას არ იშურებდნენ, რათა განათლება ხელმისაწვდომი ყოფილიყო ქართველი ვაჟებისა და გოგონებისთვის.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენელი მამაკაცები ვაჟთა სკოლებზე უფრო მეტად ამახვილებდნენ ყურადღებას... ამ საკითხს ეძღვნება ეკატერინე გაბაშვილის საყვედური საზოგადოების მესვეურების მიმართ: „...რატომ ყველა შკოლა ვალდებული არაა ერთნაირად მიიღოს მსურველნი ვაჟებიცა და ქალებიცა... ჩემის აზრით, ქალებისთვის უფრო საჭიროდ ვხედავ ქართულის ენის ცოდნას, იმიტომ, რომ ქალი არის პირველი მასწავლებელი შვილებისა... თუ ჩვენმა წერა-კითხვის საზოგადოებამ ქართველი ქალების აღზრდა ინსტიტუტსა და ზავედნიებს მიაწვდინა, სადაც ქალებს სრულიად არა აქვთ ღონისძიება, პრაქტიკის უქონლობის გამო, ქართული ენის შესწავლისა, იმასაც ჩქარა მოვესწრებით, რომ ჩვენ ბა-



ეკატერინე გაბაშვილი



ბარბარე ჯორჯაძე



ოლღა გურამიშვილი




**დომინიკა ერისთავი (განდევილი)**

ვშვებს, დიდების მოწყალებით, სასირცხვილოთ მიაჩნდებათ თავის დედა-ენაზედ ლაპარაკი. ამის მაგალითები ბევრია ჩვენში“. ეკატერინე გაბაშვილი, ამ საყვედურის წერილშივე, თხოვს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, მხედველობაში მიიღონ მისი აზრი და უბრუნველყონ ქართველი ქალებისთვის დედა-ენის სწავლება.

ქართველი ქალების ინტერესმა, რუდუნებით შრომამ და ღვაწლმა წკგ საზოგადოებაში ძალიან დიდი შედეგი გამოიღო: გაიხსნა სახალხო სკოლები არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვრებს გარეთაც: ვლადიკავკაზში, ბაქოში, ნალჩიკში და სხვაგანაც. საქმე ადვილი როდი იყო, მაგრამ ნებისმიერი წინააღმდეგობა კიდევ უფრო აძლიერებდა, აერთიანებდა და ხელს უწყობდა ქალების კონსოლიდაციას. **ეკატერინე გაბაშვილმა** 1897 წელს დააფუძნა „ქალთა სახელოსნო სკოლა“. მოგვიანებით დაარსდა **დომინიკა ერისთავის** „თბილისის ქალთა საზოგადოება“, **ანასტასია ერისთავის** საზოგადოება „მანდილოსანი“, ჩამოყალიბდა ქალთა წრეები ქუთაისში, ხონში, ფოთში, თელავში, ქალთა კომიტეტები სათავადაზნაურო სკოლებთან.

1900 წლიდან საზოგადოება იწყებს რეგიონული განყოფილებების გახსნას. ხუთ მათგანს ქალი ხელმძღვანელობს. ესენია: მარიამ საბაშვილი (გუდაუთა), თამარ ცი-



**ნინო ნაკაშიძე**

ციშვილი-ვაჩნაძე (ერევანი), ოლღა ხოფერიას (სენაკი), მარიამ დადაიანი-ანჩაბაძე (სოხუმი), ბარბარე მაჭავარიანი-წერეთელი (ყვირილა). განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ იმ პერიოდში გამოიცა ქართული ჟურნალ-გაზეთები: „ივერია“, „დროება“, „კვალი“, „ცისკარი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „მნათობი“, „ცნობის ფურცელი“, სადაც შემოქმედი ქალები აქვეყნებენ თავიანთ ნაწარმოებებს.

„საზოგადოებაში“ მონაწილე ქალთა უმეტესობა ევროპის სხვადასხვა ქალაქების ცნობილ უნივერსიტეტებში მიზანდასახულად იყვნენ განსწავლულნი. მათ კარგად იცოდნენ, თუ რაოდენ სჭირდებოდა საქართველოს ცოდნითა და განათლებით აღჭურვილი პროფესიონალები. ერთ-ერთ მათგანზე, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელზე შევაჩერებ ჩვენს ყურადღებას: ანასტასია ბავშვობაში მიაბარეს იმდროინდელი თბილისის იმ ერთადერთ სასწავლებელში (მადამ ფავრის ცნობილი პანსიონი), სადაც ქართულ ენას ასწავლიდნენ, ხოლო შემდგომ იგი სწავლობდა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში. მოგვიანებით (1876წ.) ანასტასია ცოდნის გასაღწერმავებლად შვეიცარიაში გაემგზავრა. იქ გაეცნო მონინავე პედაგოგებისა და მეცნიერების პედაგოგიურ იდეებს, ბავშვთა აღზრდის საკითხებს. გაეცნო შვეიცარი-

სა და საფრანგეთის სკოლების მუშაობას. ციურისა და პარიზში ყოფნის დროს იქ მცხოვრები ქართველი ემიგრანტებიც მოინახულა და ასე ცოდნითა და შთაბეჭდილებებით აღჭურვილი დაბრუნდა საქართველოში. ამის შემდეგ დაიწყო მისი აქტიური მოღვაწეობა საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო წრეებსა და ორგანიზაციებში. დააარსა ქალთა საზოგადოება „განათლება“. გარდა იმისა, რომ იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრი და აქტიური მუშაკი, აგრეთვე თარგმნიდა და აქვეყნებდა ცნობილ ფრანგ მწერალთა ნაწარმოებებს. 1884 წელს ანასტასიამ დიდი შრომისა და მონდომების შედეგად, მოახერხა და გორთან ახლოს, თავისივე მშობლიურ სოფელ ხელთუბანში, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელდასხმით, გახსნა დაწყებითი სკოლა. უზომოდ დიდია ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელის და ზემოთ ნახსენები ქალების დამსახურება სამშობლოს წინაშე კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში. როგორც ერთ-ერთი განსაკუთრებული, არ შეიძლება არ გაიზიარო იმათი მოსაზრება და ნუხილის გამო, რომ ეს ცნობილი, ინტელექტუალი და სამშობლოს კეთილდღეობისთვის თავდადებული ქალები დღეს ჩვენს ქვეყანაში ისე არ არიან დაფასებულნი, როგორც ეკუთვნით! კარგია, როცა საქართველოს დედაქალაქში არის მშვენიერი მონუმენტი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებისა, მაგრამ განა საწყენი არ არის, რომ ამ მონუმენტზე არ არის ამოტვიფრული სახელი და გვარი არც ერთი იმ სახელოვანი ქართველი ქალისა?

### **ანასტასია თუმანიშვილი - დიდი მოღვაწე**

უცხოეთიდან თბილისში დაბრუნებისთანავე ანასტასია მთელი თავისი შესაძლებლობით კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩაება. მისი პირველი თარგმანი, ალფონს დოდეს მოთხრობა "მარშლის გულმტკიცუნელება" ჯერ კიდევ 1876

წელს დაიბეჭდა. 1879 წელს ქართველ ქალთა მიერ ქუთაისში გამოცემული იქნა ანასტასიას მიერ ფრანგულიდან თარგმნილი ვალტერ სკოტის "ჰირლანდელი ქვრივი", ხოლო პირველი ორიგინალური მოთხრობა "მამის მსხვერპლი" დაიბეჭდა 1880 წელს.

ანასტასია თუმანიშვილი იყო "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" აქტიური წევრი, "მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საერთოერთო დახმარების საზოგადოებისა" და ქალთა საზოგადოება "განათლების" დამაარსებელი.

ანასტასიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა "წერა-კითხვის საზოგადოების" მუშაობაში. ეკატერინე გაბაშვილი და ანასტასია თუმანიშვილი ის ქართველი ქალები იყვნენ, რომელნიც დაარსებიდანვე ჩაებნენ ამ საზოგადოების საქმიანობაში. ანასტასია მრავალი წლის განმავლობაში იყო გამგეობის წევრი და ერთ-ერთი აქტიური მუშაკი. ვინ მოსთვლის რამდენი ბრძოლა დასჭირდა 32 წლის ახალგაზრდა ქალს, რომ ამ სკოლისთვის შესაფერი შენობა აეგო, რათა აქ ღარიბ ბავშვებს სწავლის შესაძლებლობა ჰქონოდათ. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლაში ანასტასიამ მასწავლებლად მოიწვია თედო რაზიკაშვილი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე არ მოსცილებია ღირსეული ქართველი ქალის ამ ნაამაგარ საქმეს.

ანასტასია თუმანიშვილს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებაში. 1883 წლიდან თანამშრომლობდა ჟურნალ „მნათობში“, გახლდათ ჟურნალ "კვალის" თანარედაქტორი.

1890 წელს ანასტასია თუმანიშვილმა დააარსა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. იმ პერიოდში ახალი პერიოდული ორგნოს დაარსება და ისიც ქართულ ენაზე დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი აღფრთოვანებით შეხვდა ანასტასიას ამ წამოწყებას. ჟურნალის სახელწოდებასთან დაკავშირებით ანასტასიას კონსულტაციები ჰქონია გამოჩენილ ქართველ მო-

ღვანეებთან, რომლებმაც მხარი დაუჭირეს იაკობ გოგებაშვილის წინადადებას, რათა მომავალ საყმანვილო ჟურნალს "ჯეჯილი" დარქმეოდა. ჟურნალის ეპიგრაფად არჩეული იქნა გლეხი პოეტის ი დავითაშვილის სიტყვები: "იზარდე მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო."

ანასტასია თუმანიშვილის კალამს ეკუთვნის ორიგინალური, ნათარგმნი და გადმოკეთებული საბავშვო მოთხრობები - კრებული "მოლალური", "ხუთი ამბავი", "კონა", "ცხოვრების გამჭრიახობა", "ყვავილი" და სხვა.

ანასტასიას დიდი ამაგი მიუძღვის საბავშვო ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისადმი, რომელთა გავრცელება დაიწყო 1891 წლიდან თბილისის მუშათა უბნებში. ანასტასიას ენერგიული მოქმედებითა და მისი მეგობარი ქალების დახმარებით 1902 წელს თბილისში, ვერაზე ქალთა ახალი დაწყებითი სკოლა გაიხსნა.

1908 წელს ანასტასია თუმანიშვილის ინიციატივით დაარსდა ქალთა ახალი საზოგადოება "განათლება", რომელმაც სახალხო განათლების საქმეში საგრძნობი წვლილი შეიტანა.

ამგვარი საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობის პარალელურად უკვე მცოვანი ქალბატონი ენერგიულად განაგრძობდა ჟურნალ "ჯეჯილის" გამოცემას. 1923 წელს ანასტასია თუმანიშვილმა ითხოვა "ჯეჯილის" რედაქტორობიდან განთავისუფლება, რასაც მოჰყვა როგორც ჟურნალის, ასევე საზოგადოება "განათლების" ლიკვიდაცია. ვალმოხდილმა ქალბატონმა მაინც არ ისურვა დასვენება და უქმად ყოფნა. იგი განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობასა და საბავშვო წიგნების გამომცემლობაში ჩაება. 1925 წელს მისი ხელისშეწყობით ქალთა ალმანახის რამდენიმე ნომერი გამოიცა.

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა ეკუთვნის ქართველ მოღვაწე ქალთა იმ ჯგუფს, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს

ქალთა სასარგებლო შრომასა და მონაწილეობას კულტურულ-საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ანასტასია თუმანიშვილი გარდაიცვალა 1932 წლის 7 თებერვალს და დაკრძალულია მთაწმინდის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

1914/15 სასწავლო წელს საქართველოში არსებობდა ერთკლასიანი(სწავლების ხანგრძლივობა 3 წელი), ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლები, უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები, ქალთა ხუთწლიანი სასწავლებლები, სპეციალური სასწავლებლები, გიმნაზიები (მათ შორის 2 ქართული:თბილისის და ქუთაისის), პროგიმნაზიები, რეალური სასწავლებლები. სამასწავლებლო, სასულიერო, სამრევლო და სხვა სასწავლებლები. ერთი კერძომაღლესი სასწავლებელი - ქალთა უმაღლესი კურსები. საქართველოს ყველა ტიპის(1648 დაწყებითი სკოლა) სკოლაში სწავლობდა 124720 მოსწავლე.

საჯარო სივრცეები - ქუჩები, სკვერები თუ სხვადასხვა შენობები - ინახავს და გადმოსცემს იმ მეხსიერებას, რომელიც ქალაქის ისტორიას ქმნის. თბილისში, როგორც მსოფლიო ქალაქების უმეტესობაში, ძალიან ცოტაა ისეთი ადგილი, რომელიც ქალის სახელს ატარებს ან ქალთა ისტორიასთანაა დაკავშირებული. ეს იწვევს ქვეყნის განვითარებაში ქალების მიერ შეტანილი წვლილის დავიწყებას და მათი მიღწევების წაშლას კოლექტიური მეხსიერებიდან. სტატია წარმოგიდგენთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრ ქალებს, რომლებიც წამყვან ძალას წარმოადგენდნენ, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის ნახსენები ამ მონუმენტზე. ტექსტი დაწერილია ფემინისტური ტურის ფარგლებში, რომელიც 2016 წლის გაზაფხულზე ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სახმრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს ინიციატივით დაიგეგმა.



მაია მიქაბერიძე

## ვახტანგ თულაშვილი - ქმნავ საზოგადოების დამფუძნებელი წევრი




ვახტანგ დიმიტრის ძე თულაშვილი იყო ერთ-ერთი იმ პირველთა შორის, რომლებმაც თავიანთი პროფესიული ცოდნითა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობით, ფაქტობრივად, სათავე დაუდეს საქართველოს აღმშენებლობით პროცესს მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან. იგი ილია ჭავჭავაძესთან, იაკობ გოგებაშვილთან, ნიკო ცხვედაძესთან, დიმიტრი ყიფიანთან და სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად იღვწოდა, შრომობდა, დინჯად ადებდა აგურს აგურზე და ასე ქმნიდა მყარ საფუძველს, რომელზეც მომდევნო თაობებს შეეძლოთ თამამად გაეცლოთ თავიანთი გასავლელი გზა.

ვ. თულაშვილი დაიბადა 1834 წლის 6 ნო-

ემბერს სოფელ ზირბითში (თეთრიწყაროს რ-ნი), წარმატებით დაამთავრა კავკასიის სამიჯნო სკოლა (ე.წ. „მეჟევია შკოლა“), რომელიც ამზადებდა გამმიჯვნელ-მინის მზომელებს და ტოპოგრაფებს. მშობლების ხელმოკლეობის გამო მას სწავლა აღარ გაუგრძელებია. ნიჭიერი ახალგაზრდა სასწავლებლის ხელმძღვანელებმა მასწავლებლად (კოლეფსკი ასესორი) მიიწვიეს იმავე სკოლაში. 1869 წელს სამიჯნო სასწავლებელთან ჩამოყალიბდა საკვირაო სკოლა, რომელშიც ვ. თულაშვილი მიხეილ ყიფიანთან ერთად უსასყიდლოდ მუშაობდა.

მასწავლებლად მუშაობის დროს ვ. თულაშვილი უშუალოდ წააწყდა ქართული სახელმძღვანელოების ნაკლებობის პრობლემას. განსაკუთრებით ეს ითქმის მათემატიკაზე. სტამბური წესით დაბეჭდილი სახელმძღვანელოების გამოსვლამდე საქართველოს სახელმწიფო და კერძო სკოლებში იხმარებოდა ხელნაწერის სახით გავრცელებული სახელმძღვანელოები. გ. ნოსოვიჩის, პ. რერგესტიისა და პ. პავლოვის წინადადებით მიღებულ იქნა დადგენილება, ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი და გამოცემული ყოფილიყო ფოგელის არითმეტიკა, რომელიც იმ დროს საუკეთესო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა დაწყებით სკოლაში. რადგან მისი გადმოთარგმნა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ქართულ ენაზე სპეციალური ტერმინების უქონლობის გამო, ამიტომ ვ. თულაშვილმა და მ. ყიფიანმა ფოგელის მიხედვით შეადგინეს არითმეტიკა, რომელიც 1862 წელს თავისი სახსრებით გამოსცა საკვირაო სკოლამ. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ქართულს ენაზედ, ვგონებთ, ეს პირველად იბეჭდება არითმეტიკა, და ამისთვის ხელ-სამძღვანელები არა გვექონდა რა, რომ იქიდგან ამო-




გვეკრიფა ზოგიერთი ტექნიკური სიტყუები, რომელნიც იხმარებიან არითმეტიკაში. ყოველი ღონისძიება ვიხმარეთ, რომ გვეპოვნა ისეთი სიტყუები, რომელნიც სრულიად ყოფილ იყუენენ ქართულის ხასიათისანი. მათგან ზოგი ვთარგმნეთ და ზოგი ისე ვიხმარეთ, როგორც რუსულად იხმარებიან“. ამრიგად, 1862 წელს ვ. თულაშვილმა და მ. ყიფიანმა არა მარტო გამოსცეს პირველი ქართული მათემატიკური სახელმძღვანელო, არამედ საკუთარი წვლილიც შეიტანეს ახალი ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის შექმნის საქმეში [1].

ვ. თულაშვილის სახელი დაკავშირებულია აგრეთვე საქართველოს პირველი ბეჭდური რუკის გამოცემასთან. მან შეადგინა საქართველოს რუკა სახელწოდებით „კარტა კავკასიის აქეთა მხარისა“, რომელიც იაკობ გოგებაშვილმა 1868 წლის „ბუნების კარის“ პირველ გამოცემას დაურთო. წინასიტყვაობაში იაკობი წერდა: „კარტა ამაზე ვრცელი შეუძლებელი იყო, რადგანაც მეტად ძვირად დაჯდებოდა და წიგნის ფასს გაადიდებდა. ეს მოკლე კარტაც ოცდასამი

თუმანი დაჯდა. აქ საჭიროდ ვრაცხთ განუცხადოთ მადლობა უ. ვახტანგ თულაშვილს, რომელმაც შეადგინა ამ წიგნს დამატებული საქართველოს კარტა“. იგივე რუკა, ოღონდ შესწორებული სახით, ი. გოგებაშვილმა დაურთო უკვე 1912 წლის გამოცემას. ვ. თულაშვილის მიერ შედგენილი საქართველოს რუკა დაუბეჭდავთ გაზეთ „დროების“ 1869 წლის ერთ-ერთ ნომერთან ერთად და უფასოდ დაურიგებიათ ხელისმომწერთათვის. როგორც ცნობილია, ვახუშტი ბატონიშვილისეული რუკა არის არა ბეჭდური, არამედ ხელნაწერი დოკუმენტი. ამიტომ ვახტანგ თულაშვილის რუკა პირველია საქართველოს გეოგრაფიის ისტორიაში. იგი გახლავთ სტამბური წესითა და მასობრივი ტირაჟით გამოცემული საქართველოს პირველი რუკა.

ვ. თულაშვილი თუმცა სახელმწიფო სამსახურში იდგა, მაგრამ, როგორც ჩანს, თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილად მაინც საზოგადოებრივ მოღვაწეობას მიიჩნევდა. პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად ვ. თულაშვილი აქვეყნებდა წერილებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „საქართველოს მოამბე“, დროება“, „მოამბე“ და სხვაგან. წერილების ძირითადი თემა და პათოსი ქართული საზოგადოების ბევრ მტკივნეულ საკითხს, მათ შორის, განათლება და, ზოგადად, ქართულ კულტურას უკავშირდება. ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე ვ. თულაშვილი მხოლოდ ლაპარაკს არ სჯერდებოდა და მიზნის მისაღწევად პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა. გ. წერეთელი იხსენებს გაზეთ „დროების“ დაარსების ამბავს. მისი თქმით, „საქართველოს მოამბის“ დახურვის გარემოებამ „აღუძრა სურვილი ინტელიგენციის ერთ ჯგუფს შესდგომოდნენ ქართული გაზეთის გამოცემას. გაზეთის გამოცემის მიზნით წინასწარ მუშაობაც ჩაუტარებიათ და სტამბის შექმნასაც შესდგომიან. ამ საქმეების ინიციატორობა უკისრიათ ნ. ლოღობერიძეს, ვ. თულაშვილს, დ. ბაქრაძესა და ს. მელიქიშვილს“. მათ ვენაში ჩამოასხმევიწინეს ახალი ქართული შრიფტი, შემდეგ კი, 1864 წელს, თბილისში გასხნეს ახალი ქართული სტამბა - „სტ. მელიქიშვილისა და ამხ. სტამბა“. იგი გაფორმ-



და სტ. მელიქიშვილის სახელზე, რაკი დანა-რჩენები სახელმწიფო სამსახურში იდგნენ [4].

ცალკე თემაა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ვ. თულაშვილი ამ საზოგადოების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და უშუალო მონაწილე იყო. წერილში „წერა-კითხვის საზოგადოების დაარსება“ იგი იხსენებს იმ წინა წლებს, როდესაც მწიფდებოდა ასეთი ორგანიზაციის დაარსების იდეა და იდგმებოდა პირველი ნაბიჯები: „ჯერ ისევ ადრე, ესე იგი 1870 წლებში, შევიყარენით რამდენიმე ახალგაზრდა კაცი (ზოგი ქალებიც ერივნენ), რომლებსაც ყოველ თვეში შემოჰქონდათ კასსაში თითო მანეთი (ზოგს მეთიც). ამნაირად მოგროვილის ფულით დავაარსეთ სკოლა ს. ხოვლეს, გორის მაზრაში.... რადგანაც ამ ჩვენს პატარა კრებულს სურვილი დიდი ჰქონდა და ღონისძიება იმდენი არა, რომ თავისი სურვილი განეხორციელებინა, ამიტომ დაიბადა აზრი

დაგვეარსებინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება..“ ვ. თულაშვილიმა ნ. ცხვედაძესა და ი. გოგებაშვილთან ერთად მიმართა დ. ყიფიანს, რომ ერთობლივად ემუშავათ ამ წესდებაზე. იგი იხსენებდა: „ნ. ყიფიანმა წინაპირველად არ ისურვა მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში, მაგრამ შემდეგ ჩვენი აზრი მოეწონა, დაგვეთანხმა და კვირაში ერთხელ, ხანდისხან ორჯელაც, ვიკრიბებოდით ხოლმე იმის სახლში წესდების შესადგენად.... წესდების შედგენას თითქმის მთელი 1877 წლის ზამთარი და 1878 წ. იანვარი მოუნდა. ვიდრე გავათავებდით მის შედგენას, ზევით მოხსენებულთა გარდა არავის მონაწილეობა არ მიუღია“ [2].

ბევრი დაბრკოლებისა და წვადების შემდეგ, 1879 წელს დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - ყველაზე ფართომასშტაბიანი კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი მოძრაობა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ვ. თულაშვილი ქმნვკ საზოგა-

დოების დამფუძნებელი წევრი იყო, ხოლო 1904 წლიდან მისი საპატიო წევრიც გახდა. დიდი ხნის განმავლობაში მონაწილეობდა საზოგადოების სარევიზიო კომისიის მუშაობაში. ვახტანგ თულაშვილი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა ქართული საზოგადოების კულტურული აღორძინებისა და განვითარების საპასუხისმგებლო საქმეს. იგი გარდაიცვალა 1910 წლის 9 დეკემბერს თბილისში.

ანტონ ფურცელაძემ „ზურაბ მოენიძის“ ფსევდონიმით ჟურნალ „მნათობში“ (1871 წ.) გამოაქვეყნა პოემა „საპყრობილეს“ ფრაგმენტები. პოემას ახლავს მინაწერი „ვეძღვნი ვახტანგ თულაშვილს“ [3]. პოემა,

რომელშიც მამა ესაუბრება შვილს ამ ცხოვრების ავ-კარგზე, თავდება შემდეგი სიტყვებით:

„მაგრამა...ერთი ცოდნით შებრძოლვა და ერთი მაგრად იმის შერყევა და ეს კედლები, ცოდვით ნაშენნი, თავისვე თავად თვით დაიშლება“...

როგორც ჩანს, ა. ფურცელაძისა და, ზოგადად ქართული საზოგადოებისათვის, ვახტანგ თულაშვილი ასოცირდებოდა როგორც ცოდვასთან ცოდნით მებრძოლი ადამიანი და ამიტომაც ასე გამოხატა ავტორმა თავისი პატივისცემა ამ დიდი მოღვაწის მიმართ.

### ლიტერატურა

1. ბერიძე, ლ., ლაშხი, ა.- მათემატიკური განათლება საქართველოში (1801-1951 წლები): [მონოგრაფია] / თბ; 2009. - 119 გვ.
2. თულაშვილი, ვახტანგ. წერა-კითხვის საზოგადოების დაარსება // საქართველოს კალენდარი. - 1904. - გვ.339-342
3. ფურცელაძე, ანტონ (ზურაბ მოენიძე). პოემიდან „საპყრობილე“ : ხმა მეთხუთმეტე. სიმღერა ყრმასა (ვეძღვნი ვახტანგ თულაშვილს) // მნათობი. - 1871. - N5. - გვ.73-83
4. წერეთელი, გ. თხზულებათა სრული კრებული. ტ. 1 - თბ., 1931. - გვ. 406-407

## რუსუდან ნაქაძე

### იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში

60-იან წლებში რუსეთის მოწინავე ინტელიგენციაში გავრცელებული იყო აზრი - საკმარისი არ არის ხალხის განთავისუფლება ყმობისაგან, თუ მას ვერ გავათავისუფლებთ გონებრივი სიბნელისაგან. 1860-იანი წლებში რუსეთში არსდება „წერა-კითხვის კომიტეტები“, რომელთა თაოსნობით იხსნება დანყებითი სკოლები, სახალხო სახლები, ტარდება ლექციები და ამ გზით ცდილობდნენ ხალხის ცნობიერების ამაღლებას.

იაკობ გოგებაშვილი გადმოგვცემს, რომ ხალხისთვის სკოლების დაარსების პროპაგანდა ხდებოდა ინტელიგენტურ წრეებში, რომლებიც რომელიმე კონკრეტული ოჯახის ირგვლივ იქმნებოდა. 60-იანი წლების მეორე ნახევარში ერთ-ერთი ასეთი ოჯახი ყოფილა იოსებ მამაცაშვილისა. ამ წრის წევრები სისტემატურად იხდიდნენ გადასახადს, მაგრამ წრემ მხოლოდ ერთი სკოლის დაარსება ძლივს მოახერხა სოფელ ხოვლეში.

წრის წევრები მალევე დარწმუნდნენ, რომ იდეის განხორციელებას ვერ შეძლებდნენ, თუ საქმეს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ არ ჩაუდგებოდა სათავეში. იაკობ გოგებაშვილის წინადადებით, ხარკოვში მცხოვრებ ვახტანგ თულაშვილს სიმამრისაგან მიუღია იქ არსებული წერა-კითხვის კომიტეტის ნორმალური წესდება.

საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების აზრი ი. გოგებაშვილსა და ნიკო ცხვედაძეს გაუზიარებით დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძისათვის. ი. გოგებაშვილის გადმოცემით, წესდების ერთ-ერთ პარაგრაფში, სადაც აღნიშნულია: „საზოგადოება თავის მიზანს მიაღწევს იმით, რომ სახალხო სკოლებში სწავლებას შემოიღებს სმშობლო, ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე, იბრუნებს



რუსული ენის სწავლებისთვის“- ი.გოგებაშვილს შეუტანია, რადგან დიმ. ყიფიანს და ცხვედაძეს, წესდების შემდგენელთ, ასეთი მუხლის დამტკიცების იმედი არ ჰქონიათ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების იდეა განხორციელებას მხოლოდ 1879 წელს ეღირსა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ინიციატორებს - დიმ. ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს, ვახ. თულაშვილს და ნიკო ცხვედაძეს შეუდგენიათ წესდება, რომელსაც ხელს აწერს 126 დამფუძნებელი წევრი და მთავრობისათვის წარუდგენიათ დასამტკიცებლად 1878 წლის 20 ივნისს. წესდება დამტკიცდა 1879 წლის 31 მარტს. დამფუძნებელ წევრთა პირველ კრებას, რომელიც 1879 წლის 15 მაისს შედგა, მხოლოდ 22 წევრი დასწრებია.

კრებამ საზოგადოებისა და მისი გა-

მგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია დიმ. ყიფიანი, ასევე საზოგადოების გამგეობა. გამგეობაში არჩეულ იქნენ: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, რაფიელ ერისთავი.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სკოლების გახსნა და გახსნილი სკოლებისათვის დახმარების განევა დაისახა..

1879 წლის 18 ნოემბერის სხდომაზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ განიხილა ი. გოგებაშვილის „წინადადებანი“.

გოგებაშვილის წინადადებით, სკოლა უნდა გახსნილიყო თბილისის ცენტრში ორსავე სქესის 60 მოსწავლისათვის, ყოველთვიური გადასახადი 1 მანეთი დაინიშნა, 10 უღარიბესი მოსწავლე თავისუფლდებოდა გადასახადისაგან. გამგეობამ თითქმის ერთხმად მიიღო გოგებაშვილის წინადადება და 1880 წლის 14 ოქტომბერს გაუხსნიათ სკოლა მესანგრეთა ქუჩაზე 41 სახლში.

თბილისის სკოლის კვალდაკვალ გაიხსნა ქუთაისის ქართული სკოლა, ძველი სენაკის ქართული სკოლა, ბათუმის ქართული სკოლა. მისი გახსნით წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ წამოიწყო ამ კუთხის კულტურული შემომტკიცება. ბათუმის სკოლის დაარსების მიზანი ყველასათვის ცხადი იყო: ამ სკოლაში განათლება უნდა მიეღოთ ქართველ მაჰმადიანებს, სკოლა უნდა გამხდარიყო მათ შორის ქართული კულტურის განმამტკიცებელი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა სხდომაზე ივ. მაჩაბელმა განაცხადა: „ბათუმის სკოლა მართლაც ძვირად უჯდება საზოგადოებას, მაგრამ მაინც უნდა იარსებოს, რადგან ეს სკოლა ისეთი დაწესებულებაა, რომლის სარგებლობა ფულით არ გაიზომება“.

იაკობ გოგებაშვილი ბათუმში სკოლის გახსნაზე წერდა: „ერთი უპირველესი საქმე, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეუდგა ამ ათი წლის წინათ, იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში. განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმა-

ში, რომ ახლად შემოერთებულ ქართველ მაჰმადიანთა შვილები მიეზიდნა, გაემართნა ქართულს წერა-კითხვაში და მათი შუამდგომლობით შემდეგში აჭარაში გავრცელებინა ქართულ წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლთა ძმათა სორის, რომელნიც უღმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა წარსულ საუკუნეებში...“

თავისი არსებობის 25 წლის განმავლობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აარსებდა სკოლებს და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, გამოსცემდა და ავრცელებდა სახელმძღვანელოებს და საკითხავ წიგნებს, აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებს და ნივთებს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას „დედაენა“ და „ბუნების კარი“ გამოცემული ჰქონდა გოგებაშვილისაგან და ჰონორარი, რაც შემოდიოდა, საზოგადოების საჭიროებას ხმარდებოდა. ეს არ იყო მცირე შემოსავალი, რადგან მაშინ ყველაზე გავრცელებული გოგებაშვილის სახელმძღვანელოები იყო.

სიკვდილის წინ დაწერილი ორი ანდერძი მშობელი ქვეყნისა და მშრომელი ხალხისადმი გოგებაშვილის უანგარო სამსახურის, ერთგულების და წრფელი სიყვარულის დამაგვირგვინებელია

საზოგადოების ერთ-ერთ ამოცანას სახალხო სასარგებლო წიგნების გამოცემა და გავრცელება შეადგენდა. საზოგადოების ოქმში 1886 წელს აღნიშნულია: „ბეჭდვა სასწავლო და მდაბიო ხალხისათვის საკითხავი წიგნებისა შეადგენს ერთ უმთავრეს მოვალეობას საზოგადოებისას“, მაგრამ წიგნების გამოცემა ძნელდებოდა სათანადო თანხების უქონლობისა და მთავრობის შემზღუდავი ღონისძიებების გამო.

1888 წლიდან იაკობ გოგებაშვილმა თავისი სახელმძღვანელოები: „ბუნების კარი, „დედაენა“ და „რუსკოე სლოვოს“ გამოცემა მეტად შეღავათიან პირობებში გადასცა წერა-კითხვის საზოგადოებას, რაც მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა მას. დღიდან დაარსებისა, 1920 წლის ჩათვლით, წერა-კითხვის საზოგადოებას სულ 253 სახელწოდების წიგნი აქვს გამოცემული. ეს ციფრი დიდი არც მაშინ იყო, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზოგადოება იყო არა მხო-

ლოდ გამომცემელი ორგანიზაცია, არამედ ყოველგვარი ქართული კულტურული საქმის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი.

მკითხველისათვის ძალიან საინტერესო უნდა იყოს იაკობ გოგებაშვილის ანდერძი, რომელიც შემოკლებით მოგვაქვს:

„მე ქვემოთ ხელის მომწერი, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, საღი გონებითა და მტკიცე მეხსიერებით, ჩემი გარდაცვალების შემთხვევისათვის ვაცხადებ ჩემს შემდეგ ნება-სურვილს:

ქართულ და რუსულ ენებზე დაწერილ, გამოუკლებლივ ყველა, ჩემს სახელმძღვანელოსა და წიგნსა, აგრეთვე მრავალრიცხოვან ნახატ და საწერი დედნების კლიშეებსა, ლითოგრაფიულ ქვას, რომელზედაც მოგრაჟირებულია საქართველოს რუკა და წარმოადგენს „ბუნების კარის“ დანართს და ინახება მესხიევის ლითოგრაფიაში, აგრეთვე ყველა ჩემს სტატიას, დაბეჭდილს ქართულსა და რუსულ პერიოდულ გამოცემებში, დაუმთავრებელი წიგნების, ჯერ დაუბეჭდავი სტატიების ხელნაწერებს, ჩემს ბიბლიოთეკას ვუანდერძებ კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართულ მოსახლეობას შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელ

თბილისის საზოგადოებას. ამავე საზოგადოებას მიწის ნაკვეთს ვერაზე თბილისში, ზომით 264 კვ.საჟენს, რომელიც 1901 წელს ვიყიდე.

ამასთან ერთად, წერა-კითხვის საზოგადოებას ვაკისრებ დაიცვას შემდეგი პირობები:

ჩემი სახელმძღვანელოების ყოველწლიური შემოსავლის ხარჯზე, ის ვალდებულია, დაარსოს და შეინახოს სანიმუშო დაწყებითი სკოლა ჩემს მშობლიურ სოფელ ვარიანში. თუ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რაიმე განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, იძულებული იქნება, შესწყვიტოს თავის არსებობა, საქმეების ლიკვიდაციის დროს, საზოგადო კრებამ საკუთრების უფლება ჩემს სახელმძღვანელოებზე და წიგნებზე, აგრეთვე სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალზე უნდა გადასცეს რომელიმე მნიშვნელოვან ქართულ დაწესებულებას იმ აუცილებელი პირობით, რომ წიგნების წმინდა მოგება და სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალის სარგებელი გამოყენებულ იქნას სწორედ ამ დანიშნულებისათვის, რომელიც გამოსხატულია ამა ჩემს ანდერძში“.

#### ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი, იაკობ - რჩეული თხზ. ტ.3 - თბ; 1980
2. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება- თანამედროვეთა მოგონებები - თბ., 2004
3. ხუციშვილი, ს. - „მანათობელი“- თბ; 1980
4. ხუნდაძე, ტროფიმე - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - თბ; 1960
5. ხუნდაძე, ტროფიმე - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. - თბ., 1958
6. იოვაძე, ა.- იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტური მასალები), - თბ., 1951

## გურამ თაყნიაშვილი

## მრავალმხრივი მოღვაწის ნათელი კვალი -

რაფიელ ერისთავი - 195

რაფიელ ერისთავს ქართველი მკითხველი იცნობს როგორც მრავალმხრივ შემოქმედს. იგი იყო პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, ისტორიკოსი, ლექსიკოლოგი, მთარგმნელი, გეოგრაფი. სამწერლო მოღვაწეობა რ. ერისთავმა დაიწყო მე-19 საუკუნის 50-იან წლებში. „ცისკარის“ გამოცემამდე წერილებს აქვეყნებდა „Kавказ“-ში. მის თანამედროვეთ იგი მიაჩნდათ აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის ერთგულ თანამებრძოლად და წინამორბედად. რ. ერისთავმა ერთ-ერთმა პირველმა აიმაღლა ხმა ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ და თავისი გაბედული მოღვაწეობით პირველი გამოესარჩლა საუკუნოობით ჩაგრულ გლეხობას, ახალი თემებითა და პრობლემებით გაამდიდრა ქართული ლიტერატურა.

რ. ერისთავი ჯერ სწავლობდა თელავის სამაზრო სასწავლებელში, შემდეგ შუამთის შიომღვიმის მონასტერში. შემდეგ სწავლა გააგრძელა გორში, სადაც დაჰყო ორი წელი. პირველი ლექსი ჭაბუკმა პოეტმა გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“, 1852 წელს. 1850-იან წლებში რ. ერისთავი ერთხანს მსახურობდა თიანეთის თუშ-ფშავ-ხევსურეთის სასამართლოში თარჯიმნად. შემდეგ გადმოდის თბილისში მეფისნაცვლის კანცელარიაში. 1855 წლიდან რ. ერისთავი გადაჰყავთ ქუთაისში სამხედრო გუბერნატორთან თარჯიმნის თანამდებობაზე. 1857 წლიდან იგი ათი წლის განმავლობაში მუშაობდა ზუგდიდის მაზრის უფროსად, შემდეგ ისევ ქუთაისში გააგრძელა მოღვაწეობა გუბერნიის სამმართველოს განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 1870-იანი წლებიდან იგი აღარ ეწევა სახელმწიფოებრივ საქმიანობას და მთელი ენერგიით მოღვაწეობს ლიტერატურულ სარბიელზე. იმერეთისა და სამეგრელოს მხარეების გლეხთა ცხოვრებაზე წერილებსა და ნარკვევებს აქვეყნებდა „Kавказ“-ში. წერილების თემატიკა შეეხებოდა სოციალურ საკითხებს. რ. ერისთავმა



რაფიელ ერისთავი

დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში შექმნა ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების სერია: მხატვრული ნაწარმოებები ლირიკის, პროზისა და დრამატურგიის დარგებში.

ბატონყმობის წინააღმდეგ რ. ერისთავის მიერ გამოთქმული პროტესტის შესახებ გარკვევით მიუთითებდა ილია ჭავჭავაძე: „რაფიელ ერისთავმა, - წერდა ი. ჭავჭავაძე, - პირველმა დასძრა სიტყვა ბატონყმობის წინააღმდეგ, ადამიანური ღირსებისათვის, მათი უფლებების აღსახსნელად და აღსადგენად“. 1873 წელს რაფიელ ერისთავმა და ილია ჭავჭავაძემ დაამუშავეს და ცალკე წიგნად გამოსცეს მათ მიერ შეკრებილი ფოლკლორული მასალა სახელწოდებით „გლეხური სიმღერები და ანდაზები“. ამავე წელს დაიბეჭდა რ. ერისთავის მიერ შედგენილი „ლათინურ-რუსულ-ქართული ბოტა-



ნიკური ლექსიკონი“, რომელშიც ახსნილია 1000-ზე მეტი სიტყვა. რ. ერისთავმა გალექსა ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუიდან“ ამოკრეფილი იგავ-არაკები. 1879 წლიდან რ. ერისთავი აქტიურად იბრძოდა ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოების დაარსებისათვის. გამგეობის პირველსავე სხდომაზე იგი აირჩიეს მოლარედ. აღნიშნული საზოგადოების მუშაობაში მას შეჰქონდა საკუთარი წვლილი. როგორც „ივერიის“ 1891 წლის ერთ-ერთი ნომერი იუწყება, რ. ერისთავს საზოგადოებისათვის შეუწირავს საკუთარი ბიბლიოთეკა, სადაც ბევრი ხელნაწერი და მანამდე უცნობი გამოცემები იყო წარმოდგენილი. მათ შორის აღსანიშნავია რექტორის დავით ალექსიძის ავტობიოგრაფია, რომელიც ჯერ არსად არ იყო გამოქვეყნებული. თვითონ რ. ერისთავი აცხადებდა, რომ მისი ბიბლიოთეკის ღირებულება შეადგენდა 5 000 მანეთს. ამის შესახებ გაზეთის რედაქციას სწერს მოსე ჯანაშვილი სოფ. ქისტაურიდან. 1879 წელს თბილისში აღადგინეს პროფესიული ქართული თეატრი. რ. ერისთავი იყო თეატრალური საზოგადოების წევრი. მისი სასცენო მოღვაწეობის შესახებ საგანგებოდ აღნიშნავდა აკაკი წერეთელი.

1880-იან წლებში რაფიელ ერისთავმა შექმნა ლირიკული ლექსების ციკლი: „დედა ენა“, „ზაფხული“, „აღდგომა“, „სადღეგრძელო“, „სამშობლო ხევსურისა“, „თინას მამითადი“, „ბერუას ჩივილი“ და სხვა. აღნიშნულ ლექსებში რ. ერისთავი ღრმად ჩასწვდა ხალხის გულისწადილს. გლეხის გაჭირვებულ მდგომარეობაზეა დანერგილი ლექსები: „მერცხალი“, „რთველი“, „ზამთარი“, „ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „ჩიტი“, „ჩემი ლოცვა“, „სესიას ფიქრები“ და სხვა, სადაც ავტორმა ქების ჰიმნი უმღერა გლეხობას.

საბავშვო ჟურნალ „ნობათის“ 1883 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილია რ. ერისთავის ლექსი „მიპატიჟება სასწავლებელში“. ი. გოგებაშვილი ამ ლექსს „ნობათის“ პირველ მარგალიტს უწოდებდა. 1884 წელს რ. ერისთავმა დაბეჭდა ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი. მან საკუთარი ხელით გადაწერა ლექსიკონის 2 000-ზე მეტი გვერდი. იგი იყო ამ გამოცემის რედაქტორი, წინასიტყვაობისა და ს. ს. ორბელიანის მოკლე ბიოგრაფიის ავტორი.

რაფიელ ერისთავის მრავალმხრივ შემოქმედებას თან სდევს ჰუმანიზმისა და სიკეთის გამარჯვების უდრეკი სული. მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია სოციალური ყოფის მახინჯი მხარეების წარმოჩენას, პათოსანი შრომისათვის მებრძოლი ადამიანის უფლებების დაცვას. რ. ერისთავმა მთიელთა ლიტერატურულ კილოზე შექმნილი პოეზიის ნიმუშებით ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა საერო პოეზიის ახალი ნაკადი. დედა ენის სინძინდის დაცვის იდეა წარმოჩენილია მის არაერთ და ორ ლექსში. ენის სინძინდე და თვითმყოფადობა მას მიაჩნდა ერის ძლიერებისა და დამოუკიდებლობის დაცვის მძლავრ საშუალებად. იგი გაბედულად ეხმაურება პატრიოტულ თემატიკას და ამდიდრებს მას საკუთარი პოეტური ქმნილებებით. მისი ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ ისეთი პოეტური ქმნილებაა, რომელიც დაბეჭდვისთანავე აიტაცა ქართველმა მკითხველმა და „უკვდავების ბინადარი“ გახადა. ლექსი თავისი შინაარსითა და ღრმად პატრიოტული პათოსით მარადიულ სიცოცხლეზე მეტყველებს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სამამულო ომის დღეებში იგი საბჭოთა ჯარისკაცებს აღაფრთოვანებდა, პატრიოტი პოეტის ამ ლექსმა დიდი შთაბეჭდილება იქონია ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველაზე. ლექსი პირველად დაიბეჭდა 1881 წელს „ივერიაში“, სექტემბრის ნომერში. იმავე წელს იგი გადაბეჭდა „დროებამ“ (1881, №194). „დროების“ რედაქცია ასეთ მინაწერს აკეთებს: „ეს ლექსი ისეთი ჩინებული რამ არის, რომ ვერ მოვითმენტ არ გადმოგვებეჭდა იმ მკითხველებისათვის, რომლებსაც „ივერია“ არ მისდით“. ეს ლექსი სიმღერად იქცა. იგი წარმოადგენს პოეტის პოეტური და პატრიოტული მრწამსის მკაფიო გამოხატულებას. ლექსი მარადიულად ცოცხლობს თითოეული ქართველის გულში. ამით რ. ერისთავმა ფაქტიურად გამოხატა ქართველი ერის გულისთქმა: „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

იაკობ გოგებაშვილი დიდად აფასებდა რ. ერისთავის შემოქმედებას. თავის სახელმძღვანელოებში „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ სისტემატურად აქვეყნებდა რ. ერისთავის პოეტურ ქმნილებებს. „დედა

ენაში“ შეტანილია მისი ლექსები: „ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „დედა ენა“, „მევენახის სიმღერა“ და სხვა ლექსები. „ბუნების კარში“ ი. გოგებაშვილმა შეიტანა რ. ერისთავის ოცამდე ლექსი. მათ შორის: „მიპატიჟება სასწავლებელში“, „პურის მოსავალი“, „მერცხალი“, „ზამთარი“, „ბზობა“, „აღდგომა“, „ზაფხული“, „რთველი“, „სამშობლო ხევსურისა“, „თინას მამითადი“ და სხვები, რომლებსაც ასეთი დიდი გრძნობითა და აღტაცებით კითხულობდნენ და ზეპირად სწავლობდნენ ქართველი ბავშვები.

რაფიელ ერისთავმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართულ ფილოლოგიასა და ენათმეცნიერებას. მან დაამუშავა ტერმინოლოგიები „არითმეტიკისა და გეომეტრიისა“, „ფიზიკისა და ასტრონომიისა“. 1880 წელს მუშაობა დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაზე. რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი და იონა მეუნარგია წერილობით ატყობინებდნენ ქართველ საზოგადოებას, რომ ვისაც კი გააჩნდა პოემის ხელნაწერი, გადმოეგზავნათ წერა-კითხვის საზოგადოებაში. ტექსტის დამდგენმა კომისიამ მუშაობა დაიწყო 1881 წელს. პირველ სხდომაზე თავმჯდომარე იყო გრიგოლ ორბელიანი. კომისიის წევრებს დაურიგდათ პოემის 22 ხელნაწერი. რაფიელ ერისთავი 1841 წელს მ. ბროსეს მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნიდან“ ხმამაღლა კითხულობდა ტექსტს. ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ს. მესხი, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე უმიკა-

შვილი და სხვები თვალყურს ადევნებდნენ პოემის ხელნაწერ ტექსტს. 1888 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეულ გამოცემას სწორედ ამ კომისიის მიერ დადგენილი ტექსტი დაედო საფუძვლად.

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა უფროსი თანამებრძოლისა და თანამოკალმის ღვანლსა და ამაგს, რომელსაც რ. ერისთავი თავდაუზოგავად ეწეოდა ერის სამსახურში. 1890-იანი წლებიდან რ. ერისთავი მუშაობდა ქართული ენის ცენზორად. ამ თანამდებობაზე მან იმუშავა შვიდი წლის განმავლობაში და არაერთი და ორი ეროვნული საქმე დააგვირგვინა წარმატებით. ამ დროისათვის „ივერიის“ გარშემო შემოკრებილი ქართული საზოგადო მოღვაწენი ილია ჭავჭავაძის მეთავეობით, მეფის მთავრობის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. მიუხედავად ასეთი წნეხისა, რაფიელ ერისთავი მაინც ახერხებდა ბრძოლას ქართული ენის სინმინდის დასაცავად. გამოსცემდა არა მარტო მხატვრულ, არამედ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას, რომელსაც მკითხველი საზოგადოება კმაყოფილებით ხვდებოდა. 1895 წელს მთელმა საქართველომ საზეიმოდ აღნიშნა რ. ერისთავის საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილე. გარდაიცვალა 1901 წელს, დასაფლავებულია ქ. თელავში, ერეკლესეულ სასახლის ეზოში.

#### რაფიელ ერისთავის თხზულებათა ძირითადი გამოცემები:

1. მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებებიდან.- ტფ., 1884.- 167 გვ.;
2. ფოლკლორულ ეთნოგრაფიული წერილები.- თბ., 1986.- 250 გვ.;
3. შემოკლებული ლათინური, რუსული და ქართული მცენარეთა ლექსიკონი.- თბ., 1873.- 86 გვ.;
4. ასპინძის ომი//ქართული პოემა.- თბ., 1986.- ნ.3.- გვ.5-18.

#### ლიტერატურა რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ:

1. აბაშიძე, კ. ეტიუდები.- თბ., 1962.- გვ. 411-418;
2. ასათიანი, გ. თანამდევნი სულები.- თბ., 1983.- გვ. 52-53;
3. გაბისონია, თ. რაფიელ ერისთავის დრამატურგია.- თბ., 2006.- გვ. 94;
4. ვართაგავა, ი. კრიტიკული წერილები.- ნ.1.- თბ., 1958.- გვ. 174-208;
5. ზანდუკელი, მ. ახალი ქართული ლიტერატურა.- ტ.2.- თბ., 1954.- გვ. 387-402;
6. კოტეტიშვილი, ვ. რჩეული ნაწერები.- ნ.1.- თბ., 1965.- გვ. 505-528;
7. რადიანი, შ. რაფიელ ერისთავი.- ტფ., 1933.- 72 გვ.;
8. ჯადოგნიშვილი, თ. რაფიელ ერისთავი.- თბ., 1986.- 135გვ.

## გიორგი სარაჯიშვილი

### სწავლა-განათლება და დავით და ეკატერინე სარაჯიშვილები

1879 წლის 15 მაისს თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის შენობაში (ამჟამად ეროვნული ბიბლიოთეკა) დიმიტრი ყიფიანის თავმჯდომარეობით, 45 დამფუძნებელი წევრის დასწრებით, შედგა საერთო კრება, რომელმაც აირჩია საზოგადოების პირველი გამგეობა: დიმიტრი ყიფიანი (თავ-რე), ილია ჭავჭავაძე (თავ-რის ამხანაგი), წევრები: იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი (საზოგადოების მდივანი).

დავით სარაჯიშვილი დამფუძნებელთა შორის მეთვრამეტე ნომრით არის სიაში შეტანილი და იმ დღიდან იგი საზოგადოების საპატიო წევრია. მან იმთავითვე უარი განაცხადა, გამგეობაში ყოფილიყო არჩეული, რადგან სამეწარმეო საქმიანობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული, მხოლოდ ემზადებოდა.

დავითის სიმდიდრეს წარმოადგენდა მამის - ზაქარიას დატოვებული და პირველი ქართველი ქალაქისთავის, დიდი სოვდაგრის, უშვილო ბიძის - სოლომონის ქონება, რომელიც ანდერძით ერგო.

ფირმა — „სარაჯიშვილი და ამხანაგობა“ 1884 წელს დააარსა დავითმა და 1885 წლიდან „ფულადი მოგება“ დაიწყო.

დავითი და ეკატერინე უკანმოუხედავად ეხმარებოდნენ გაჭირვებულსა თუ დავრდომილს. აკეთებდნენ საზოგადოებისათვის საჭირო საქმეებს. „არც ერთი საზოგადო საქმე ცოტად თუ ბევრად საგულისხმო, არ გამოეპარებოდათ მხედველობიდან“.

იაკობ გოგებაშვილი წერდა, რომ დავითი მართლაც მილიონების პატრონი იყო, მაგრამ მას თავისთვის კი არ ხარჯავდა, ქვეყანას ახმარდა. მოღვაწეობის 30 წლის განმავლობაში არ ყოფილა თითქმის არც ერთი დიდი თუ პატარა საზოგადოებრივი წამონწყება, რომ მონაწილეობა არ მიეღოს და მასში დიდი წვლილი არ შეეტანოს. დავითი ყველას გაჭირვების ტალკვესი იყო. თუ ვინმე ავად გახდებოდა, ან ესაჭიროებოდა საზღვარგარეთ გამგზავრება, უსათუოდ დავითისათვის უნდა მიემართა. ვინ აღარ იყო მისი სტიპენდიანტი! ყოველ წელს ასამდე

მოზარდი ჰყავდა გაგზავნილი რუსეთში, თუ საზღვარგარეთ... პირადად დავითი ისეთი კაცი იყო, თითქოს ეძებდა გაჭირვებულ ხალხს, რომ დახმარებოდა, ხოლო როცა დაეხმარებოდა, იმ დღეს მეტად გახარებული ჩანდა, ასე გეგონებოდათ, მთელი ქვეყანა მისი ყოფილიყო“ (ნინო მაჭავარიანი).

წერა-კითხვის საზოგადოების საღაროში დავითმა იმთავითვე დიდი ოდენობით ფული ჩადო, რადგან საზოგადოება სწავლა-განათლებისათვის იყო შექმნილი: სკოლების აშენება, სახელმძღვანელოების შექმნა, ბიბლიოთეკების გახსნა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა კუთხეებში, კავკასიის რეგიონში; ქართველთა სათვისტომოებში მოსწავლეების აღრიცხვა, მათზე ზრუნვის საქმიანობა, წიგნების გამოცემა და სხვა.

„ისე როგორც ბევრ ეროვნულ საქმეს, „საზოგადოებასაც“ თავისი დიდი ამაგი დასდეს ეკატერინე და დავით სარაჯიშვილებმა. დავითმა წერა-კითხვის საზოგადოებას მუზეუმის ასაშენებლად დაუტოვა 100 ათასი მანეთი, ხოლო მისმა მეუღლემ ეკატერინე ივანეს ასულმა იმავე მიზნით უანდერძა 600 ათასი მანეთი. რითაც შეძენილ იქნა წყნეთის ქუჩაზე მუზეუმის ასაშენებლად მიწა“ (დურმიშხან ლაშხი).

1880 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ახლადშექმნილი — „**ღარიბ მოწაფეთა შემწე, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წესდება**“ დაამტკიცა. წესდება მიზნად ისახავდა, ხელი შეეწყოს სწავლა-განათლების მიღებაში უმთავრესად „საზოგადოების“ წევრების შვილებისათვის. „საზოგადოების“ კრებამ დავითი საპატიო წევრად აირჩია, ხოლო იმ კომიტეტმა, რომელიც თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ 1904 წელს აირჩია შემოწირულობათა მისაღებად სამხედრო საჭიროებისათვის გენერალ-მაიორის ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით, მიიღო დავითისაგან 2 ათასი მანეთი.

თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია დავითმა 1866 წელს დაამთავრა, 10 წლის განმავლობაში, სიკვდილამდე კომერციის



მრჩეველი სარაჯიშვილი — „გიმნაზიის საპატიო მზრუნველი“ გახლდათ. იმპერატრიცა მარია ალექსანდრეს ასულის სამზრუნველოს - „კავკასიის უსინათლოთა საზოგადოებების“ საბჭოს წევრობის კანდიდატი დავითი ეკონომიკურად და ფულადი სახსრებით ყურადღებას არ აკლებდა.

ქართველ თავადაზნაურთა სკოლა, რომელიც შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა, თავდაპირველად საკუთარ სახლში გაიხსნა, შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ბინადრობდა თბილისის სხვადასხვა უბანში. ნიკო ცხვედაძემ აღძრა საკითხი სკოლის შენობის აგების შესახებ და დავითს გაანდო: **„ვინ იცის, დათიკო, იქნებ მოვიდეს დრო და ქართულ უნივერსიტეტს მოხმარდეს ეს შენობაო“**. ილიას, იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ცხვედაძის თაოსნობით, არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილის პროექტით დავითის და სხვათა შემწეობით 1906 წელს აიგო ქართული გიმნაზიის შენობა წყნეთის ქუჩის დასაწყისში, უბანი კი 1907 წელს შეუერთდა ქალაქს.

მამა-პაპური ტრადიციის მიხედვით, დავითს შენობის საძირკველში მუჭით ოქრო ჩაუყრია. მშენებლობა ერთი წუთითაც არ შეჩერებულა: **„შენ ენერგიას ნუ დაიშურებ, ჩემო ნიკო, და მე აქა ვარ, - უთქვამს დავითს, - მხოლოდ ერთ რამესა გთხოვ, ამას**

**ნუ გაახმაურებ“**. დავითისაგან ძალამიცემული ნიკო ენერგიას არ იშურებდა.

ახალაგებულ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში მოსწავლეები თავდაპირველად რთულ პირობებში იმყოფებოდნენ, სწავლას უშლიდა ხელს სამკითხველო-ბიბლიოთეკის, ლაბორატორიების უქონლობა და მრავალი სხვა საკითხი.

სარაჯიშვილის ფირმის მოსამსახურეებს, ხელოსნებს, მუშებს დავითის გარეშე დაუდგენიათ სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში მოაწყონ ფიზიკის კაბინეტი, რისთვისაც **„გაუღიათ 5 ათასი მანეთი“**. გადანყვეტილება უცნობებიათ „საზოგადოებისათვის“. გამგეობამ მიიღო „უხვი საჩუქარი“, გამოუცხადა ქარხნის მოსამსახურეებს, ხელოსნებს და მუშებს გულითადი მადლობა და გადანყვიტა კაბინეტს დაარქვას — „დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის“ სახელი და იქვე დაიკიდოს მისი სურათი.

1918 წლის 26 იანვარს (ძვ.ს.) სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით ქართული უნივერსიტეტი — „კავკასიაში პირველი“ რომ გაიხსნა, დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების ანდერძის ნების აღმსრულებლებმა 144 დასახელების, 2309 ტომი სამი კარადით უსახსოვრეს უნივერსიტეტს. კარადები დღესაც

ამშვენებს დედაუნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

სარაჯიშვილის ფირმის კანტორასთან დაარსდა 30 ათასი მანეთის ოდენობის ფულადი ფონდით, — „**ნიჭიერი ახალგაზრდის შემსწავლელი კომიტეტი**“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა „**მარად სახსენებელი**“ ნიკო ცხვედაძე. კომიტეტის მიზანი იყო, გამოევიწყლინა ნიჭიერი ახალგაზრდა და ხელი შეეწყოს სწავლა-განათლების მიღებაში, გაეგზავნა რუსეთის თუ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში. კომიტეტი 150-ზე მეტ ახალგაზრდას დაეხმარა სწავლის მიღებაში ფირმის დახურვამდე, ანუ 1920 წლამდე. დავითი იყო „ახალგაზრდების სულიერი მამა, მასწავლებელი, როდესაც რაიმე ნიჭს შეამჩნევდა ახალგაზრდებში, მანამდე არ მოეშვებოდა, ვიდრე არ გაიგებდა, თუ რა ანუხებდა, რაზედ ფიქრობდა, ოცნებობდა... რას მიქვიან უშვილობა! განა ყველა ბავშვი, მომავლის იმედად აღსაზრდელი, ქვეყნის საკეთილდღეოდ განსაწვრთნელი და განსწავლული, ჩემი შვილები არ არიანო?!“ ამბობდა თავად უშვილო დავითი გულისტკივილით და ერის მომავალზე ფიქრობდა.

დ. სარაჯიშვილის დარიგება: „შვილო, შენ ქალაქში ხარ, აქ სხვა პირობებია ცხოვრებისა. უნდა შეეჩვიო და შეეგუო აქაურობას. თუ მოგეწყინება ქალაქში ყოფნა, არ შეგრცხვეს, მითხარი და სოფელს გაჩვენებ ხოლმე, მაგრამ რასაც გეტყვი, ის აუცილებლად უნდა შეასრულო. პირველი და მთავარი ის არის, რომ უნდა იყო მართალი კაცი.“

ყველაზე მთავარი ის არის, რომ ალაღმართალი კაცი იყო, მე ძალიან მძულს მრუდე ხელის პატრონი კაცი, სიმრუდით ბოლოს ვერ გაიტან, — რაც არ გერგება, არ შეგერგებაო — ამბობს ქართული ანდაზა. სხვისი ნურაფერი გინდა, შვილო, ნურც შენსას გასცემ უაზროდ.

ყაირათიან ცხოვრებას უნდა მიეჩვიო. ყველაფერი კაპიკებით კეთდება. მთავარია ქონების შეძენა, თორემ მისი დახარჯვა ადვილია. ვინც ადვილად ხარჯავს, ვერასოდეს გახდება ქონების პატრონი. გარდა ამისა, უნდა იყო დაუზარებელი, უსაქმოდ არ უნდა გაჩერდე.

ძალიან მეჭავრება ზარმაცი კაცი, ან რა საყვარელია! კაცი უნდა სიცოცხლით სავსე იყოს, უყვარდეს ცხოვრება, ხალხი, კეთილი საქმე. არასოდეს ბოროტება არ გაივლო

გულში, არ შეგშურდეს სხვისი რამ და არ იყო ხარბი. დიდ სიმდიდრეზე არ იფიქრო. მოვა დრო და შენ ყველაფერი გექნება, **და ბოლოს**, სწავლა-განათლების შესახებ: უნდა გითხრა, რომ უსწავლელი კაცი და გამხმარი ხე ერთი და იგივეა. რამდენადაც კაცი ნასწავლია, იმდენად უფრო სასარგებლო საქმეს გააკეთებს. ამიტომ შენ სწავლა უნდა მიიღო ჩემს სახლში. დიდი იქნება თუ პატარა, ყველა ნასწავლი უნდა იყოს.

„**გაუნათლებელი, წერა-კითხვის უმეცარი მუშა, არც თავისთვის ვარგა და არც პატრონისთვისო. წერა-კითხვის მცოდნე მშობელს, შვილიც წერა-კითხვის მცოდნე ეყოლებათ**“, ამ ლოზუნგით დავითმა თავისი ქარხნების მუშებს სათანადო განათლება რომ მიეღოთ, „**დაუარსა ბიბლიოთეკა-სამკითხველო ქართული წიგნებისა**“, შეჰპირდა ჯამაგირის მომატებას, ვინც წერა-კითხვასა და ანგარიშს შეისწავლიდა.

ქვეყანაზე ქველმოქმედნი მეტი ყოფილან, ვიდრე მეცენატნი. ხალხს ზოგისთვის შეგნებულად ქველმოქმედი და ზოგისთვის მეცენატი შეურქმევია, მაგრამ იშვიათია პიროვნება, ქველმოქმედი და მეცენატი ორივე ერთად რომ დაურქმევიათ. ერისაგან ასეთი სახელი ერგო დავით სარაჯიშვილსაც.

„რა მეშველებოდა, ჩემო ნიკო, დავით სარაჯიშვილი რომ არ მყავდესო“, უთქვამს აკაკის. „არაფერია ჩემო აკაკი, შენ გაუძლებ სიღარიბეს, მაგრამ რა ეშველება ქართულ თეატრს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ღარიბ მსახიობებსა და მოსწავლეებს უდავითოთ“, პასუხობდა ნიკო ნიკოლაძე და დასძენდა — „ისეთი კაცი, როგორც დავით სარაჯიშვილია, ააღორძინებს ქართველ ერს და წინ წასწევს მის ეკონომიკურ ძლიერებას. კარგია რომანები, ლექსები, ეს უდიდესი სულიერი საზრდოა ადამიანისა, რომლის გარეშეც ცხოვრება დაკარგავდა თავის აზრსა და შინაარსს“.

დავითმა და მისმა მეუღლემ „კარგად იცოდნენ საქართველოს ისტორია, ისიც კარგად იცოდნენ, რომ საჭიროა თეატრების, მუზეუმების, სკოლებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა, რომ საჭიროა დაეხმარო ხელოვნების ღარიბ მოღვაწეებს და გზა გაუკაფო სამოქმედოდ, ისიც იცოდნენ, რომ საჭიროა აღდგენა დანგრეული და ხავსმოდებული ძვირფასი ისტორიული ძეგლებისა“ (არჩილ სტეფანიშვილი).

90 -იან წლებში დავითს წილად ერგო პატივი შეეყვანათ ერის ქრისტიანული სულიერების შემნახავი განძის, პირველთაგან ტაძრის – სვეტიცხოვლის რესტავრაცია-აღდგენითი კომიტეტის შემადგენლობაში, სადაც დიდი როლი ითამაშა სამშენებლო სამუშაოებში მისმა დამოკიდებულებამ.

სოფ. დიღომში პირველდანიწყებითი სასწავლებელი 1891 წელს დააარსა დავითმა საკუთარი ხარჯით და 1894 წელს წერა-კითხვის საზოგადოების სახელზე, ბათუმში პირველი ქართული სკოლის შენობის აშენებისათვის ხაზინდარს გრიგოლ ვოლსკის 30 თუმანი გადაუგზავნა, წინასწარი ხარჯებისათვის.

შეკვეთილმა, ვერაგულმა ილიას მკვლელობამ, ისევე, როგორც მთელი საქართველო, დავითი და ეკატერინე შეძრა! ილიას მიერ „მიცემული ენერჯია“ წაართვათ, დავითმა „ფრთები“ ჩამოყარა. დიდხანს ადგილს ვერ პოულობდა; რცხვენოდა, რომ ქართველი იყო... როდესაც ილია გარდაიცვალა, დავითი ორი კვირის განმავლობაში შინიდან არ გამოსულა.

კნეინა ელენე ილიას ასული აფხაზისა, კარდანახის სამკითხველოს გამგე, „უგულითადეს მადლობას უცხადებს ეკატერინეს, უფასო სახალხო სამკითხველოებისათვის 25 მანეთის შემოწირულობის გამო“. მადლობას სწირავს ქართველ ქალთა ამხანაგობის გამგეობა ეკატერინეს, რომელიც „ორი წელიწადია, ყოველ თვეში სამი თუმნით უმართავს ხელს ქალთა ამხანაგობის სამკერვალო სკოლას (დააარსა ეკატერინე გაბაშვილმა) თანაც არ აკლებს მრავალგვარ სხვა ნივთიერ, ზნეობრივ დახმარებას“.

1911 წლის 20-26 ივნისს, დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების სამგლოვიარო დღეებში, თბილისის პირველი ვაჟთა გიმნაზიის ღარიბ მონაფეთა შემწე საზოგადოების საპატიო მზრუნველის და თავმჯდომარის კუბოს ამკობენ გვირგვინებით გიმნაზიის მადლიერი მოსწავლე - პედაგოგები: **„უბადლო ქუის მასწავლებელს ჩვენი ერისას“**, ბათუმის, ბაქოს, ვლადიკავკაზის წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებები; წიგნის გამომცემლობების ამხანაგობები; ქალთა და ვაჟთა პროფესიონალური სკოლები; მართლმადიდებელი სემინარია და სხვ. რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

დავით სარაჯიშვილი (1910), ეკატერინე ივანეს ასული (1915) ტოვებენ ანდერძებით სწავლა-განათლების საქმისათვის საქირო თანხას:

500 ათასი მანეთი — წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას: უძრავი ქონების (სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ 2 მილიონ მანეთად იყო შეფასებული) გაყიდვის შემდეგ თანხის ნაწილი მიეცემოდა რუსეთის იმპერიაში შემავალ სასწავლებლების, ასევე საზღარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტებს.

50 ათასი მანეთი — თბილისში პოლიტიკური ან სხვა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის;

30 ათასი მანეთი — ვლადიკავკაზის ღარიბ მოსწავლეთათვის სწავლის ქირის გადახდისათვის;

25 ათასი მანეთი — საქართველოს საეთნოგრაფიო საზოგადოებას წიგნების გამოსაცემად;

20 ათასი მანეთი — ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებისათვის;

50 ათასი მანეთი — ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიას;

5 ათასი მანეთი — მართლმადიდებელ სასულიერო სემინარიას.

ჩამონათვალი ამოღებულია ანდერძით განაწილებული 3 მილიონი მანეთის სიიდან.

მადლიერმა საქართველომ დავით სარაჯიშვილს, ისევე როგორც პირველად ილიას, არგუნა სიონის საკათედრო ტაძრიდან, წესის აგების შემდეგ, სამუდამო სასუფევლის გზაზე გაცილება.

დავითის დაკრძალვის დღეს, დამკრძალავმა კომისიამ — ვალერიან გუნიას ხელმძღვანელობით, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში, მიცვალებულის საფლავთან გამოსამშვიდობებელი სიტყვა მისცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, უკანასკნელად პატივის მისაგებად: **„შენ ბევრი გააკეთე, მაგრამ ცოტა იცხოვრე“**... ნათქვამი იყო სიტყვაში.

დავითის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, 1914 წელს წერა-კითხვის საზოგადოებამ, ქუთაისის ფილიალთან ერთად, დაადგინა პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველი სტუდენტებისათვის: „ილია ქავჭავაძისა და დავით სარაჯიშვილის სახელობითი სტიპენდიების დაწესება“.

## კვირეული - 2019


ინგა ფილაური-ლორია

### საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა

2019 წლის 30 აპრილი-ბიბლიოთეკართა პროფესიული დღე! დღე, რომელსაც 2003 წლიდან მთელი საბიბლიოთეკო საზოგადოება და მკითხველები საზეიმოდ აღნიშნავენ. ამ წლიდან ხელისუფლებამ ოფიციალურად დაადგინა საბიბლიოთეკო დღედ. აქედან მოყოლებული დღემდე, საქართველოს ბიბლიოთეკები განსაკუთრებულად აღნიშნავენ მას და, როგორც წესი, საბიბლიოთეკო კვირეულს ატარებენ.

ეს დღე ამ ბოლო დროს მთელი ქვეყნის მასშტაბით საყოველთაოდ აღინიშნება. თითქმის ყოველთვის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში იხსნება საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა.

არც წლევანდელი წელი ყოფილა გამონაკლისი-30 აპრილს აქ გაიხსნა საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნა. ეს დღე ყველაზე გამორჩეული იყო-მთელი საქართველოს ბიბლიოთეკების წარმომადგენლებმა მოიყარეს თაავი ქვეყნის უმთავრეს ბიბლიოთეკაში. განმეორებით მოეწყო ხელოვანი ბიბლიოთეკარებს ნამუშევრების გამოფენა, რომელიც სხვადასხვა ფორმით იყო წარმო-



დგენილი: ნახატები, ნაქარგები, ხელთნაკეთი ნივთები, გობელინები, მხატვრულად გაფორმებული ფარდაგები, კერამიკული ნამუშევრები... კვირეული გახსნა საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა რუსუდან ასათიანმა. გახსნისა და გამოფენის პროცესი მიმდინარეობდა ბიბლიოთეკარ გვანცა ჩხაიძისა და ვიქტორია სამსონაძის მუსიკალური დუეტის პაუზების თანხლებით (ფორტეპიანო და ვიოლინო).

როგორც ცნობილა, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ამ დღისათვის გამოაქვეყნა ალბომი "ბიბლიოთეკარი ხელოვანი", რომელიც ინგა ფილაური-ლორიამ შეადგინა და რედაქტორობა გასწია ლოლა სანაიამ. ალბომში შესულია 59 ბიბლიოთეკარის ნამუშევრების ფოტოპირები, რომლებმაც 36 გვერდი შეადგინა. ერთი გვერდი დაეთმო ბიბლიოთეკართა კულინარიულ ნიმუშებს და აგრეთვე მუსი-





კალური გაფორმების მონაწილეთა ფოტოებს. ალბომის პრეზენტაცია, რომელსაც მისი შემდგენელი უძღვებოდა, დიდი ინტერესით გაეცნო და მოიწონა დამსწრე საზოგადოებამ. ამ პროექტმა, ისევე როგორც წინა პროექტებმა, გვიჩვენა, რომ ბიბლიოთეკარები უფრო ენერგიული, თვითდარწმუნებული, მოტივირებული და პროფესიისადმი უფრო დადაებითად განწყობილნი გახდნენ.

ლონისძიების მეორე ნაწილი დაეთმო 2017-18 წლებში აღდგენილი და ახლადგახსნილ ბიბლიოთეკების კონკურსს მიღწეული შედეგების მიხედვით. ბიბლიოთეკები სლაიდების ჩვენებით, კონკურსის პირობების მიხედვით აკეთებდნენ შესაბამის კომენტარებს. მსმენელებს დაურიგდათ ბიულეტენები კონკურსში მონაწილე ბიბ-

ლიოთეკების ჩამონათვალით. მათ უნდა შემოეხაზთ ერთი ბიბლიოთეკა, რომელსაც საუკეთესოდ მიიჩნევდნენ. ამგვარად ფარული კენჭისყრით გამოვლინდა პირველ სამ ადგილზე გასული ბიბლიოთეკა. ჟიურიმ შეაფასა ეს მონაცემები და გამოაცხადა გამარჯვებულები: პირველი ადგილი ერგო მცხეთის რაიონის სოფ. ნავაზის ბიბლიოთეკას, მეორე ადგილი - მარნეულის მთავარ ბიბლიოთეკას, მესამე - ხაშურის მუნიციპალიტეტის ცხრამუხის ბიბლიოთეკას.

კონკურსის დასრულების შემდეგ გამარჯვებულებს გადაეცა სერტიფიკატები და საჩუქრები. დამსწრე საზოგადოებიდან გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს და შეხედულებებს, უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებასა და იდეებს.

## კვირული - 2019

### მასალების მიმოხილვა

კვირული გაიხსნა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 30 აპრილს, დევიზით „ბიბლიოთეკა როგორც არაფორმალური განათლების ცენტრი“. კვირული სათავეს იღებს 2002 წლიდან. მას შემდეგ ტრადიციად ქცეული ღონისძიებები ყველა მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკებში ტარდება. კვირულის გახსნა შედგა 30 აპრილს; ამ დღეს აღინიშნება ბიბლიოთეკარის პროფესიული დღე. კვირულის გახსნას ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაესწრო საბიბლიოთეკო გაერთიანებათა ხელმძღვანელი პირები, ბიბლიოთეკარე-

ბი. ბიბლიოთეკების მენეჯერებმა წარმოადგინეს სიახლეები, რომლებიც დაინერგა ადგილებზე კომპიუტერული ტექნოლოგიების ყოველმხრივი გამოყენებით. ამ დღეს მკითხველმა საზოგადოებამ, ქსელის ბიბლიოთეკარებმა უშუალოდ გაიცნეს საბიბლიოთეკო სისტემაში დანერგილი სიახლეები, რომლებმაც ბიბლიოთეკას შესძინეს ისეთი ფუნქციები, რაც მანამდე ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი მკითხველი საზოგადოებისათვის. საჯარო ბიბლიოთეკები ამ თვალსაზრისით დიდ როლს ასრულებენ არაფორმალური განათლების პროცესში,



სადაც ერთიმეორეს გონივრულად ერწყმის წიგნზე მუშაობა და კომპიუტერიზაცია.

მუნიციპალიტეტების საბიბლიოთეკო გაერთიანებები აქტიურად აღნიშნავენ ბიბლიოთეკარის პროფესიულ დღეს. ღონისძიებები ტარდება ქსელის ყველა ფილიალში წინასწარ დაგეგმილი განრიგით. ღონისძიებების თემატიკა წინასწარ შრჩეულია. აქ საგანგებოდ უნდა აღნიშნოს იმ ფაქტის შესახებ, რომ ღონისძიებათა თემატიკა ძირითადად შერჩეული და დაგეგმილია მკითხველთა აქტიური მონაწილეობით, მათი საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნათა მაქსიმალური გათვალისწინებით.

საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა კვირეულის დღეებში ზუგდიდის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში. ცაიშის სასოფლო ბიბლიოთეკისა და საჯარო სკოლის ერთობლივი ღონისძიების თემა იყო „ღმერთო სამშობლო მიცოცხლე“, ლიტერატურულ-მუსიკალურ სადამოში მონაწილეობდნენ მოსწავლეები, აქტიური მკითხველები (სასოფლო ბიბლიოთეკის უფროსი დ. ნარმანია); მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრმა შხვედრა მოუწყო ზუგდიდის საჯარო სკოლების იმ მოსწავლეებს, რომლებიც გადიან სპეციალიზირებულ სწავლებას (ორგანიზატორი დ. ქარდავა); მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარებულმა ღონისძიებამ „ერთი დღე ბიბლიოთეკარად“ (ორგანიზატორი მ. გვარამია). ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ზუგდიდის ცნობილი პიროვნებები, ინტელიგენციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ კუთხეში (კოორდინატორი ს. კვარაცხელია) გაიმართა შეხვედრა თემაზე „საქართველოსა და აშშ-ს კონსტიტუცია“. მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარებულმა ღონისძიებამ. ზუგდიდის ინტელიგენციისა და ბიბლიოთეკართა მონაწილეობით შეხვედრა მოუწვევს პოეტსა და მთარგმნელს ბელა შალვაშვილს (ორგანიზატორი ც. თოლორაია), როგორც ცნობილია, ბ. შალვაშვილმა სრულად თარგმნა ფირდოუსის „შაჰნამე“. ამავე დღეებში ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა პერფომანსის კლუბის „ჩვენი სამყაროს“ წა-

რდგენა (ორგანიზატორი ი. კვირკვია, ციფრული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების მომსახურების განყოფილება). 6 მაისს ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ, გაიმართა სახალხო ზეიმი „ზედაენერობა - 2019“. ეს იყო ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია (ორგანიზატორი ზედა ენერის სასოფლო ბიბლიოთეკა, უფროსი ლ. ლეფსაია).

23 აპრილს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება - კულტურის ცენტრში გაიმართა წიგნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „აჩუქე წიგნი“. ღონისძიებას ესწრებოდნენ მერიის თანამშრომლები, სკოლის მოსწავლეები, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ ბიბლიოთეკას გადასცეს მხატვრული და სამეცნიერო-პოპულარული გამოცემები, რითაც ხელი შეუწვევს ბიბლიოთეკის ფონდების განახლებას. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კულტურის ცენტრის დირექტორი ზ. ხაჭვანი და მისი მოადგილე ნ. მაისურაძე.

ზესტაფონის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა თეატრალიზებული კომპოზიცია, რომელიც მიეძღვნა გოდერძი ჩოხელის დაბადებიდან 65-ე წლისთავს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სკოლა „ანაბასის“ მე-8, მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეები (პედაგოგი მ. ფორჩხაძე). დამსწრე საზოგადოება ყურადღებით ადევნებდა თვალს ნაწყვეტებს გ. ჩოხელის ინტერვიუებიდან და მისი ფილმებიდან. ინფორმაცია მოგვანოდა საინფორმაციო განყოფილების სპეციალისტმა ბ. სხილაძემ.

მცხეთის კულტურულ დაწესებულებათა საბიბლიოთეკო განყოფილებამ კვირეული ჩაატარა ტრადიციულად ყველა სასოფლო ბიბლიოთეკაში. კვირეული გაიხსნა ქსოვრისის ა. წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარები ნ. ბუჩუკური და თ. ხუბაშვილი). შეხვედრა მოეწყო პოეტ ტარიელ ხარხელაურთან. პოეტის ლექსებს კითხულობდნენ სკოლის მოსწავლეები და აქტიური მკითხველები. ღონისძიებას ესწრებოდნენ სამხარეო ადმინისტრაციისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

2 მაისს ნ. დუმბაძის სახელობის ბიბლიოთეკამ (ბიბლიოთეკარები ვ. პირმისაშვილი და მ. ნიკლაური) აღნიშნა მუხრან მაჭავარიანის 90 წლის იუბილე. პოეტის ლექსებს ოსტატურად კითხულობდნენ სკოლის მოსწავლეები.

მისაქციელის ს. ს. ორბელიანის სახელობის ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი თ. ბალაშვილი) მოეწყო იოსებ გრიშაშვილის საღამო. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ისაუბრეს მოსწავლეებმა, ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა.

ძალისის კ. გამსახურდიას სახ. ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარები ნ. ყამბეგაშვილი, ნ. დვალისძე და ე. სიმონიშვილი) ღონისძიება მიეძღვნა მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებას. საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს პოეტის მიერ პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსები.

ქსნის ზ. გამსახურდიას სახ. ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარები თ. ხოდელი და ლ. ქსოვრელი) გაიხსენეს გოდერძი ჩოხელი, როგორც პოეტი, მწერალი, დრამატურგი. ღონისძიებას უწოდეს „დარდების შემგროვებელი“. გ. ჩოხელის შემოქმედების შესახებ ვრცლად ისაუბრეს მოსწავლეებმა და ბიბლიოთეკარებმა.

საგურამოს ი. ჭავჭავაძის სახ. ბიბლიოთეკამ (ბიბლიოთეკარები თ. მათურელი და გ. რამიშვილი) ჩაატარა ადგილობრივი პოეტის ი. ჭკადუას (ვაჩე რაინდელის) პოეზიის საღამო, პოეტის ლექსებს კითხულობდნენ მისი მეგობრები, მოსწავლეები. დამსწრე საზოგადოება გაეცნო ასევე პოეტის ფოტოხელოვნების ნიმუშებს.

ძეგვის შ. მღვიმელის სახ. ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარები შ. მაისურაძე და ნ. გირგვლიანი) მოეწყო ნ. დუმბაძის ნაწარმოებების ინსცენირება. ბავშვები დიდი ოსტატობით ასრულებდნენ ნ. დუმბაძის ნაწარმოებების გმირების როლებს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში კვირეულის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა შ. რუსთაველის სახ. მთავარ ბიბლიოთეკაში (ხელმძღვანელი ნ. თათარაშვილი). დიდი ტრადიციების მქონე ბიბლიოთეკა ყოველთვის გამოირჩევა ორიგინალური ღონისძიებებითა და ეფექტური შემოქმედებითი სულისკვე-

თებით აღსავსე შეხვედრებით, რაც იმთავითვე განაპირობებს მის დამსახურებულ ავტორიტეტს მკითხველ საზოგადოებაში. 10 მაისს დასკვნითი ღონისძიება აღნიშნა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით „ვარდობის თვე“. მსმენელების წინაშე წარსდგა მცხეთელი პოეტი იამზე ელიზბარაშვილი. საღამო მუსიკალურად გააფორმეს ბიბლიოთეკის მკითხველებმა. მოეწყო ბიბლიოთეკის თანამშრომლის ზ. დიდებაშვილის ნამუშევრების გამოფენა.

საბიბლიოთეკო გაერთიანებაში ჩატარებულ ღონისძიებებს ესწრებოდა კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის დირექტორი შ. არჯევანიძე. ინფორმაცია მოგვანოდა მთავარმა მეთოდისტმა მ. ზარიძემ.

ბოლნისის იოანე ბოლნელის სახ. მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარდა უცნობი ქართველი რეპრესირებული პოეტის ვანლერ დაისელის (ივანე ბაბუაძის) წიგნის „მზის სახლის“ წარდგენა. წიგნი გამოიცა ლ. ჟვანიას რედაქტორობით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები: თ. რეხვიაშვილი, ა. ჭითანავა, ე. თამაზაშვილი, ქ. ქუქჩიშვილი, ე. ქოჩორაძე. ნორჩმა მკითხველებმა ე. ჟღენტმა, ა. ფოცხვერაშვილმა, ნ. ტერაშვილმა წარმოადგინეს ვ. დაისელის ლექსებზე შექმნილი კომპოზიციები. ღონისძიებას ესწრებოდნენ წიგნის რედაქტორი ლ. ჟვანია, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი პროფ. ადა ნემსაძე. ღონისძიების ჩატარებაში ბიბლიოთეკას აქტიური დახმარება გაუწიეს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებმა ს. კოპალეიშვილმა და კ. ჟღენტმა. კვირეულის პროგრამით ღონისძიებები გაიმართა ბოლნისის საბავშვო ბიბლიოთეკაში, დაბაკაბრეთში, ტანძიის და ქვეშის სასოფლო ბიბლიოთეკებში; ბოლნისის საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „აფხაზეთი ჩვენი ტკივილი“.

გურჯაანის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში კვირეულის პროგრამით ჩატარებული ღონისძიებები ნამდვილად იყო ქართული წიგნისა და ლიტერატურის ზეიმი. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება თემაზე „აღდგომილი გალობა წიგნთა სამყა-

როში“. გურჯაანის სამების საკათედრო ტაძართან არსებული ანსამბლის „საგანძურის“ ნევრებმა შეასრულეს კანონიკური საგალობლები და ხალხური სიმღერები. კვირეულის პროგრამით ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა კარდენახელი პოეტის ფიქრია ბროლაშვილის პოეზიის საღამო. საღამოს უძღვებოდა პოეტის ყოფილი პედაგოგი ნ. კორკოტაშვილი. აქვე გაიმართა პოეტ რეზო სტურუას შემოქმედებითი საღამო და მისი ახალი წიგნის „რჩეული ლექსების“ წარდგენა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო გურჯაანის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი დ. სონღულაშვილი. ღონისძიებას უძღვებოდა საქართველოს სახალხო მწერალი რ. მიშველაძე. სიტყვებით გამოვიდნენ მუნიციპალიტეტის მერი ა. ხანდამაშვილი, მწერალთა კავშირის წარმომადგენლები, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების ორგანიზატორი ლ. გოდელაშვილი და სხვები.

ზეგაანის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება თემაზე „ასე მღეროდნენ და ცეკვავდნენ ჩვენში ძველები“.

ქოდალოს ბიბლიოთეკაში ჩატარდა მუხრან მაჭავარიანის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო. პოეტის შემოქმედების შესახებ ისაუბრეს მკითხველებმა თ. დულარიძემ, ნ. ხატიაშვილმა და სხვებმა. კაჭრეთის სასოფლო ბიბლიოთეკაში ღონისძიება მიეძღვნა ტიცინ ტაბიძის შემოქმედებას.

ნანიანის ბიბლიოთეკაში შეიკრიბნენ ნანიანისა და ჭიმითის ბიბლიოთეკების მკითხველები; ჩატარდა შემეცნებით-გასართობი კონკურსი „რა, სად, როდის?“.

კარდენახის სასოფლო ბიბლიოთეკამ ჩაატარა ი. ნონეშვილის პოეზიის საღამო; სოფ. გურჯაანის ბიბლიოთეკაში ჩატარდა დისკუსია თემაზე „წიგნი თუ კომპიუტერი“; არაშენდის სასოფლო ბიბლიოთეკაში ღონისძიების თემა იყო „წიგნი ჩემი ცხოვრების მეგზური“. ღონისძიებას ესწრებოდნენ

საჯარო სკოლის მოსწავლეები. კვირეული დაიხურა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. აქ მოეწყო გურჯაანის მკვიდრის მიხეილ მღებრიშვილის წიგნის „ვარსკვლავების ჩამოშრევის“ წარდგენა. სიტყვით გამოვიდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თ. ჩალაბაშვილი, დიზაინერი დ. კახოიძე, ლ. გოდელაშვილი და სხვები.

დედოფლისწყაროს საბიბლიოთეკო გაერთიანებაში კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიებები გაიმართა როგორც ცენტრალურ, ასევე სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალებში. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ღონისძიება გაიხსნა ზეპირი ჟურნალით - „ვიცნობდეთ და გვიყვარდეს“, რომელიც მოიცავდა რამოდენიმე თემატიკას. ცენტრალურ ბიბლიოთეკას სტუმრობდა პოეტი თამარ ნასრაშვილი. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საბავშვო ბიბლიოთეკაში, საჯარო სკოლაში. მის კალამს ეკუთვნის პოეტური კრებული „და იყო სიტყვა“. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლექცია-მოხსენებების ციკლი თემაზე „ქართული მართო ენაა?“, „ქართული მართო რწმენაა?“. აღინიშნა საქართველოში დედა ენის დღის აღნიშვნის ტრადიციისა და მნიშვნელობის შესახებ. კვირეულის პროგრამით აღინიშნა პოეტების: გიორგი ლეონიძის -120, იოსებ გრიშაშვილის-130 და შოთა ნიშნიანიძის - 90 წლისთავის საიუბილეო თარიღები. ბიბლიოთეკის მკითხველებმა, მოსწავლეებმა მიმოიხილეს იუბილარი პოეტების შემოქმედება, გამოხატეს მათდამი დიდი სიყვარული. სასიამოვნო იყო მოსასმენად მოსწავლეთა მიერ ზეპირად, მაღალმხატვრულად წაკითხული ლექსები, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრე საზოგადოებაზე.

მიმოხილვა მოამზადა  
**გურამ თაყნიაშვილმა**

**საბიბლიოთეკო ქსელი**

**გურამ თაყნიაშვილი**  
**ნანა ქავთარაძე**

**იმერეთის მხარის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და  
საინფორმაციო მომსახურების მდგომარეობა:  
დახასიათება რაოდენობითი მაჩვენებლებით**

იმერეთის მხარის 12 მუნიციპალიტეტში 2019 წლისათვის ფუნქციონირებს 183 საჯარო ბიბლიოთეკა. მუნიციპალიტეტების მიხედვით ბიბლიოთეკების რაოდენობა ასეთი სახით წარმოგვიდგება:

**ბიბლიოთეკების რაოდენობა 2000 – 2018 წწ.**

№	იმერეთის მხარე	2000 წ.	2008 წ.	2012 წ.	აღსდგა 2012-2018 წწ.	არის 2018 წ.
1.	ქ. ქუთაისი	21	23	14		14
2.	ხარაგაული	43	5	23	2	25
3.	ზესტაფონი	42	1	7	12	17
4.	ჭიათურა	43	5	4	24	28
5.	საჩხერე	35	4	5	11	16
6.	თერჯოლა	28	1	1	1	2
7.	ტყიბული	33	26	6	14	20
8.	ვანი	34	1	3		3
9.	ბაღდათი	23	23	5	2	5
10.	წყალტუბო	43	30	5	23	28
11.	სამტრედია	34	1	7	2	9
12.	ხონი	25	11	13	1	16
	<b>ჯამი =</b>	<b>404</b>	<b>131</b>	<b>91</b>	<b>92</b>	<b>183</b>

როგორც მონაცემებიდან ჩანს, იმერეთის მხარის საბიბლიოთეკო ქსელი ყველაზე მეტად დაზარალდა 2008 წელს. 2012 წლისათვის მხარის საბიბლიოთეკო ქსელში ფუნქციონირებდა 91 საჯარო ბიბლიოთეკა. აქედან ყველაზე მეტად ქსელი შენარჩუნებული იქნა ქუთაისის, ხარაგაულის, ზესტაფონის, სამტრედიისა და ხონის მუნიციპალიტეტებში. 2012 – 2018 წლებში ბიბლიოთეკები აღადგინეს ზესტაფონის, ჭიათურის,

ტყიბულის, საჩხერის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში. ყველაზე მეტად ამჟამად დაზარალებულია ვანის, ბაღდათის და თერჯოლის საბიბლიოთეკო ქსელი, სადაც სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურად დიდი ნაწილი დარჩენილია საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების გარეშე. ხარაგაულის, ჭიათურის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში ტრადიციულად გრძელდებოდა სოფლის მოსახლეობის

ბის საბიბლიოთეკო მომსახურება. საჯარო ბიბლიოთეკების ქსელს არსებითად ეტყობა ადგილობრივი ხელისუფლების ზრუნვა, რაც გამოიხატება სოფლის ბიბლიოთეკებში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვასა და ახალი ლიტერატურის შეძენის საკითხებში.

მუნიციპალიტეტებში საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის აგების პრინციპები მაქსიმალურად უნდა იქნეს მიახლოებული IFLA-სა და ЮНЕСКО-ს რეკომენდაციებთან. საქართველოს პირობებში, სადაც სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი მთიან ადგი-

ლებში ცხოვრობს, ასეთი რეკომენდაციების დაცვა და უზრუნველყოფა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. იქ, სადაც მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით არ არის შესაძლებელი სტაციონალური ბიბლიოთეკის გახსნა და შენახვა, საჭიროა მომსახურების მოძრავი საშუალებებისა და გაცემის პუნქტების გამოყენება. ასეთ მდგომარეობაში მუნიციპალიტეტმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი, რათა დაცული იქნეს მთის მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებები.

**მომსახურების გარეშე დარჩენილი სოფლები მოსახლეობის რაოდენობის ჩვენებით**

№	მუნიციპალიტეტის დასახელება	სოფლ. რაოდ.	მოსახლ. რაოდ.	500-მდე მცხოვრ.	500-დან 1000-მდე მცხოვრ.	1000-ზე მეტი მცხოვ.	შენიშვნა
1.	ზესტაფონი	5	15 333	1	1	3	
2.	ჭიათურა	15	6753	10	2	3	
3.	საჩხერე	15	9681	6	7	2	
4.	თერჯოლა	17	3612		1	16	
5.	ტყიბული	11	3534	9	2		
6.	ვანი	28	9347	20	6	2	
7.	ბაღდათი	12	7887	6	4	2	
8.	წყალტუბო	14	9438	7	3	4	
9.	სამტრედია	11	30696	7	3	1	
10.	ხონი	9	3207	6	3		
	<b>ჯამი =</b>	<b>137</b>	<b>99 488</b>	<b>72</b>	<b>32</b>	<b>33</b>	

მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარმა (ცენტრალურმა) ბიბლიოთეკამ ცალკე უნდა შეისწავლოს და გააანალიზოს მომსახურების გარეშე დარჩენილი მოსახლეობის მომსახურების მდგომარეობა. ჩვენ აქ საანალიზოდ წარმოვადგინეთ რაოდენობითი მაჩვენებლები. უფრო დეტალური ანალიზისათვის აუცილებელია ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოყენება. მუნიციპალიტეტებიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემები

ნათელი სურათია მხარის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მდგომარეობისა. სულ ათ მუნიციპალიტეტში 137 სოფელია მომსახურების გარეშე, აქედან 32 სოფელში მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 500-დან 1000-მდე მცხოვრებელს, ხოლო 33 სოფელში არ არის ბიბლიოთეკა, სადაც მცხოვრებელთა რაოდენობა აჭარბებს 1000-ს. თერჯოლის მუნიციპალიტეტში ასეთია 16 სოფელი, წყალტუბოში-4, საჩხერეში-3, ზესტაფონში-3

და ა. შ. ყურადსაღებია მომსახურების გარეშე დარჩენილი სოფლების დაშორება უახლოესი სტაციონარულ ბიბლიოთეკამდე. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელი ხანი 500-ზე მეტი მაცხოვრებლით უახლოეს ბიბლიოთეკას დაშორებულია 25 კმ-ით; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელი როდინაული 2000-მდე მაცხოვრებლით უახლოეს ბიბლიოთეკას დაშორებულია 7 კმ-ით; სოფელი დელიკაური 1900 მაცხოვრებლით უახლოეს ბიბლიოთეკას დაშორებულია 4 კმ-ით; საჩხერის მუნიციპალიტეტის 16 სოფელი, სადაც არ არის ბიბლიოთეკა, უახლოესი ბიბლიოთეკიდან დაშორებულია 5-6 კილომეტრით. მომსახურების გარეშე დარჩენილი სოფლების დაშორების მანძილი უახლოეს ბიბლიოთეკამდე არსებით მნიშვნელობას იძენს ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ასეთ მუნიციპალიტეტებში მომსახურების მდგომარეობა სპეციალურად უნდა იქნეს შესწავლილი: არის თუ არა ასეთ სოფლებში საჯარო სკოლა, საზოგადოებრივი ცენტრები, მისაწვდომია თუ არა მათთვის ინტერნეტი, სატრანსპორტო საშუალება და ა. შ. მომსახურების გარეშე დარჩენილი სოფლების მდგომარეობა ცალკე სპეციალურად უნდა იქნეს შესწავლილი ჭიათურის, წყალტუბოს და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 15 სოფელი, სადაც არ არის ბიბლიოთეკა, უახლოესი სტაციონარული ბიბლიოთეკიდან დაშორებულია 3-5 კილომეტრით. საჭიროა, ცალკე შესწავლა ასეთი სოფლების მოსახლეობიდან რამდენი სარგებლობს უახლოესი ბიბლიოთეკიდან. ყველგან, თხუთმეტივე სოფელში, არის საჯარო სკოლა. კულტურის

გაერთიანებამ და განათლების რესურსცენტრებმა საჯარო სკოლებთან არსებულ ბიბლიოთეკებს (თუკი ასეთი არის) საშუალება უნდა მისცენ მოემსახურონ სოფლის მოსახლეობას. ასეთი პრაქტიკა დანერგულია საზღვარგარეთის ქვეყნებში. როდესაც საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები თავიანთი რესურსებით ასრულებენ საჯარო ბიბლიოთეკების ფუნქციებსაც. ასეთივე დაშორებაა მომსახურების გარეშე დარჩენილი სოფლებისა ტყიბულის, ვანის, წყალტუბოს, სამტრედიის და ხონის მუნიციპალიტეტებში. საშუალოდ 3 და 5 კმ-ით დაშორება სტაციონალური ბიბლიოთეკიდან საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციების მიერ მიჩნეულია ქსელის ორგანიზების ნორმალურ პარამეტრებად. რა თქმა უნდა მიდგომები უნდა იქნეს ინდივიდუალური წესით, შესაძლებელია ასეთ სოფლებში გავხსნათ გაცემის პუნქტები. უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს ისეთი სოფლები, სადაც დაშორება შეადგენს 7, 10, 15 და მეტ კილომეტრს და სადაც მოსახლეობის რაოდენობა აჭარბებს ათასს.

იმერეთის მხარეში სოფლის ბიბლიოთეკები ძირითადად გაუქმდა 2006, 2007 და 2010 წლებში. სულ მხარეში 2012-2018 წლებში აღადგინეს 92 სასოფლო ბიბლიოთეკა. ასეთი დადებითი ტენდენცია უნდა გაგრძელდეს იმ სოფლებთან მიმართებაში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა აჭარბებს ათასს. მოქმედ სასოფლო ბიბლიოთეკებში მკითხველთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების წინაპირობას შეადგენს საბიბლიოთეკო ფონდების განახლებისა და კომპიუტერული ტექნიკის დანერგვის მდგომარეობა.

**კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობა იმერეთის მხარის 11 მუნიციპალიტეტში**

№	მუნიციპალიტეტის დასახელება	კომპიუტერების რაოდენობა	სოფლ. ბიბ-ში ჩართულია ინტერნეტში	შენიშვნა
1.	ხარაგაული	19	3	
2.	ხონი	11	4	
3.	ვანი	6	2	

4.	ზესტაფონი	11	2	
5.	თერჯოლა	3	-	
6.	წყალტუბო	27	14	
7.	ტყიბული	2	2	
8.	სამტრედია	6	-	
9.	ბაღდათი	9	2	
10.	ჭიათურა	5	1	
11.	საჩხერე	11	-	
	<b>ჯამი =</b>	<b>110</b>	<b>30</b>	

ქუთაისის გარდა ქსელში შეტანილი 110 კომპიუტერიდან სოფლის ბიბლიოთეკებში ინტერნეტში ჩართულია 30 კომპიუტერი. კომპიუტერების ასეთი რაოდენობა სოფლების ბიბლიოთეკებში შეტანილია პროექტით „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“. ცენტრალურ ბიბლიოთეკებში ელექტრონული კატალოგი წარმოებს „open biblio“ პროგრამით. ელექტრონულ კატალოგს ვერ აწარმოებს ტყიბულის ცენტრალური ბიბლიოთეკა კომპიუტერის უქონლობის გამო. ასეთივე მდგომარეობაა ვანის და ხონის მთავარ ბიბლიოთეკებში.

იმერეთის მხარის საჯარო ბიბლიოთეკებში დავანებული წიგნობრივი ფონდები თავიანთი შინაარსით მაქსიმალურად შეესაბამება მკითხველი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნებს. უკანასკნელი წლების მანძილზე

წიგნობრივი ფონდები გამონთავისუფლდა შინაარსობრივად და სხვადასხვა საფუძვლებით მოძველებული გამოცემებისაგან. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის დიდი უმრავლესობა ჯეროვნად ზრუნავს წიგნობრივი ფონდის ახალი გამოცემებით შევსებაზე. სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით მხარეში გამოცემული წიგნებისა და სხვა მასალების სავალდებულო ეგზემპლარი გადაეცემა მხარის მთავარ ბიბლიოთეკას. ფონდების განახლების პროცესში მთავარია ყურადღება მიექცეს ახლადშემოსული გამოცემების გეგმაზომიერ განაწილებას ქსელის ბიბლიოთეკებში. უფრო სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს ამ მხრივ საბავშვო ბიბლიოთეკებისა და განყოფილებების ფონდების განახლების პროცესი.

**2015-2019 წწ. ქსელში შეძენილი ახალი წიგნების რაოდენობა (ეგზ.)**

№	მუნიციპალიტეტის დასახელება	2015-2019 წწ. გამოყოფილი თანხა ლარში	შეძენილი წიგნების რაოდენობა	შენიშვნა
1.	ხარაგაული	20 000	1 920	
2.	ხონი	13 500	1 050	
3.	ვანი	400	744	
4.	ზესტაფონი	15 000	747	
5.	თერჯოლა	12 500	832	

6.	წყალტუბო	-	11 600	
7.	ტყიბული	-	410	
8.	სამტრედია	9 100	1 210	
9.	ბაღდათი	-	1 050	
10.	ჭიათურა	16 200	1 800	
11.	საჩხერე	49 000	3 000	
	<b>ჯამი =</b>	<b>135 700</b>	<b>24 363</b>	

**ერთ ბიბლიოთეკაზე შეძენილი ახალი წიგნების საშუალო რაოდენობა**

№	მუნიციპალიტეტის დასახელება	შეძენილი წიგნების რაოდენობა	ბიბლიოთეკების რაოდენობა	საშუალო რაოდენობა ერთ ბიბ-ზე ეგზ.	შენიშვნა
1.	ხარაგაული	1920	25	76	
2.	ჭიათურა	1800	28	64	
3.	საჩხერე	3000	16	187	
4.	თერჯოლა	832	2	416	
5.	ტყიბული	410	20	20	
6.	ვანი	744	3	244	
7.	ბაღდათი	1050	5	210	
8.	წყალტუბო	11 600	28	414	
9.	სამტრედია	1210	9	140	
10.	ხონი	1050	16	66	
11.	ზესტაფონი	747	17	44	

ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ახალი გამოცემების შეძენის რაოდენობა იმაზე მიუთითებს, რომ იზრდება ინტერესი ფონდების განახლების მიმართ, თუმცა საერთოდ დაბალია ახალი გამოცემებით ფონდების შევსების მაჩვენებლები. საბიბლიოთეკო გაერთიანებების მენეჯერებმა უნდა გაანალიზონ ახლადმიღებული გამოცემების შესაბამისობა მკითხველთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ინტერესებთან, მათი გადანაწილება ბიბლიოთეკებში და ა.

შ. სტატიის გამოქვეყნების ფორმატი საშუალებას არ გვაძლევს წარმოვადგინოთ ამ მონაცემების უფრო დეტალური ანალიზი.

მუნიციპალიტეტებში ბიბლიოთეკების მუშაობის ეფექტურობა ბევრწილად დამოკიდებულია საბიბლიოთეკო კადრების პროფესიულ დაოსტატებაზე, მათ აქტიურ მოქმედებასა და იმ პრობლემების გააზრებაზე, რომლებითაც ხასიათდება თანამედროვე საბიბლიოთეკო პრაქტიკა.




**იმერეთის მხარის საბიბლიოთეკო ქსელში მომუშავე ბიბლიოთეკართა  
პროფესიული კვალიფიკაცია**

№	მუნიციპალიტეტის დასახელება	თანამშრ. რაოდენ.	უმაღლ. სპეც.	უმაღლ. ზოგადი	საშუალ. სპეც.	საშუალ. არასპეც.	საშუ-ალო
1.	ხარაგაული	33	2	6	12		13
2.	ჭიათურა	43	7	22	12		2
3.	საჩხერე	40	11	6	20		3
4.	თერჯოლა	22	3	6	9		3
5.	ტყიბული	26	4	12			10
6.	ვანი	18	4	5	8		1
7.	ბაღდათი	16	2	7	6		1
8.	წყალტუბო	46	3	25	7		11
9.	სამტრედია	23	5	3	12		3
10.	ხონი	30	2	8	20		
11.	ზესტაფონი	30	12	6	12		
	<b>ჯამი =</b>	<b>327</b>	<b>55</b>	<b>106</b>	<b>118</b>		<b>47</b>

იმერეთის მხარის მოსახლეობის სა-ბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მდგომარეობა აქ წარმოვადგინეთ რაოდენობითი მახასიათებლების გამოყენებით. ცალკე უნდა იქნეს გაანალიზებული ქუთაისის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობა. დეტალური ანალიზის დროს მეტი ყურადღება უნდა

მიექცეს იმ სოფლების მოსახლეობის სა-ინფორმაციო მოთხოვნებს, სადაც არ არის საჯარო ბიბლიოთეკა, არც საჯარო სკოლა. მხარის თვითმმართველობის ორგანოებმა შეძლებისდაგვარად, თანდათანობით, უნდა შეძლონ იმ დასახლებულ ადგილებში გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენა.

**მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი - ნავაზის ოთარ ჭილაძის სახელობის ბიბლიოთეკის წარმატების რეცეპტი**

<b>მომზადების დრო:</b>	3 თვე
<b>სირთულე:</b>	
<b>ყველაზე მეტად უხდება:</b>	კეთილგანწყობა ყველა მომხმარებლისთვის



**ინგრედიენტები :**

- მაღალკომპიუტერული ტექნიკა;
- კომპიუტერული უნარ-ჩვევების ცოდნა;
- თანამშრომლობა სკოლასთან;
- ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა;
- თბილი და კეთილგანწყობილი გარემო;
- ბიბლიოთეკის გვერდი;
- მომხმარებლის მოთხოვნების შესწავლა, გააზრება და შესაბამისი რეაგირების მოხდენა.

**რა იყო „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკის“ წარმატების რეცეპტი ნავაზის ბიბლიოთეკაში?**

ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ინფორმაცია გახდა ხელმისაწვდომი ყველა კატეგორიის მკითხველისთვის. პროექტმა მოიზიდა სოფლის მოსახლეობა, რითაც ბიბლიოთეკის მომხმარებელთა რიცხვი გაიზარდა. ბიბლიოთეკამ თემის მობილიზატორის ფუნქცია შეიტავსა.



სოციალური ქსელის მეშვეობით ხშირად ვეკონტაქტები ჩვენს კოლეგებს საქართველოს მასშტაბით. ადვილი გახდა კოლეგა ბიბლიოთეკების აქტივობების გაცნობა, ინფორმაციების გაცვლა და მისაღები სიახლეების დანერგვა. აქტიურად ვთანამშრომლობთ სკოლასთან, სკოლის მოსწავლეები ჩვენი ყველაზე ხშირი მომხმარებლები არიან და მათი აქტიური თანამონაწილეობით ძალიან ბევრ სოციალურ პროექტებს ვახორციელებთ. მათი ასეთი ჩართულობა ერთგვარი რეკლამაა ჩვენი ბიბლიოთეკისათვის, სოფლისთვის, რაც ხელს უწყობს მომხმარებლის გაზრდას.

კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია წიგნებთან ერთად, რაც საშუალებას იძლევა ჩატარდეს ნებისმიერი სახის დისკუსია თუ ღონისძიება. ჩვენს ბიბლიოთეკას ჰყავს მრავალფეროვანი მომხმარებელი. ხშირია შეკრებები სოფლის საჭირბოროტო სამეურნეო თუ საგანამანათლებლო თემებთან დაკავშირებით. თვეში ერთხელ ბიბლიოთეკის სივრცეში ხდება სხვადასხვა რანგის სტუმრების მოწვევა, სადაც ახალგაზრდები უზიარებენ აქტიურად თავიანთ ხედვებს, სურვილებს და ერთობლივი ძალებით გეგმავენ სოფლის განვითარების პერსპექტივებს. ხშირად ეწყობა ფილმის ჩვენებები და ხდება შემდეგ მათი განხილვა-დისკუსია. აგრეთვე გვაქვს წიგნის კითხვის დღეები და ლიტერატურული სასამართლოები, რომელსაც ფართო აუდიტორია ჰყავს. აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენი პროექტი „კვითხულობთ თანამედროვეს“, რომლის ფარგლებში ხდებოდა მცხეთის მუნიციპალიტეტის ყველა სხვადასხვა სოფლის ბიბლიოთეკაში კონკრეტული ქართველი თანამედროვე მწერლის წიგნის პრეზენტაცია, შემდეგ ცოცხალი დისკუსია და ბოლოს მწერლის მოწვევა და მისი ე. წ. „გასამართლება“. ამ და სხვა აქტივობებმა გაამრავლა ბიბლიოთეკის მომხმარებელთა რაოდენობა. აღნიშნული აქტივობები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს გვერდზე.



**რა უნდა გააკეთოთ თქვენ:**




- გიყვარდეთ საკუთარი საქმე;
- იყავით მეგობრული;
- იყავით პასუხისმგებლიანი საკუთარი საქმისადმი და მკითხველისადმი;
- შექმენით მყუდრო და თბილი გარემო;
- მუდმივად იყავით სიახლეების ძიებაში;
- გაუზიარეთ ერთმანეთს თქვენი გამოცდილება.

მზარეული: **ოტია მუზაშვილი**  
ნავაზის ოთარ ქილაძის სახელობის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

**„შეფ-მზარეულის“ რჩევები:**

ძვირფასო კოლეგებო, იყავით ღიმილიანი, ხალისიანი, გულდია, მეგობრული, უშუალო და საუკეთესო მსმენელი. ეს ყველაფერი აუცილებელია იმისთვის, რომ ნებისმიერი კატეგორიისა და ასაკის ადამიანისთვის შექმნათ სასურველი გარემო. მუდმივად იმუშავეთ საკუთარ თავზე. ეძიეთ ახალი. ბიბლიოთეკა უნდა იყოს თემის მობილიზატორი. აგრეთვე კარგად უნდა ერკვეოდეთ სოციალურ მედიაში და ასევე კარგად უნდა გქონდეთ განვითარებული კომპიუტერული უნარ-ჩვევები. და ბოლოს, აუცილებელია მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება.



## სახელოვანი წინაპრები


## გურამ თაყნიაშვილი

## ქართველი სასულიერო პირის ზნეობრივი მაგალითი

ქართველი სასულიერო პირების წმინდანთა დასს ამშვენებს ერთი უსაჩინოესი საეკლესიო მოღვაწე და მეცნიერ-მკვლევარი გრიგოლ ფერაძე. იგი დაიბადა 1899 წელს კახეთში, სოფ. ბაკურციხეში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობა დაიწყო სოფ. ზემო ხანდაკში. შემდეგ სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. 1921 წელს გრიგოლ ფერაძე, როგორც ერთ-ერთი წარჩინებული სტუდენტი, ივანე ჭავჭავაძის რეკომენდაციით, საქართველოს ეკლესიის სინოდმა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მამა ამბროსი (ხელაია), სასწავლებლად გააგზავნეს ბერლინში. გრიგოლ ფერაძე ბერლინის უნივერსიტეტში სწავლობდა რელიგიის ისტორიას, თეოლოგიის სწავლებასთან ერთად, ეუფლებოდა კლასიკურ და აღმოსავლურ ენებს. საბოლოოდ იგი ფლობდა 13 ენას. ბერლინის უნივერსიტეტში მიიღო თეოლოგიის კანდიდატის ხარისხი. ამის შემდეგ 1925 წლიდან სწავლობდა ბონის უნივერსიტეტში. 1927 წელს ქართული ბერობის ისტორიაზე დაწერილი ნაშრომისათვის ბონის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მას მიანიჭა ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1933 წელს გრიგოლ ფერაძე მიწვეულ იქნა ვარშავის უნივერსიტეტში პატროლოგიის პროფესორად. უფრო ადრე, 1931 წელს გრიგოლ ფერაძე პარიზში წმინდა სტეფანეს ეკლესიაში მღვდლად აკურთხეს. ამავე წელს მან პარიზში დააარსა წმინდა ნინოს ქართული ეკლესია და მისი პირველი მოძღვარი გახდა. აქვე მან დააარსა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“. 1934 წელს ლონდონში წმ. სოფიის ბერძნულ საკათედრო ტაძარში მამა გრიგოლ ფერაძეს არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა.

თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე გრიგოლ ფერაძე იყო მრავალი სამეცნიერო და სასულიერო საზოგადოებისა და ორგანიზაციის წევრი. სამეცნიერო შრომების



მამა გრიგოლ ფერაძე

შესაქმნელად მუშაობდა ავსტრიის, იტალიის, რუმინეთის, საბერძნეთის, ინგლისის, სირია-პალესტინის სიძველეთსაცავებსა და ბიბლიოთეკებში. მისი მეცნიერული კვლევის საგანს შეადგენდა საქართველოს ისტორია, ქართული მწერლობა, ეკლესიის ისტორია. გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო ნაშრომების დიდი ნაწილი დაწერილია ბერძნულ, ინგლისურ, ფრანგულ და პოლონურ ენებზე. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ კარგად იცოდნენ ივანე ჭავჭავაძილმა და კორნელი კეკელიძემ. გრ. ფერაძე ავტორია მრავალი საენციკლოპედიო ნაშრომისა და საგანმანათლებლო-პოპულარული სტატიებისა.

ცნობილია გრიგოლ ფერაძის ღვაწლი და თანადგომა პარიზში ქართული საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს ამ სიმდიდრეს საფრთხე დაემუქრა, გრიგოლ ფერაძემ ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად ისეთი დასკვნა დაწერა საგანძურის შესახებ, რომ ერთგვარად შეანელო ინტერე-

სი და ყურადღება ამ სიმდიდრის შესახებ. გრიგოლ ფერაძე, როგორც ექსპერტი, დასკვნაში წერდა, რომ ამ საგანძურს არ გააჩნია არავითარი მატერიალური ღირებულება და იგი მხოლოდ საქართველოს ისტორიის მკვლევარებისთვის არის საინტერესო.

1942 წელს გრიგოლ ფერაძე გესტაპომ დააპატიმრა ვარშავაში, ბრალად წაუყენეს ის, რომ იგი იფარავდა დევნილი ებრაელების ოჯახებს. ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში ტუსაღები გაზის საკანში შეჰყავდათ და ასეთი წესით ხოცავდნენ მათ. ერთ დღს, როდესაც საკანში შესაყვანად ტუსაღები ეზოში იყვნენ და შიგნით რიგ-რიგობით შედიოდნენ, მათ რიგში გრიგოლ ფერაძემ შეიცნო ერთი თავისი ყოფილი სტუდენტი, მრავალშვილიანი პოლონელი ებრაელი. გრიგოლ ფერაძე მორიდებით მიუახლოვდა მას, მოიხსნა არქიმანდრიტის ჯვარი, გადასცა ტუსაღს და ხმადაბლა უთხრა: შენ მრავალშვილიანი ოჯახის პატრონი ხარ, შვილები გელოდებიან, წაიღე ჩემი ჯვარი და ჩააბარე წმინდა მარიამ მაგდალინელის ეკლესიას და თან ჩემი დაღუპვის ამბავი შეატყობინეო. ტუსაღი გაოცებითა და მადლიერებით შეჰყურებდა მამა გრიგოლს, ჯვარი გამოართვა და იქაურობას გაეცალა. მამა გრიგოლმა ესესელ ოფიცერს სთხოვა, რომ ამ პატიმრის ნაცვლად შესულიყო გაზის კამერაში. ასე გმირულად და სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად აღესრულა წმინდა სასულიერო მოღვაწე საკონცენტრაციო ბანაკში 1942 წლის 6 დეკემბერს.

ფრიად ნაღვანსა და შრომაში დამაშვრალს, როგორც აუხდენელი სურვილით ეწადა სამშობლოში დაბრუნება. პოლონეთისა და საქართველოს ეკლესიამ გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა. იგი დღესაც

დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ღირსეულად მოიხსენება პოლონეთის საეკლესიო პირთა მიერ. წმინდა გრიგოლის სახე გამოსახულია ვარშავის წმინდა მარიამ მაგდალინელის ეკლესიაში. ამავე ეკლესიაში შექმნილია წმინდა გრიგოლის ძმობა.

გრიგოლ ფერაძის კალამს, გარდა სამეცნიერო შრომებისა, ეკუთვნის მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიც. მისი ლექსები ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“ გამოსაქვეყნებლად მიანოდა გრიგოლ ფერაძის ძმის შვილმა რომანოზ ფერაძემ. ლექსები გამოქვეყნებულია 1934 წელს. ლექსებში გრიგოლ ფერაძე ნუხილს გამოთქვამს, რომ ვერ დაბრუნდა სამშობლოში: „ვისწრაფი ისევ შენსკენ, მშობელო, შენ გაქვს წამალი, კურნება არსის, მსურს დაბრუნება, აქ დავიღალე, როგორც მოხუცი წელთა სიმძიმით“. სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად თავგანწირულს არ ეღირსა მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნება, იმ ქვეყანაში, რომლის სახელსა და დიდებას, მის ანმეოსა და წარსულს მიუძღვნა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება. დატოვა ღირსეული წმინდანის სახელი. აღესრულა როგორც ღრმად მორწმუნე და განუსაზღვრელად სპეტაკი სასულიერო მოღვაწე.

გრიგოლ ფერაძის ვრცელ ბიოგრაფიას მკითხველი გაეცნობა აქ დასახელებულ ა. გრიშკაშვილის ნაშრომში. წმინდანის შრომების ბიბლიოგრაფია შეტანილია მის წიგნში „უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ“ (თბ., 1995). ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია გრ. ფერაძის 82 დასახელების ნაშრომი, ქართულ, პოლონურ, ბერძნულ და ინგლისურ ენებზე.

#### გრიგოლ ფერაძის ძირითადი ნაშრომები:

1. იერიქონის ვარდები. წმინდა მიწისა და სირიაში მოგზაურობის დღიური.-თბ.,2016.-218 გვ.;
2. „მამაო ჩვენოს“ განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები.- თბ.,2001.-180 გვ.;
3. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართული ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ.-თბ.,1995.-168 გვ.

#### ლიტერატურა გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ:

1. გრიშკაშვილი, ა. წმინდანი და მეცნიერი: უცნობი მასალები არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის შესახებ.-თბ.,2009.-86 გვ.;
2. ზოგრაშვილი, ტ. დიდი ქართველები: ცხოვრების ქრონიკები.-თბ.,2008.-330 გვ.;
3. პაპუაშვილი, ნ. გრიგოლ ფერაძე - სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ.-თბ.,2006.-132 გვ.
4. ფერაძე, რომანოზ - წმინდა მღვდელმონაქმე//გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების ეპიზოდები: კრ.16.-თბ.,2008.-გვ.266-269;
5. შარაძე, გ. უცხოეთის ცის ქვეშ.-ნ.2.-თბ.,1993.-462 გვ.;

## ღირსეული მამულიშვილები

ალექსანდრე ლორია

### მრავალმხრივი მოღვაწე და პროფესიონალი

ცისანა ქორეჩაშვილი-85

ცისანა ქორეჩაშვილი-საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენისა და მედლის-„კულტურის დესპანის“ ჯილდოების მფლობელი, ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ქალთა საბჭოს საპატიო წევრის მედალოსანი, რუსთაველის საზოგადოების საპატიო სიგელით დაჯილდოებული-ეს ის მოღვაწეა, რომელმაც ტიტანური შრომა გასწია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისა და დაცვის საქმეში. მას არაერთ საპასუხისმგებლო სამუშაოზე მოუწია მოღვაწეობა. მისი ინიციატივითა და მონაწილეობით არაერთი ფოლკლორული ფესტივალი გამართულა, მოქმედებდა შემოქმედებითი ლაბორატორიები, მონყობილა თვითნასწავლ მხატვართა გამოფენები, განუწყვეტელი კავშირები ჰქონდა ახალგაზრდა ნიჭიერ სპეციალისტებთან და არაერთს შეუწყო ხელი გზა გაეკაფა თავის შემოქმედებით საარბიელზე.

ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე უშრომია. კომკავშირულ-პარტიულ მოღვაწეობის პერიოდში ყოველ ღონეს ხმარობდა ეროვნულობისა და ქართული ენის დასაცავად, მაშინ, როდესაც ყველა პარტიულ-სახელმწიფოებრივი დოკუმენტი რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო.

გარკვეულ პერიოდში მოღვაწეობდა თბილისის კულტურის განყოფილების გამგედ, 1983 წლიდან მთელი 22 წლის განმავლობაში კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების სამეცნიერო ცენტრს ხელმძღვანელობდა (შემდეგში-ქართული ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი).

დიდია მისი ღვაწლი პროფესიული წიგნების გამოცემის საქმეში-მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გამოქვეყნდა უმნიშვნელოვანესი მონოგრაფიული გამოცემები: „ქართული საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“, „აკვნის ნანა“, „ქართული საცვეკვაო ფოლკლორი“, „ილოცე ბავშვო“, „უკანასკნელი დღენი იმერეთის



ეპისკოპოსის გაბრიელისა“, „ჩემი ვაჟა“.

ქ-ნ ცისანას სადაც კი უმუშავია, ყველგან გამოირჩეოდა საქმის მაღალპროფესიონალიზმით, თავდადებული შრომით, რუდუნებით, კოლეგიალობით. ამიტომაც უთქვამს მასზე მაშინდელ კულტურის მინისტრს-გამოჩენილ კომპოზიტორსა და სასიქადულო მოღვაწეს ოთარ თაქთაქიშვილს: „იშვიათი ქალბატონია, მისი მსგავსი თანამშრომელი სანატრებელიაო“ (წიგნიდან: „პროფესიაში გამორჩეული“-წიგნი 4, 2018,-ლია ბუაძის სტატია). საგულისხმოა, რომ ც, ქორეჩაშვილის შესახებ საკმაოდ ვრცელი სტატიაა დაბეჭდილი მითითებულ წიგნში, რაც იმაზე მეტყველებს, რამდენად დიდად საგულისხმო პერსონას წარმოადგენს ქალბატონი ცისანა.

ამაზე მეტყველებს საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის სიტყვები: „მინდა დიდი მადლიერებით აღვნიშნო საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების ცენტრის თანამშრომელთა და მათი ხელმძღვანელის, ქალბატონ ცისანა ქორეჩაშვილის ზრუნვა ეროვნული საგანძურის დასაცავად“ (დასახელებული წიგნიდან).

ცისანა ქორეჩაშვილის მოღვაწეობის



მრავალმხრივობის მაჩვენებელია მისი გატაცება პოეზიით, მისი პოეტური შემოქმედება, რომელიც გაჯერებულია დიდი მოქალაქეობრივი გრძნობითა და პატრიოტიზმით, წრფელი განცდებითა და უშუალოდ, ემოციების გამოხატულებით....ქ-ნ ცისანას მრავალი ლექსია გამოქვეყნებული საქართველოს ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულებში.

ც. ქოჩიაშვილის მრავალფეროვან სამოღვაწეო ასპრეზზე ბევრი ღირშესანიშნავი ფაქტი შეიძლება დასახელდეს, მაგრამ ჩვენთვის-საბიბლიოთეკო საზოგადოებისა და სპეციალისტებისათვის განსაკუთრებით საგულისხმოა მისი ბოლოდროინდელი საქმიანობა მის მიერ შექმნილ და სახელდებულ ლიტერატურულ სალონში „საგულისონი“ რომელიც თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში მოქმედებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს სალონი მაგალითია არა მარტო საბიბლიოთეკო აქტივობის გამოვლენისა, არამედ ის არის ეტალონი ამგვარი საქმიანობისა ბიბლიოთეკებისათვის, როცა ხდება ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი „დაფრთიანება“, მკითხველთა დიდი ფენების მოზიდვა და წიგნის პოპულარიზაცია. ეს არის აგრეთვე ახალი ფორმების ძიებისა და დანერგვის საშუალება.

ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ქალბატონ ცისანას აქვს განუმეორებელი უნარი ახალ-ახალი იდეების წამოწყებისა,

გამოირჩევა დახვეწილი გემოვნებითა და ინტელექტუალობით, კომუნიკაბელურობით, დამარწმუნებლურობით. საზოგადოებაში მისი საჯარო გამოსვლა ყოველთვის ინვესტლიერ ინტერესსა და მოსმენის სურვილს.

ქ-ნ ცისანა ღირსეული პიროვნებაა, ახასიათებს ადამიანის ღრმად შეცნობისა და გაგების უნარი, კეთილგანწყობილ ურთიერთობის დამყარების თვისებები. მისაბაძია მისი ინტელიგენტურობა, კეთილშობილება, მეტყველების მაღალი კულტურა, თავმდაბლობა და სხვა საუკეთესო ადამიანური თვისებურებანი. ყოელივე ამას, ცხადია, ღრმა საშინაო თუ საზოგადოებრივი აღზრდა ასულდგმულებდა, ის გარემო პირობები, რომლებშიც ის ყალიბდებოდა როგორც მოქალაქე. საკმარისია ითქვას, რომ ის იმ ტრადიციების მიმდევარი იყო მუდამ, რაც დანერგილი იყო ბაბუის, ცნობილი სასულიერო და სამოქალაქო დიდი მოღვაწის მელიტონ კვლენჯერიძისა.

ქალბატონი ცისანა დღესაც ახალგაზრდული, ენერგიული შემართებით მოღვაწეობს. ჯერჯერობით ხანდაზმულობას მისთვის ხელი არ შეუშლია. ვუსურვებდით, კიდევ დიდხანს ემოღვაწეოს საზოგადოებრივ სარბიელზე.

გვინდა ჩვენს მკითხველს ორიოდ ლექსი შევთვაზოთ, რომლებშიც ნათლად გამოხატული ც. ქოჩიაშვილის სამოქალაქო მრწამსი.

ლექსი მინდორში ვიპოვნე,  
ფრთხილად ჩავისვი უბეს,  
ციმციმით გამოვატარე  
გზანვრილსა, ტალახ-გუბეს.

დაღლილმა მუხლზე დავისვი,  
ვუნთებდი თაფლის სანთელს,  
კალამი ავანრიპინე,  
ვინერდი ლექსის სათქმელს.

ისეთ ყვავილებს აფრქვევდა,  
მღეროდა ისეთ ჰანგზე,  
სიყვარულს ისე უხმობდა,  
იმღერებოდა ჩანგზე.

ის რომ მინდორში დამეგდო,  
გზას გაჰყვებოდა, შარას,  
ქარს გაატანდა იმ ჰანგებს,  
არვის ეტყოდა არას...

რა იქნებოდა სიცოცხლე  
ულექსოდ, ამ ქვეყანას?!

2013

### **ჩემს ბაბუს - მელიტონ კელენჯერიძეს**

*გარდაცვალებიდან 75 წლის გამო*

ჩემი ბავშვობის ნათელ ხსოვნას დღემდე შემორჩა  
შენი სპეტაკი, სხივმოსილი, ლამაზი სახე,  
აი, ისეთი, ანგელოზებს რომ აცისკროვნებს,  
სწორედ ისეთი, წუხელიც კი სიზმრად რომ ვნახე;

ამ იდუმალი სახის სხივმა გზა გამინათა,  
ხელნაწერებთან მიმაცილა და მაზიარა,  
ჩემმა გონებამ, ფიქრმა, უმაღ შეისხა ფრთები  
და მივხვდი, მივხვდი - შენი გზებით უნდა მეარა.

და... იშვა შენზე სახსოვარი - წიგნი პატარა,  
და... ერის მამამ, ჩვენმა მამამ იხილა ოდეს,  
კურთხევა მისცა „სოფლის მნათობს“ და „მწყემსსა კეთილს“:  
არ დაივიწყებს სამშობლოო, მას, არასოდეს!

სუნთქვა შემეკრა, ძალა ვიგრძენ ანდამატური,  
მზის სინათლისკენ გავაცილე შენი წიგნები,  
წვრილ საკენკივით ვკრიფე შენი ნაამაგარი,  
როგორც ძვირფასი სამკაული, ძვირი მძივები.

შენ, ჯვარო ჩემო! სიხარულით მოვდივარ შენთან,  
მომაქვს ამაყად ღირს ქართველთა ღირსი სათქმელი,  
გეტყვი, რომ მამულს დღესაც ახსოვს შენი ნაღვანი,  
გახარებ - კვლავაც იკაშკაშებს შენი სახელი.

2014



## წიგნის ისტორია

## წიგნი ხვედელიძე


## ფრანცისკ სკორინა - ბელორუსი პირველობეჭდავი

ბელორუსული და აღმოსავლეთ სლავური წიგნების პირველობეჭდავი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, სწავლული ექიმი, მხატვარი და მესტამბე-გამომცემელი ფრანცისკ სკორინა გახლდათ სლავური კულტურული მემკვიდრეობის ერთგვარი სიმბოლო. მან ბიზანტიური აღმოსავლეთისა და ლათინური დასავლეთის ტრადიციები გააერთიანა და ევროპის საზღვარებთან მცხოვრებ ხალხს ბეჭდური ბიბლია აჩუქა. სკორინამ წიგნი რუსებზე, უკრაინელებზე, პოლონელებზე, ლიტველებზე, სერბებზე, ბულგარელებზე, ფრანგებსა და ბრიტანელებზე ადრე გამოსცა. იმდროინდელი უკრაინელები და ბელორუსები საკუთარ თავს „რუსინებს უწოდებდნენ“. რუსეთში პირველობეჭდავის პატივს მიაგებენ ივანე ფედოროვს, მაგრამ სკორინამ, მასზე ორმოცდაათი წლით ადრე დაბეჭდა „რუსული ბიბლია“, რომელშიც ნათლად აღნიშნავდა, რომ ეს წიგნი რუსი ხალხისთვის შეიქმნა: „для всех русских людей писана“.

ფრანცისკ სკორინა დაიბადა ქალაქ პოლოცკში, ლიტვის დიდ სამთავროში. პირველობეჭდავის დაბადების თარიღად 1486 წლის 6 მარტია მიჩნეული. თუმცა, ზოგიერთი წიგნმცოდნე-ისტორიკოსი თვლის, რომ იგი 1490 წელს დაიბადებოდა, როდესაც მოხდა მზის დიდი დაბნელება. ამის საფუძველს ისტორიკოსებს აძლევს სკორინას გრავეურებზე საგამომცემლო ნიშნის სახით ასახული სიმბოლური გამოსახულება – მთვარეს ამოფარებული მზე.

ახალშობილი მართლმადიდებლურ ეკლესიაში მონათლეს და გიორგი დაარქვეს. მამამისი - ლუკა სკორინა მდიდარი პოლოცკელი ვაჭარი გახლდათ. იგი დარწმუნებული იყო, რომ ვაჭიშვილი მის კვალს გაჰყვებოდა, მაგრამ მოზარდი ცოდნის დაუფლები-საკენ მიისწრაფვოდა. მან თვითონ შეისწავლა თვლა და ფსალმუნების წერა-კითხვა კირილიცაზე. უნივერსიტეტში ჩასარიცხად კი აუცილებელი იყო ლათინური ენის ცოდნა, რის გამოც პატარა გიორგი მამამ ვილ-


ნას ბერნარდინელთა მონასტრის სკოლას მიაბარა. ბერნარდინელები ტოლერანტები გახლდნენ და სკორინასაგან მართლმადიდებლური სარწმუნოების უარყოფა არ მოუ-



თხოვიათ, თუმცა აუცილებელი პირობა იყო ბავშვის ხელმეორედ მონათვლა კათოლიკე ქრისტიანად. სარწმუნოებასთან ერთად მან ახალი სახელი შეიძინა. მოზარდი სამონასტრო სკოლაში ჩარიცხეს, სადაც მან ბრწყინვალედ შეისწავლა ლათინური ენა.

თოთხმეტი წლის ფრანცისკ სკორინამ წარმატებით ჩააბარა გამოცდები და სწავლის გასაგრძელებლად ჩაირიცხა კრაკოვის უნივერსიტეტში. ეს სასწავლებელი მთელ ევროპაში იყო ცნობილი თავისი უმდიდრესი და უძველესი ბიბლიოთეკით. იქ, 1504-1506 წლებში მომავალი გამომცემელი დაეუფლა „თავისუფალი მეცნიერებების“ კურსს, მოიპოვა ბაკალავრის წოდება და ხელოვნების მაგისტრის ხარისხი, რომელიც იძლეოდა ევროპის უნივერსიტეტებში პრესტიჟულ ფაკულტეტებზე ჩაბარების უფლებას.

პირველი უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სკორინა იტალიაში გაემგზავრა. მან წარმატებით ჩააბარა გამოცდა პადუას უნივერსიტეტში, რომელიც აღორძინების ეპოქის მთავარ ცენტრს წარმოადგენდა. „მედიცინის დოქტორის“ ხარისხის მიღების შემდეგ მისი სამოღვაწეო ასპარეზი სხვა



მხარეს წარიმართა, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა არა მხოლოდ ამ ახალგაზრდა კაცის, არამედ ბელორუსიის კულტურულ ცხოვრებაში.

წიგნის ისტორიის მკვლევართა ვარაუდით, 1512-1516 წლებში სკორინა ევროპაში მოგზაურობდა, ეცნობოდა ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, რაფაელის ხელოვნებას. ამის საფუძველს მეცნიერებს აძლევს რაფაელის ერთ-ერთი ფრესკა, რომელზედაც მხატვრის გვერდით გამოსახული მამაკაცი ძალიან წააგავდა პირველმბეჭდავის მიერ ბიბლიაში დაბეჭდილ ავტოპორტრეტს.

ევროპაში ყოფნის დროს სკორინა დაინტერესდა პირველნაბეჭდი წიგნებით, პირველი სტამბებითა და მესტამბე-გამომცემლებით და, როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს შეიცვალა მან სამეცნიერო და სამსახურეობრივი მიზნები: გადაწყვიტა, თავისი ცხოვრება რუსი ხალხის სულიერი განათლებისთვის მიეძღვნა.

იმ დროისათვის ევროპაში წიგნები ლათინური შრფტით იბეჭდებოდა. რუსები და ლიტველები იყენებდნენ კირილიცას და არაჩვეულებრივად ესმოდათ ერთმანეთის. სწორედ, ამიტომ სკორინამ საკუთარი სტამბის გახსნა და ქრისტიანული ლიტერატურის გამოცემა გადაწყვიტა. მან წიგნის ბეჭდვისათვის ყველაზე ხელსაყრელ ქვეყნად ჩეხეთი მიიჩნია, სადაც უკვე სიახლეს აღარ წარმოადგენდა ბეჭდური წიგნი.

1512 წლიდან სკორინა დასახლდა პრაღაში, მაგრამ სასულიერო ლიტერატურის ბეჭდვა არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. სტამბის გამართვისა და საგამომცემლო მოღვაწეობის დასაწყებად მას ხუთი წელი დასჭირდა. იგი თვითონ თარგმნიდა „პრაღის ბიბლიას“, თვითონ უკეთებდა ტექსტს რე-

დაქტირებას, თვითონ ამზადებდა შრიფტს.

1517 წლის 6 აგვისტოს გამოიცა მისი პირველი წიგნი – კირილიცაზე დაბეჭდილი სლავური „ფსალმუნები“, რომლის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „Я, Франциск Скорина, сын славного Полоцка, в лекарских науках доктор, повелел семи Псалтырю тиснути русскими словами, а словенским языком“. იმ დროისათვის ბელორუსულ ენას რუსულ ენას უწოდებდნენ, ეკლესიური - სლავური ენისგან განსხვავებით, რომელსაც სლოვენურს ეძახდნენ. წიგნის სახეწოდება – „Библия Руска“ ხაზს უსვამდა ძირითად ეთნოლოგიურ და სულიერ დანიშნულებას მთელი „რუსინებისათვის“, მათ კავშირს მშობლიურ კულტურასთან, ენობრივ



და ეკლესიურ ტრადიციებთან.

პირველი წიგნის გამოცემის შემდეგ სკორინამ მიიღო გადაწყვეტილება, დაებეჭდა ბიბლიის ყველა ტომი – ძველი აღთქმიდან ქრისტეშობამდე. ორი წლის განმავლობაში მან გამოაქვეყნა 23 ილუსტრირებული ბიბლიური წიგნი, რომელთაგან ბოლო დაბეჭდა 1519-1520 წლების მიჯნაზე.

„Библия Руска“ იწყება სატიტულე ფურცლით, რომელიც მთელი ბიბლიისათვის არის განკუთვნილი. ორნამენტულ-დეკორატიული ჩარჩოთი შემკული ფურცელი

დაბეჭდილია ოთხი საგრავიურო დაფის საშუალებით. საერთო ტიტულის გარდა თითოეულ წიგნს თავისი სატიტულე ფურცელი ახლავს. მასზე ასახული ილუსტრაცია ბიბლიის კონკრეტულ თავში მოცემულ დედააზრს ასახავს და ამით ფრონტისპისის ფუნქციასაც ასრულებს. ისინი ერთი სქემის მიხედვით არის აწყობილი.

წიგნში სასურველი მასალის მოძიებისათვის პრალის გამოცემებში სკორინა იყენებდა ფურცლის ფოლიაციას და კოლონტიტულის სისტემას. ამ უკანასკნელს ათავსებდა ფურცლის შუა ადგილას, მის ზედა ნაწილში.


ბელორუს მბეჭდავს ესთეტიკური მიზნებისათვის სხვადასხვა დეკორატიული ეფექტები აქვს გამოყენებული. ტექსტში ცალკეული ნაწილების გამოსაყოფად სკორინას დატოვებული აქვს სააბზაცო ადგილები, რომლებიც სამი-ოთხი ლიტერის ადგილს იკავებს.

პრალის გამოცემები პირველმბეჭდავმა ქსილოგრაფიის ტექნიკით შესრულებული 43 ილუსტრაციით შეამკო, რომელთა დასამზადებლად გამოყენებულია 38 საგრავიურო დაფა. გრავიურების უმრავლესობა რთულ, მრავალფიგურიან კომპოზიციას წარმოადგენს. ყველა მათგანი მაღალი ოსტატობითაა შესრულებული.

კათოლიკურ ეკლესიას შეუმჩნეველი არ დარჩენია კანონიკურ ბიბლიასთან შედარებით, სკორინას ბიბლიის ტექსტების განსხვავებული რედაქციები. ამასთან, წიგნები დამშვენებული იყო გამომცემლისა და სხვა ადამიანების გამოსახულებიანი ფერადი ილუსტრაციებით. ეს ეწინააღმდეგებოდა როგორც კათოლიკურ, ასევე მართმადიდებლურ ეკლესიაში მიღებულ კანონებს. იმ პერიოდში ჩეხეთის სამეფოში დაიძაბა რელიგიათმორისი ურთიერთობები, დევნიდნენ რეფორმაციის იდეის მიმდევრებს. სკორინას ბიბლია რეფორმაციასთან ასოცირდებოდა, რის გამოც საფრთხე დაემუქრა გამომცემელს, მის სტამბას და წიგნებს. ამას გარდა, პრალაში მძვინვარებდა „ინგლისური ციების“ ეპიდემია. პირველმბეჭდავი იძულებული იყო დაბრუნებულიყო სამშობლოში, სადაც მას საგამომცემლო საქმის დაწყებისათვის უკვე ხელსაყრელი პირობები დახვდა. მან ადვილად მოახერხა დამფინანსებლების მოძიება და ვილნაში,

იაკუბ ბაბიჩის ერთ-ერთ სახლში დააფუძნა პირველი აღმოსავლეთ სლავური სასტამბო სახლი. ბაბიჩის გარდა მისი მეცენატები გახდნენ ბოგდან ონკოვი, იური ოდვერნიკი და კონსტანტინ ოსრტოჟსკი. ქალაქის საკრებულოს წევრმა – იური ოდვერნიკმა სკორინას სპეციალური სიგელიც გადასცა, რომელიც მას წიგნების გაყიდვის უფლებას ანიჭებდა.

ახალდგახსნილ სტამბაში დაიბეჭდა „მცირე სამოგზაურო წიგნი“ – ლოცვანი მგზავრებისათვის, რომელიც ბელორუსიის მიწაზე გამოცემულ პირველ წიგნად არის მიჩნეული, თუმცა მისი გამოშვების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის და სავარაუდოდ, იგი 1522 წელს დაიბეჭდა. მცირე ფორმატის



წიგნი თან სატარებლად იყო განკუთვნილი. იმავე სტამბაში 1525 წელს გამოიცა „სამოციქულო“, პატარა ფორმატის სახლში საკითხავი წიგნი. მისი ტირაჟი არ იყო დიდი, რადგან სკორინა წიგნის ხელმეორედ გამოცემას აპირებდა, მაგრამ გეგმებს ასრულება არ ეწერათ. ეს გამოცემა სკორინას მიერ ბელორუსიაში დაბეჭდილი უკანასკნელი წიგნი აღმოჩნდა.

მაღე იური ოდვერნიკი დაილუპა, რამაც სასტამბო საქმიანობის შეჩერება გამოიწვია. სკორინა იურის ქვრივზე – მარგა-

რიტაზე დაქორწინდა. სკორინასათვის ეს უბედნიერესი ხანა გახლდათ. მათ ვაჟი შეეძინათ. ბედნიერ ოჯახში ორი ვაჟი იზრდებოდა - სემიონი და ფრანცისკო. სემიონი მარგარიტა ოდვერნიკის ვაჟი გახლდათ პირველი ქორწინებიდან. ოთხი წლის შემდეგ მარგარიტა თვითონაც მიიცვალა და შვილები ფრანცისკს დაუტოვა გასაზრდელად. გამომცემლის ცხოვრებაში ურთულესი პერიოდი დაიწყო. რამდენიმე წლის განმავლობაში ყველა დამფინანსებელი დაიღუპა და საგამომცემლო საქმიანობის გასაგრძელებლად სკორინა ფინანსების მოძიებას ვეღარ ახერხებდა.

1529 წელს ვილნაში ძლიერი ხანძარი მოხდა. ფერფლად იქცა ქალაქის ორი მესამედი. ცეცხლმა შთანთქა სტამბა და საბეჭდი დაზგა. აღმოკიდებული შენობიდან ფრანცისკმა მხოლოდ წიგნების გამოტანა მოახერხა.

დაახლოებით 1529 წელს კენიგსბერგში პერცოგ ალბრეხტ უფროსმა საგამომცემლო საქმის მოსაგვარებლად მიიწვია ფრანცისკ სკორინა. რამდენიმე თვის შემდეგ სკორინა უფროსი ძმის გარდაცვალების გამო კენიგსბერგიდან ვილნაში დაბრუნდა. ძმის ვალების გადაუხდელობისათვის იგი დააპატიმრეს. პირველმბეჭდავი საპყრობილედან იხსნა პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ პირველმა სპეციალური შეწყალების სიგელით. მანვე სკორინა ორი სიგელით დააჯილდოვა, რომელიც გამომცემელს ყოველგვარი სამართალწარმოებისაგან ათავისუფლებდა და ანიჭებდა მრავალმხრივ პრივილეგიას.

წარმოშობით ლიტველმა განმანათლებელმა გადანყვიტა ბეჭდური წიგნი მოსკოვის დიდ სამთავროში გაევრცელებინა და შეგროვილი ფულით სტამბის აღდგენა მოეხერხებინა. სკორინა მოსკოვზე დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ 1534 წელს, დედაქალაქში ჩასული პირველმბეჭდავი ერესში დაადანაშაულეს. ჩათვალეს, რომ მისი ბიბლია არღვევდა საეკლესიო წიგნების გადაწერის კანონიკურ წესებს: შეიცავდა გამომცემლის ტექსტებს, გრავიურებს, მათ შორის ავტოპორტრეტსაც. მისი გამოცემები სახალხოდ დაწვეს. საეკლესიო სასამართლოსა და საჯარო ჩამოხრჩობისაგან სკორინა იხსნა ვაჭრის სტატუსმა.

დაახლოებით 1535 წელს, პირველმ-

ბეჭდავი გაემგზავრა პრაღაში, სადაც იგი მიიწვიეს ჰაბსბურგის მეფე ფერდინანდ პირველის პირად ექიმად. არსებობს მოსაზრება, თითქოს ფრანცისკი სახელგანთქმული სამეფო ბალის მებაღე-დეკორატორი გახლდათ, თუმცა ეს დოკუმენტურად არ არის დადასტურებული. სინამდვილეში მან თავისი ცხოვრების ბოლო წლები პრაღაში სრულ სილატაკეში გაატარა.

დადგენილი არ არის ფრანცისკ სკორინას გარდაცვალების ზუსტი თარიღი. საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, რომ 1552 წელს მისი შვილი, სემიონი პრაღაში მემკვიდრეობის მისაღებად ჩავიდა. ამ ფაქტის გამო, მეცნიერთა უმრავლესობა ვარაუდობს, რომ განმანათლებელი 1551 წელს გარდაიცვალა.

სკორინას წიგნებში საღმრთო და საეკლესიო მოძღვრება შერწყმული იყო განათლებასთან, მეცნიერებასთან, მსოფლიო ისტორიის ცოდნასთან. „Библия Руска“ აღმოსავლეთ და სამხრეთ სლავების ტერიტორიებზე დაბეჭდილი წმინდა წერილის ერთადერთი წიგნი გახლდათ.

ფრანცისკ სკორინა მართლმადიდებელიც იყო და კათოლიკეც. მთავარი ის არის, რომ იგი ბეჭდავდა ქრისტიანისათვის უმთავრეს წიგნს - ბიბლიას, ქრისტიანული სწავლების მთავარ წყაროს, რომელიც გათვალისწინებული იყო ფართო მასებისათვის.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმის ფონდში დაცულია ფრანცისკ სკორინას ფაქსიმილური გამოცემები. ისინი ბელორუსული წიგნის 500 წლისთავის აღსანიშნავად დაიბეჭდა 2017 წელს. 23 წიგნისაგან შემდგარი



საიუბილეო გამოცემების კომპლექტი ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტორმა რომან მოტულსკიმ გადასცა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს გიორგი კეკელიძეს. ბელორუსიისა და საქართველოს მთავარ ბიბლიო-

თეკების შორის გაფორმდა ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ორ ერს შორის სოციალურ-კულტურული ურთიერთობების გაფართოებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Немировский Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства: – Ч. 2. – М. 1990.
- Владимирив, П.В., Доктор Франциск Скорина: Его переводы, печатные издания и язык - Тип. Имп. Акад. наук, 1888.
- Франциск Скорина и его время : Энциклопед. словарь / Редкол.: И.П. Шамякин (гл. ред.) и др.- Минск: БелСЭ, 1988.
- Щелкунов М. И. История, техника, искусство книгопечатания. – М. - Л. 1926.

## კორესპონდენციები

### მანანა ზარიძე

მცხეთის შოთა რუსთაველის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა მეთოდისტი

### იუბილარი ბიბლიოთეკარები

დიდი სიყვარულით, რიდიტ და პატივისცემით მინდა მივულოცო 70 წლის იუბილე ქალბატონებს, რომლების თავიანთი ცხოვრების შვიდი ათეულის დროსაც ისეთივე თვალებანთებულნი და ენერგიულები საუბრობენ წიგნზე და ბიბლიოთეკაზე, როგორც მრავალი წლის წინ, რაც მათთვის ეს არასოდეს ყოფილა უბრალოდ მოვალეობა.

თავისი ცხოვრების კრედოს ისინი ასე აყალიბებენ: „სიმართლით უნდა იცხოვრო და იმოღვაწეო კაცმა, სიყვარულით უნდა აკეთო ის, რაც გევალება. არ შეიძლება ნახევარი გულით ემსახურო შენს საქმეს.

ღვანლმოსილი - ეს ერთ-ერთია, რითიც შეიძლება ეს მართლაც გამორჩეული ქალბატონი - მარიამ ქორიძე შევაფასოთ. იგი ნიმუშია საუკეთესო ადამიანისა, კოლეგის, მეგობრის, დედის, ბებიის; არაერთი თაობა დააფრთიანა მაცვალა მრევლიშვილის სახელობის მცხეთის ბიბლიოთეკაში. წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა, რომელიც დღენიადაგ ივსებოდა ახალი ცოდნით, გამოცდილება და ენთუზიაზმი ხელს უწყობდა მისი, როგორც პროფესიონალის თვითდამკვიდრებას. სწორედ პროფესი-

ული ხედვით, საქმის ერთგულებით და შემოქმედებითი უნარით წარმოჩნდება ქალბატონი მარინა.

ქალბატონი მარინა ქორიძე, გამორჩეული შრომითი დამსახურებისთვის, ღირსების მედლითაა დაჯილდოვებული.

ქალბატონი ვენერა პირმისაშვილი, ნოდარ დუმბაძის სახელობის ერედის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარია. დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით, მაგრამ მთავარი ჯილდო მაინც ის ურთიერთობებია, რომელიც ჰქონდა და აქვს იმ ადამიანებთან, რომელთა მხარდამხარ უმოღვაწია. იგი დრესაც ახალგაზრდული შემართებით და ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმიანობას. ყოველთვის ახერხებს, ბიბლიოთეკაში მიიზიდოს ყველა ასაკისა და სპეციალობის ადამიანები. მრავალი თაობის აღმზრდელ ქალბატონს დიდი სიყვარულით მოიხსენიებენ სოფლის მცხოვრებლები.

ილია ჭავჭავაძის სახელობის საგურამოს ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი თამარ მათურელი 40 წელია წიგნის სამყაროში ტრიალებს და თავის მდიდარ, პროფესიულ გამოცდილებას უშურველად გადასცემს

ახალგაზრდა თაობებს. ამ გამრჯე ქალბატონის წყალობით, უამრავი ახალგაზრდა ეზიარა ცოდნის უშრეტ წყაროს. დინჯი და მოზომილი ქცევის, ღიმილიანი, ხალისიანი, თავმდაბალი და ყურადღებიანია მუდამ.

საბიბლიოთეკო დარგის უანგარო და უპრეტენზიო მოღვაწეებს სულის სიმხნევეს და ჯანმრთელობას გისურვებთ. თქვენს უშ-

რეტ ენთუზიაზმზე თქვენივე საქმეები იღაღადებენ. ღმერთმა გვიმრავლოს თქვენაირი მამულიშვილები და პიროვნებები. ათმაგად დაგბრუნებოდეთ ის სიკეთე და ამაგი, რაც გაიღეთ თქვენი მკითხველებისთვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს და დიდ პიროვნულ ბედნიერებას გისურვებთ!

## მედეა მოსიავა

### თბილისის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ადგილი სასწავლო პროცესში

სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მიზნით, ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს კარგად გამართული ელექტრონული კატალოგი. ინფორმაციის მოძიება ხდება როგორც თაროებზე, ასევე ინტერნეტის გამოყენებით. წიგნობრივი ფონდის შინაარსის გახსნისა და მასზე წვდომის მიზნით ბიბლიოთეკაში შექმნილია საინვენტარო წიგნის სრული ელექტრონული ვერსია, რომლის საფუძველზე ცალ-ცალკე დალაგდა ფონდი ენებისა და განყოფილებების მიხედვით. მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია მეთოდური ლიტერატურის შინაარსის ელექტრონული ვერსია, ამოებჭდვა და გამოყენება. შექმნილია ძველი სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსია, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ანალიტიკური ინფორმაციის ძიება და ამოებჭდვა. სისტემატურად წარმოებს ჟურნალების „მასწავლებლის“, „ისტორიანის“, „national geographic“-ის, „ჩემი სამყაროს“ და გაზეთ „ახალი განათლების“ ანალიტიკური დამუშავება, თითოეული ნომრის რუბრიკებისა და სარჩევების ელექტრონული ვერსიების წარმოება. ბიბლიოთეკაში იმთავითვე შეიქმნა მრავალტომეულებისა და სერიული გამოცემების შინაარსის ელექტრონული ვარიანტი, რამაც უზრუნველყო ასეთი გამოცემების შინაარსთან წვდომა. მოსწავლეთა მიერ წარმატებით შესრულებული და დადებითად შეფასებული მასალების ელექტრონული სარჩევი ხელს უწყობს მათ აქტიურ გამოყენებას სასწავლო პრო-

ცესში. პედაგოგთა დახმარებით შედგა კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სია მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესების გათვალისწინებით.

პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ ბიბლიოთეკაში შემოსული ახალი წიგნების, სახელმძღვანელოებისა და ელექტრონული მასალების წარდგენის საქმეში. მოსწავლეთა კითხვის პროცესში ჩაბმას ხელს უწყობს ფონდების სისტემატური განახლება. ყოველწლიურად ბიბლიოთეკა საშუალოდ 2000 ლარის ახალ გამოცემებს იძენს.

სკოლის ბიბლიოთეკაში კითხვადობის ინტენსივობის შესწავლის მიზნით ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ტარდება სპეციალური გამოკვლევები, სადაც გამოვლინდებიან აქტიური მკითხველები კლასების მიხედვით. ათ აქტიურ მკითხველს სკოლის დირექცია აჯილდოებს სიგელებით. პირველ სამ ადგილზე გასულებს გადაეცემათ ახალი წიგნები.

კითხვადობაში ჩაბმის კვლევის პროცესი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ბიბლიოთეკაში განევირიანებულ მკითხველთა საერთო რაოდენობა;
- მკითხველთა აღრიცხვა კლასების მიხედვით;
- აქტიურ მკითხველთა საერთო რაოდენობა კლასების მიხედვით;
- აქტიურ მკითხველთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში წაკითხული წიგნების რაოდენობა;
- დასაჯილდოებელ მოსწავლეთა სიების შედგენა კლასების მიხედვით;

- მოსწავლეთა კითხვადობის თემატიკის კვლევა, მათი ინტერესების სფეროები;
- შედარებითი ანალიზი წლების მიხედვით, რომლის შედეგები გვაძლევს საშუალებას დავაკვირდეთ კითხვადობის დინამიკას, გამოვიტანოთ დასკვნები და შევიმუშაოთ რეკომენდაციები.

აღნიშნული სქემით ჩატარებული გამოკვლევები სკოლის დირექციას საშუალებას აძლევს გამოავლინოს ხარვეზები ბიბლიოთეკის მუშაობაში. ეს ხარვეზები შეიძლება

ეხებოდეს ფონდის დარგობრივ შემადგენლობას, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის შინაარსსა და სახელწოდებათა რაოდენობას. კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების მიმართება ტრადიციულ ბეჭდურ პროდუქციასთან და ა. შ. პედაგოგთა აქტიური მონაწილეობა მოსწავლეთა კითხვადობის პროცესში განაპირობებს მათი წიგნიერების დონის ამაღლებასა და აკადემიური მოსწრების ზრდას.

## ირმა სისაური

### მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში

*„ბებერი ტაო...“*

*შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,  
ქართულო ცაო!“*

შორეული ოცნება ამიხდა... ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები ტაო-კლარჯეთში გავემგზავრეთ... სამშობლო-დაკარგულებმა პირველად ტბეთი მოვიჩინა ხულეთ. ემოცია ცრემლებად წამოგვსკდა. ნანგრევებადქცეული „ძეგლი ძველი დიდებისა“ ერთდროულად იტევდა ტკივილს და სიხარულს, აღფრთოვანებას და სინანულს. გულაჩუყებულნი ვისმენდით ოქროსმადიებელთაგან აფეთქებული ღვთისმშობლის ტაძრის სევდიან ისტორიას და გულის სიღრმეში გვეამაყებოდა, რომ ჩვენც დიდი ქართველების შთამომავლები ვიყავით. წუთიერად თითქოს დროც გაჩერდა და მეთუ საუკუნის საქართველოში დავბრუნდით...“ ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.“

დიდებული სიზმრიდან ხანძთის „ვინ-რო და კლდოვანმა“ გზამ გამოგვაფხიზლა. ენთუზიაზმით შევუდექით „ღირლოლოვანთა მათ ფიცხელთა მწვერვალთა ...დათოთაისა“ გრიგოლ ხანძთელის ნაკვალეზზე ფეხის დაბიჯება გვერიდებოდა, მაგრამ ზემოთ საუკუნეთა სიღრმიდან მომზირალი წმ. გიორგის ტაძარი გველოდა. დღეს უკვე გუმბათჩამოქცეული, მგლოვიარე, მაგრამ მაინც დიდებული, უძველესი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, „სულით ძლი-

ერთა“ სამყოფელი. ადგილი, სადაც „ადამის ძე ბალახითაც გაძლების“ და შრომით დაღლილს ანკარა წყარო გულს გაგიგრილებს. „სასწაულთა იქმოდა ქრისტე ხელითა ნეტარისა გრიგოლისაითა“-გიორგი მერჩულეს ნათქვამის ქეშმარიტებაში საკუთარი თვალთ დავრწმუნდით. მხოლოდ ღმერთკაცს შეეძლო ასეთ სიმაღლეზე მოწითალო ქვებისა და ლოდების ჰარმონია ბუნებისთვის შეეზავებინა.


არანაკლებ შთამბეჭდავი გახლდათ მთავარანგელოზთა სახელზე აგებული დოლისყანის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია, მრავალგზის გვემული და შეურაცხყოფილი, ხან მეჩეთად, ხანაც პირუტყვთა სადგომად ქვეული, თვისტომთაგან მიტოვებული საყდარი, სადაც ნაცვლად წირვა-ლოცვისა მოლას გამყინავი ხმა აყრუებს არემარეს.



ცნობილია, რომ ისტორიულ საქართველოში ყოველ ქრისტიანულ ძეგლს გვერდით მეჩეთი აქვს მიშენებული. ხახულის ღვთისმშობლის სახელობის დიდგუმბათიანი ეკლესია კი საერთოდაც მეჩეთადაა ქცეული და მომლოცველებს ფეხზე გახდა მოგვიხდა ჩვენი ნახევრად ჩამოფხევილ-ჩამორეცხილი ფრესკებისა თუ წარწერების მოსახილველად. ოდესღაც მწიგნობართა და კალიგრაფთა ლიტერატურული ცენტრიდან, სადაც გიორგი მთაწმინდელის სული ტრიალებს, მხოლოდ გაძარცვული წიგნსაცავია შემორჩენილი. ბებურ გობალიშვილისაგან აქ კიდევ ერთხელ მოვისმინეთ ტაძრის ისტორია, გავიგეთ, რომ თურმე მაჰმადიანი უშვილო ქალებიც სთხოვენ ხახულის დედღვთისას შემწეობას... ეკლესიაში სანთლების დანთების უფლება კი მაინც ვერ მივიღეთ და მხოლოდ გარეთ, „უმზეოდ ჩამოგვალულ“ ნანგრევებზე შევავედრეთ ქვეყნის ბედი წმ. მარიამს.

ხახულის ტაძრის გარე ფასადზე მდიდრულად მორთული ჩუქურთმებისა და ფერწერის ფრაგმენტების ხილვამ ცოტა გამოგვაფხიზლა... უფრო კი იმან, რომ შეწყვილებული სარკმლის თაღებშუა არწივის ჰორელიეფური გამოსახულება კვლავაც ამაყად გადმოსცქერის იმიერტაოს.

გულაჩუყებული სამშობლოდაკარგულები ადგილობრივმა ქართველმა მუხო დევაძემ გვისტუმრა: მოგვეფერა, დაგვაპურა, მოგვასვენა. ალბათ, ოთხთასთან შესახვედრად შეგვამზადა... წინ გველოდა ოთხი მახარობლის სახელზე აგებული გრანდიოზული ტაძარი; ოთხი ნაგებობისაგან შემდგარი უძველესი სამნავიანი ბაზილიკა. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თავისი ორნავიანი დარბაზით, ორსართულიანი სამარხით, სამლოცველოთი, სატრაპეზოთი, სემინარიით, სკრიპტორიუმით და სამაროვან ნაგებობათა ნაშთებით ოთხთამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა თითოეულ ჩვენგანზე. ცნობილია, რომ ათონის მთაზე გამგზავრებამდე სწორედ აქ, ამ ტაძარში დაიწყო სამონასტრო ცხოვრება სახელგანთქმულმა ერისთავმა და შემდგომში დიდმა საეკლესიო მოღვაწემ იოანე მთაწმინდელმა. ბაგრატიოვან მეფეთა სადიდებლად აღმართული, მორუხო-მოყავისფრო თლილი ქვებით ნაგები ბუმბერაზი, თავისი ორიგინალური ფრესკებითა და



წარწერებით სასწრაფო შველას ითხოვს ქირისუფალთაგან. „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, დიდიც და დიდებულიც, „თვალნათელიც“ და „ფრთანათელიც“...

ოშკის ხილვამ ბაგრატის ტაძარი გამახსენა. ნატიფ და მასშტაბურ სამონასტრო კომპლექსში ნაწილობრივ შემორჩენილია სემინარია-სატრაპეზო და მცირე ეკლესიები. საკათედრო ტაძარი 40 მ. სიმაღლის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა მუზარადისებრი, მოჭიქული კრამიტით დამშვენებული გუმბათით. მონასტრის კედლებზე წარწერები მეფეთა, ხუროთმოძღვართა და კირითხუროთა ამბებს გვიყვებიან. დღეს ოშკი აღსადგენ ტაძართა შორისაა და პატიოსანი ოსტატის მადლიან ხელს ელოდება. ჩვენც მოუთმენლად დაველოდებით მის ახლადდაბადებას, რათა მომავალში შიდა სივრცეც მოვიხილოთ და ქრისტიანული პატივი მივაგოთ.

ამიერტაოში აღორძინებული იშხანი ვიხილეთ... ძველი საქართველოს სამონასტრო და საეპისკოპოსო ცენტრი. ხუროთმოძღვრული ღირსებით გამორჩეული

თორმეტი მოციქულის სახელზე აგებუ-



ლი გენიალური ქმნილება თურქეთის საქართველოში ყველაზე წელგამართულია. გაგვიხარდა, რომ აღდგენილ ტაძარს საბა იშხნელის დროინდელი იერსახე შეუნარჩუნებია. „საოცარია ღმერთი სინმინდეთა შორის მისთა“.

და ბოლოს ბანა, ბანა, ბანა... ბუმბერაზი მთების მრგვლოვანი დასასრული... ჭიხვებისა და არწივების სიმაღლეზე აფრენილი მეფეთა სამყოფელი და განსასვენებელი, ტაოს დედაქალაქი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. ადგილი, სადაც ბაგრატ მეოთხემ ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ არგირის დისწულ ელენეზე იქორწინა და სადაც წმინდა მამებმა „ღვანლი კეთილი მოიღვანეს“. ქართული ხუროთმოძღვრების ეს უზარმაზარი და უნიკალური ძეგლი რუსეთ-თურქეთის ომის დროს დაზიანებულია და 1901 წელს გუმბათჩამოქცეული ტაძარი საბოლოოდ დანგრეულა. ქალბატონი ჟანა ქვათაძე, გულიკო, მზია, მარინა, მარიკა, რუსიკო, ნინო, ლალიკო, თიკო... ყველანი, ყველანი მონივნებით სანთლებს ვანთებდით ტაძარში გადარჩენილ ერთადერთ კედელთან... „კოლეგებო, თქვენი

რომ არ მერიდებოდეს, სიამოვნებით ვიტყვებდიო“ - აღმოხდა ემზარ ჭგერენაიას, „კიდევ კარგი, რომ ბოლოს ვნახეთო“ - ჩაილაპარაკა გიო კილაძემ... ეს უკანასკნელი მთელი გზა გულმოდგინედ იღებდა ირგვლივ ყველაფერს და მოგვიანებით, ლევან პაპალაშვილის ფოტოებზე დაყრდნობით, მოკლემეტრაჟიან, დოკუმენტურ ფილმებად აქცია ჩვენი დაუვინყარი მოგზაურობა.

გასრულდა ასე ამბავი... დავემშვიდობებთ სამი დღით ნაპოვნ დაკარგულ სამშობლოს... ცრემლებთან ერთად ჩაყლაპული სიტყვების მოძებნაში კვლავ გრიგოლ ხანძთელი დაგვეხმარა: „კეთილად აღორძინდი“... ტაო-კლარჯეთო... “შეიმკე მადლითა და განძლიერდი ძალითა ღმრთისაითა... მე ან ესერა მშვიდობასა დაგიტევებ შენ... ხორციტ განგეშორები... ხოლო სულით მარადის შენ თანა ვარ...“

**P. S.** ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები უღრმეს მადლობას მოვახსენებთ პროფკავშირების თავმჯდომარეს, ქალბატონ ლილი საყვარელიძეს ტაო-კლარჯეთში ჩვენი მოგზაურობის ორგანიზებისა და თანადაფინანსებისათვის.

## ნანა ოქროპირიძე

### მოსწავლეები მსჯელობენ, ფიქრობენ

თბილისის 76-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი ნ. სებისკვერაძე, ბიბლიოთეკარი ნ. ოქროპირიძე) ბიბლიოთეკარის მიერ მომზადებულ ღონისძიებაზე ამავე სკოლის მეექვსე კლასის (ხელმძღვანელი მ. ბლიაძე) მოსწავლეები მსჯელობდნენ, მხატვრული ფორმებით ცდილობდნენ წარმოეჩინათ საკუთარი მოსაზრებები ბედნიერების შესახებ - რა არის ბედნიერება, როდის არის ადამიანი ბედნიერი, როგორ შეიძლება გახდეს პიროვნება ბედნიერი - ამ კითხვების საპასუხოდ მოსწავლეები გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს, ცნობილ პიროვნებათა შეხედულებების დამონშებით მიდიოდნენ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ პიროვნება მაშინ არის ბედნიერი, თუ არის ყოველმხრივ განათლებული, პატიოსანი, მებრძოლი სულისა და, რაც მთავარია, სამ-

შობლოს მოსიყვარულე, მისი ბედნიერებისათვის თავდადებული.

ღონიძიებაში მონაწილეობდნენ და ბედნიერების შესახებ ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა : თ. მაქსიმენკომ, ს. ბედუკიძემ, ა. ვანიანმა. ლ. შენგელიამ, ს. დარბაიძემ, ს. კანდელაკმა და სხვებმა. თ. ბინაძემ შეასრულა სიმღერები აფხაზეთზე. დაწყე-



ბითი კლასების მოსწავლეებმა (ხელმძღვანელები ნ. ალავიძე და მ. აბაშვილი) შეასრულეს ცეკვები „იების ცეკვა“ და „ვალსი“. ბედნიერებაზე სიმღერები შეასრულეს მოსწავლეებმა მ. ბაკურაძემ და ა. იაკობიძემ (ხელმძღვანელები ლ. მერკვილაძე და მ. ოქროპირიძე). ცეკვა „მთიულური“ შეასრულეს მოსწავლეებმა თ. აბაშვილმა და მ. გერლიანმა. ბედნიერებაზე სიმღერები შეასრულეს ასევე მოსწავლეებმა თ. ქავთარაძემ და ნ. სეფიაშვილმა.

ლონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გ. ტყემალაძე, ისან-სამგორის რაიონის რესურსების ცენტრის უფროსი სპეციალიატი მ. შალიკაშვილი, პროფკავშირების თავმჯდომარე გ. ამირიძე, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორი ა. ლორია და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსი გურამ თაყნიაშვილი.



ფილების უფროსი გურამ თაყნიაშვილი.

ლონისძიებას უძღვებოდნენ ნ. სეფიაშვილი და ს. მჭედლიშვილი.

ლონისძიებამ ცხადყო, რომ ბიბლიოთეკარის შემოქმედებითი საქმიანობა საჯარო სკოლებში დადებითად აისახება მოსწავლეთა თვითშემოქმედების უნარზე და სკოლაში წიგნიერების გარემოს შექმნის პროცესებზე.

## ნინო ბერიძე

### ანა კალანდაძის საღამო ასპინძის მთავარ ბიბლიოთეკაში

2019 წლის 22 მაისი უჩვეულო განწყობა ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, სცენა ყვავილებითაა მოჩითული შესაბამისი დეკორაციით. ბავშვების ჟრიამული ისმის. დღეს ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება ღონისძიებას ატარებს. პროგრამაშია ლოტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, „საქართველოო ლამაზო - ანა კალანდაძე“.

ლონისძიებას ხსნიის საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი ნელი გოგოლაძე- არ მეგულება ამ დარბაზში არცერთი პიროვნება, რომელის ანა კალანდაძის შემოქმედებას არ იცნობს, მისი პოეზია არ წაუკითხავს და თუნდაც ერთი ლექსი ზეპირად არ უსწავლია. ანა კალანდაძე პოეზიის დედოფლადაა აღიარებული. მიმდინარე წელი ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის საიუბილეო წელია. მას დეკემბრის თვეში დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდებოდა.

დამეთანხმებით, რომ მისი შემოქმედება ძალიან დიდი და საინტერესოა.

დნელია ანას პოეზიის ერთ პატარა ღონისძიებაში თავმოყრა და გაანალიზება. ყოველივე, რაზეც პოეტი წერს, გამორჩეული და დიდად საყვარელია, მაგრამ ამ ჯერად გესაუბრებით ამ დიდებული ქალბატონის სულის სინამდინდებზე, სინაზებზე, სათნოებაზე და იმ დიდ, ძლიერ და განუზომელ გრძნობაზე, რომელსაც საქართველოს, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სამშობლოს სიყვარული ჰქვია. ანას ლექსები ხომ სავსეა სინამდინდით, სილამაზით,



ადამიანების, ქვეყნიერების სიყვარულით. მათ შორის მრავალი შედეგია, მადლიც ბევრია და ტკივილიც.

სცენაზე ერთმანეთს სცვლიან მონაწილეები- საბავშვო ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები: ნიკა ბერიძე, ამირან კალანდაძე, თამთა გიორგაძე, მარიამ დევნოსაძე, ნათია მაზაშვილი, სოფო ნათენაძე, ჯარჯი, ლუკა და ლევან მაგრაქველიძეები, დემეტრე გელაშვილი, საინტერესოდ გვაცნობენ ანას ცხოვრების დეტალებს, მის მოგონებებს, ამონარიდებს ცნობილი ადამიანების მოგონებებიდან.

ემოციას იწვევს წმინდა ნინოს მიერ ვაზის ჯვრის შემობრძანების ინსცენირება -

„მოდიოდა ნინო მთებით მოდიოდა და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...“

რაც მშვენივრად გაასცენარეს ბავშვებმა. მას თან ერთვოდა შესაბამისი ვიდეო მასალა. ზედმინევნით მხატვრულად კითხულობენ ლექსებს პატარები: თამარ ცინაძე, თინათინ ბირჩაძე, ხატია გელაშვილი, გვანცა თედორაძე. თითქოს შენც მათთან ერთად მოგზაურობ ანას სამყაროში.

„- თქვი არჯაკელა ხვიარა,  
ქსანზე ვინ ჩამოიარა?  
- რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი  
და არა გამიგია...“

- მეც სხვათაშორის ვიკითხე,  
სალაპარაკოდ კი არა .  
„ჭეჭილში ჩაიშრიალა  
თვალგახელილმა ყანამა  
თვითმობერილმა ნიავმა,

ნარგიზის იავნანამა...  
ერთი პანია ჩიორა  
მუხიდან მომესალამა ...  
ია განგებამ დახატა ,  
თუ ფიროსმანის ყალამმა ?  
ყაყაჩოს „ღვინო სალხინო“  
როგორ არ შესვას ანამა ?!  
ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,  
დიდი მინდორი დანამა“

ანას სულის სიფაქიზეს ითავისებენ, მის ქალურ სინაზესა და კდემამოსილე-

ბას. მასავით უყვართ საქართველოს მობიბინე მინდორ - ველი, ჩვენი სამშობლო

„ფეხი დამადგით, გულზე დამადგით  
ფეხი ყოველმან წყალობა ჰყავით...  
საქართველოს ყოვლის მპყრობელი...“

გამომსვლელი ისეთი ემოციით ლაპარაკობენ, გიჩნდება განცდა, რომ იმ ნუთში თვითოეული მათგანი მზადაა თავი გასწიროს სამშობლოსათვის. უსმენ მათ და გეიმედება, რომ ასეთი ნიჭიერი თაობა მოდის, ასე სტკივათ, ასე უყვართ და ასე ეფერებიან სიტყვას, ლექსს, პოეზიას.

ღონისძიება გაამრავალფეროვნა ვიდეო და აუდიო მასალებმა, რომელიც ღონისძიებას მთელი მსვლელობის განმავლობაში თან სდევდა.

შესრულებული იქნა სიმღერები ანა კალანდაძის ლექსებზე, საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის ცირა საქიძის და ანსამბლ „წუნდის“ ხელმძღვანელის ბექა ზედგინიძის მიერ. განსაკუთრებით უნდა გამოვყო ყველაზე პატარა, საბავშვო ბიბლიოთეკის სკოლამდელი ასაკის მკითხველის ემილი ასპანიძის შესრულებული სიმღერა ანა კალანდაძის ლექსზე „ პანანინა რტო ვარ.“

დასასრულს ქალბატონმა ნელი გოგოლაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის, ოთარ ცინაძეს, ტექნიკური დახმარებისათვის, მარეხ დათაშვილს მხატვრული გაფორმებისათვის, ნელი ბერიძეს დეკორაციისათვის და ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებს იმისათვის, რომ ასეთი აქტიურები იყვნენ. აქვე აღინიშნა, რომ ეს ღონისძიება მიეძღვნა საბიბლიოთეკო კვირეულს, ამიტომ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება და მონაწილე ბავშვები დაასაჩუქრა ანა კალანდაძის ლექსების კრებულით და ძმები გრიშების ზღაპრებით.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის და საკრებულოს წარმომადგენლები.

პოეზიის საღამომ თბილ და სასიამოვნო გარემოში ჩაიარა.

## რეცენზიები


ალექსანდრე ლორია

## გზა დიდებისაკენ!

ეს წიგნი ნამდვილი საჩუქარია საზოგადოებისათვის – გუბელაძე მაია. გზა დიდებისაკენ! - ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი, 2018. - 216 გვ. ილუსტრ.- იგი ასახავს კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე (კოტე) ფოცხვერაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას. რედაქტორია პროფ. მალინა შანიძე.

კოტე ფოცხვერაშვილი (1880-1959) ავტორია საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჰიმნისა „დიდება“, რაც დღესაც თანამედროვედ ჟღერს და დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ეს მთელმა საქართველომ იცის, რაც ადრე მიჩქმალული იყო. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. პოლიტიკური წნეხის გამო ქართველმა საზოგადოების დიდმა ნაწილმა როდი იცის, რაოდენ დიდი და შთამბეჭდავი შემოქმედების ავტორია იგი, რა დიდი მემკვიდრეობა აქვს შექმნილი, რა ღვაწლი გასწია მან ქართული მუსიკისა და სიმღერის, ხალხური სასიმღერო ფოლკლორის გამოვლენის, პოპულარიზაციისა და მუსიკალური კულტურის დანერგვის საქმეში. ამდენად, ეს წიგნი უდავოდ დიდ ინტერესს იწვევს. იგი მეტად ორიგინალურად აშუქებს ცნობილი კომპოზიტორის ცხოვრებასა და შემოქმედებას. აქ თავმოყრილი სტატიები ცოცხლად გვიხატავს კ.ფოცხვერაშვილის ცხოვრების ასპექტებს. თავმოყრილია გამოჩენილი მოღვაწეების მოგონებები, სხვადასხვა პერიოდის ამსახველი მასალა, ფასეული და მნიშვნელოვანი ფოტოები, რომლებიც პირდაპირ წყაროს წარმოადგენს დიდი მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების გასაცნობად.

წიგნი საფუძვლიანად აშუქებს კ. ფოცხვერაშვილის პიროვნულ თავისებურებებს. იხილავს მისი ოჯახისა და გვარის ნიუანსებს, გვაცნობს ოჯახურ ურთიერთობებს. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა სტატია ცნობილ სასულიერო და სამოქალაქო მოღვაწეზე-მელიტონ კელენჯერიძეზე. კ. ფოცხვერაშვილი ხომ მისი სიძე იყო და დიდად აფასებდა მის შეხედულებებს.



კ. ფოცხვერაშვილი მოღვაწეობის დასაწყისშივე იქცევა ჩვენი ღირსეული წინაპრებისა და თანამედროვეთა ყურადრებას. იაკობ გოგებაშვილი, როცა გაეცნო სტუდენტობის პერიოდში მის მოღვაწეობას ქართული მუსიკალური ფოლკლორის, კულტურის დაცვისა და გავრცელების საქმეში, მოითხოვა მისთვის სტიპენდიის გამოყოფა, რისთვისაც კ. ფოცხვერაშვილმა საკმაოდ ვრცელი სამადლობლო ბარათით უპასუხა.

წიგნში თემატურად არის წარმოდგენილი მთელი მასალა. აქ ლაპარაკია კოტე ფოცხვერაშვილის საგვარეულო ფესვებზე, პირველდანიებით განათლებაზე, საკონცერტო და პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, პრესის გამოხმაურებაზე, ლექცია კონცერტებზე, დემოკრატიულ საქართველოს ჰიმნზე, შემოქმედებით აღმავლობაზე, მუსიკის ადამიანთან ურთიერთობაზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა კუთხის სიმღერების ჩანერასა და გამოცოცხლებაზე, ქალთა ანსამბლის შექმნაზე, შემოქმედებით მემკვიდრეობაზე, კ. ფოცხვერაშვილის სა-

ხელობის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლებზე, შთამომავლებსა და კომპოზიტორ გოგი ჩლაიძეზე, ბოლოს მოცემულია განყოფილება-„წერილები და მოგონებები“, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა გამოჩენილ მოღვაწეთა წერილები. წიგნს დართული აქვს „ამონარიდები კოტე ფოცხვერაშვილის გა-

მონათქვამებიდან“ და გამოყენებული ლიტერატურა. მთელ წიგნში მიმოფანტულია სხვადასხვა ხანის ფოტოები, წარმოდგენილია ფოტო კოლაჟი.

წიგნი უმდიდრეს მასალას იძლევა კოტე ფოცხვერაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.

## ალექსანდრე ლორია

### დაულალავი შრომის შედეგი

(ლევან ფრუიძის ბიობიბლიოგრაფია გამოცემასთან დაკავშირებით)

როგორც წინასიტყვაობაშია ნათქვამი, წიგნი წარმოადგენს ცნობილი მეცნიერის, საზოგადო მღვანისა და მწერლის ლევან ფრუიძის შემოქმედებითი ღვაწლის ასახვას. ლევან ფრუიძე წარმოადგენს მრავალმხრივ მოღვაწეს-ავტორია არაერთი წიგნისა, სამეცნიერო-პოპულარული სტატიების, რეცენზიების, ანოტაციების, მხატვრული ნაწარმოებების. მისი რედაქტორობით გამოცემულია წიგნები. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა უდავოდ იმსახურებს ბიბლიოგრაფიულ თავმოყრას და პოპულარიზაციას. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ შედგენილ იქნა და გამოიცა მისი ბიობიბლიოგრაფია - „ლევან ფრუიძე“(1954-2017)“.შემდგენლები არიან:მარეხ ასათიანი და ნანა ფრუიძე., რე-

დაქტორია გურამ თაყნიაშვილი.

ნაშრომს წინ უძღვის რედაქტორის წინასიტყვაობა, აგრეთვე გიორგი სარაჯიშვილის მოკლე ბიოგრაფიული სტატია. წიგნი შეიცავს 179 გვერდს, ერთვის სახელთა საძიებელი. აგებულია საყოველთაოდ მიღებული სტრუქტურით. მოცემულია თავები: ლევან ფრუიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები., ძირითადი შრომები., შემდგენელი და რედაქტორი, წიგნებსა და კრებულებში გამოქვეყნებული მასალა, პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული შრომები და სტატიები, რეცენზენტი, ლევან ფრუიძე სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მონაწილე, მწერალი და მთარგმნელი, ლიტერატურა ლევან ფრუიძის შესახებ, იუბილეები.

## გურამ თაყნიაშვილი

### მათემატიკოსის მხატვრული ოსტატობა

თანამედროვე ქართულ მხატვრულ ლიტერატურას ახლახან შეემატა მეტად საინტერესო კრებული სახელწოდებით „რვეულში ჩარჩენილი სიყვარული“. მისი ავტორი გახლდათ თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ზერეკიძე. წიგნში შესული პროზისა და პოეზიის ნიმუშები ნათლად მეტყველებენ ავტორის მხატვრულ ოსტატობასა და აზრის გადმოცემის ორიგინალურ, მარტივად გასაგებ ხერხებსა და მეთოდებზე.


კრებულის პროზაული ნაწილი ძირითადად ასახავს ავტორის პედაგოგიურ მოღვა-

წეობას, მის ურთიერთობას სტუდენტებთან. ამ ნაწილში აშკარად ჩანს ავტორის პედაგოგიური ტაქტი, სტუდენტთა ფსიქოლოგიური სამყაროს შეცნობის უნარი, და, რაც მთავარია, მისი, როგორც ლექტორის მორალური სახე. სტუდენტები მას შესცქერიან როგორც ფრიად განსწავლულს, ტაქტიანს, პრინციპულსა და მათზე მამობრივი მზრუნველობით აღსავსე პიროვნებას. ახალგაზრდა ლექტორი თავის მხრივ მოხიბლულია სტუდენტ გოგონათა მორცხვი მხერით, დაუფარავი თვალთვალთ, რითაც მართლაც რომ ხასიათდება პირველი, დაუფარავი და გაუმხელელი სიყვარული. ლექტორი საოცარი ტაქტით, მოთმინებითა და თავშე-

კავებულობით პასუხობს უსიტყვო, მაგრამ ზოგჯერ სააშკაროზე გამოტანილ გრძნობას, რომელიც გამოსჭვივის სტუდენტთა მზერასა და მოქმედებაში, პირდაპირ მინიშნებებსა და დიალოგში. ახალგაზრდა ლექტორის გრძნობათა სამყაროში მუდმივ ჭიდილშია გატაცება და მოთმინება, თავშეკავება და მაღალი მორალური პასუხისმგებლობა, შეგნება იმისა, რომ იგი მათი აღმზრდელია. სტუდენტებთან ურთიერთობაში თ. ზერეკიძე არასოდეს არ არის სურვილების მორჩილი. მან კარგად უნყის, რომ წმინდა ადამიანში ყოველთვის მაღლი მეფობს და მოქმედებს. კაცმა რომ თქვას სტუდენტებთან ურთიერთობაში ლექტორს უხდებოდა ვაჟკაცურად, დიდი მოთმინებითა და სულიერი ძალისხმევით უზიდა ვნების ჯვარი. კრებულის პროზაული ნაწილიდან ჩანს, რომ ახალგაზრდა ლექტორმა ბოლომდე შეინარჩუნა სულიერი სიფხიზლე და მაღალი ზნეობრივი სახე.

კრებულის პოეტურ ნაწილში ნათლად ჩანს ავტორის ჭეშმარიტი პატრიოტული სულისკვეთება, მამულის სიყვარული, სოფლის სურათების გადმოცემის უშუალოება და ბუნების სიყვარული, რამაც იმთავიდანვე განაპირობა ავტორის ზნეობრივი სახე, თავმდაბლობა და მოყვასისადმი ქრისტესმიერი დამოკიდებულება. ლექსში „ნეტავი კიდევ მაჩვენა“ ავტორი ნატვრით იგონებს ბავშვობის წლებს, შრომისა და სწავლის ეპიზოდებს; მის გონებაში დროდადრო ცოცხლდებიან თანატოლების სახეები „ხევში დამალული მზე“, „ცვარ-ნამი სისხამ დილისა“, „ხონჩა, ვარცლი და ასტამი“. მას ახლად ჩაესმის „ზურნის ხმა საჭიდაოზე“, „დოლაბის კოჭლი ტრიალი“, ფრინველთა ჭიკჭიკი სისხამ დილას. მაღალი პატრიოტული პათოსით გამოირჩევა ლექსი „საით ქართველო“: „საით ქართველო, ჰერიო, უხმარ გიგდია კევრიო“. ასეთივე სულისკვეთება გამოსჭვივის ლექსში „შენს დროშას ვეამბორები“. ავტორს მოესმის დიდგორის სუნთქვა და სინანულით წერს: „ჩემო ტანჯული სამშობლოვ, გადინეს სისხლის ტბორები, ნახანჯლარ-ნაიარევო შენს დროშას ვეამბორები“.

თ. ზერეკიძე, როგორც პროზაიკოსი, პოეტი და აღმზრდელი კარგად იცნობს ბავშვების ბუნებას, მათ სულიერ სამყაროს, დღევანდელი მოზარდის სულიერ მოთხოვნებსა და მისწრაფებებს. კრებულის პოეტური



ნაწილი სწორედ საბავშვო ლექსებითაა წარმოდგენილი სერიაში „საბავშვო და სახუმარო ლექსები“. ლექსების ერთი ნაწილს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს აფორიზმი „რას არ იზამს კაცი პატარების ხათრით“. პატარები ხალისით გაეცნობიან სოფლად მაცხოვრებელი ბავშვების ცხოვრების, სწავლისა და შრომის ეპიზოდებს, ბუნების სურათებს, ბავშვების დამოკიდებულებას ცხოველთა სამყაროსთან, უმცროს-უფროსობის პატივისცემას და ეთიკის ისეთ მაგალითებს, რომლებსაც ესოდენ კეთილგონივრული ზეგავლენა აქვთ პატარების ახლადგაღვიძებულ ცნობიერებესთან.

საინტერესოა ლექსად თქმული ავტორისეული წინათქმა. ავტორს მიაჩნია, რომ სათქმელის გადმოცემა ორიოდ სიტყვით სურდა, ისეთი მოქნილობითა და სიზუსტით, როგორც ამას ახერხებდა ფორმულების გამოყენებით, მაგრამ თავად კარგად უნყის მხატვრული ქმნილების არსი, სადაც აშკარად გამოსჭვივის მთქმელისა და შემოქმედის მხატვრული ოსტატობა. ჩანაფიქრი, განცდილი და სულიერი ძალებით გადატანილი მოგონებების ერთ წიგნში მოქცევა ასეთი სახით, როგორც ავტორმა წარმოგვიდგინა, ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ავტორი დღენიადავ, მიწყვიტ ტრიალებდა სანუკვარი აზრების სფეროში.

## რევიუ

დავით გიგინეიშვილი

## კონცერტი ციურიხში

ციურიხში მივლინებისას ვოცნებობდი „დამელაშქრა“ ციურიხის საოპერო თეატრი, რომელშიც უკანასკნელ წლებში არა ერთი ვარსკვლავი გამოდიოდა. მაგრამ ვიზიტის თარიღებში რაიმე მნიშვნელოვანი მუსიკალური დადგმა, რომელიც დამაინტერესებდა, არ ხორციელდებოდა, თუმცა, გამიმართლა და გავიგე, რომ ციურიხის საკონცერტო დარბაზში 'Tonhalle Maag' 26 მარტს საინტერესო ბაროკო მუსიკის კონცერტი უნდა გამართულიყო (<https://tonhalle-maag.ch/home-tm/>). სახელგანთქმული შვეიცარიელი ფლეიტისტი და დირიჟორი - მორის სტეგერი (Maurice Steger, <https://mauricesteger.com/>) ციურიხის კამერულ ორკესტრთან ერთად ძალზე უჩვეულ სადამოს გვთავაზობდა. თურმე, ჩვენთვის ასე ნაცნობი გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი, გარდა კომპოზიტორული საქმიანობისა, ასევე ეწეოდა თეატრის ადმინისტრაციულ და მხვატვრულ საქმიანობის ორგანიზებას. მის პასუხისმგებლობაზე იყო არა მოხლოდ თავად მუსიკის შექმნა, არამედ სხვა საოპერო კომპოზიტორების მოწვევაც, მას უნდა დაედგა მათი ნაწარმოებები და ოპერის აქტებს შორის, შესვენების დროს, ასევე ებრუნა ვახშმობის მუსიკალურ ფონზე. იმ სადამოს, ასეთი მუსიკალური გაფორმების ერთ-ერთ ვარიანტს, სახელწოდებით „მისტერ ჰენდელის ვახშამი“ გვთავაზობდა ვირტუოზი ფლეიტისტი,

რაც ფრიად საინტერესო და დამაინტერესებელიც იყო.

მუსიკალური დარბაზის (Tonhalle) ძირითადი შენობის რემონტის პირობებში ციურიხის კამერული ორკესტრი სადამოს ატარებდა დროებით შენობაში, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ უბანში, ამ უბნის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ „პრაიმ ტაუერის“ სრულიად ჩამინული შენობის გვერდით. დარბაზი განთავსებულია ძველ მიტოვებულ ქარხანაში, რომელიც თურმე, ფაბრიკანტს - მაქს მააგს ეკუთვნოდა და XX საუკუნის დასაწყისამდე ეს ქარხანა მუშაობდა, მაგრამ მან წარმოება გადაიტანა სხვა შენობაში. ძირითადი ადმინისტრაციული შენობა კი სხვადასხვა მიზნებს ემსახურებოდა - მათ შორის, მრავალი ათეული წლების განმავლობაში, მუსიკალური ორკესტრის „ტონჰალე ციურიხის“ შტაბ-ბინად იქცა. Tonhalle Maag დარბაზი 1200 მსმენელს იტევს და როგორც ეს ევროპულ მუსიკალურ დარბაზებს ახასიათებს, სკამები წრიული წესრიგით არის განლაგებული. ჩემი ადგილი დარბაზის პარტერში მე-15 რიგის შუაში იყო, აქედან სმენადობა არ დაიწუნებოდა. ვერაფერს ვიტყვი აკუსტიკის სანიმუშობაზე, მომეჩვენა რომ ზედა რეგისტრი ოდნავ დახშული იყო. მორის სტეგერი სადამოზე გამოდიოდა როგორც შემსრულებელი და როგორც ორკესტრის ხელმძღვანელიც. ციურიხის კამერული ორკესტრი (Zürcher



Kammerorchester – ZKO; <https://zko.ch/>) თანამედროვე ინსტრუმენტებზე შემსრულებელი მუსიკოსებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ ორკესტრი ტრადიციულად ბაროკო მუსიკასაც ასრულებს, ამიტომაც იგი კომპეტენტურ და დაბალანსებულ ორკესტრად წარმოგვიდგა. სტეგერმა, კონცერტის განმავლობაში ექვსი სხვადასხვა ძველებური ხის ფლეიტა გამოიყენა. პირველ ნაწილში შესრულდა ჩემთვის უმეტესად უცნობი ნაწარმოებები - ეს იყო ჰენდელის და პიორსელის მუსიკა კამერული ორკესტრისათვის და ჰენდელის, გოდფრი ფინგერის და უილიამ ბაბელის კონცერტები ფლეიტისათვის. სტეგერმა მისთვის დამახასიათებელი ძაღვზე სწრაფი ტემპები აირჩია. შესრულება იყო ემოციური, აქცენტებითა და ვირტუოზული ვარიაციებით დახუნძლული. მისი შესრულების ტექნიკა იყო უნაკლო, ტონს არ უდებდა სიმებიანებს და იუმორი შეჰქონდა მუსიკაში, რამაც ხალისიანი ატმოსფერო შექმნა დარბაზში და მუსიკის მიმართ მსმენელი დადებითად განაწყობა. პიორსელის დასკვნითი ორკესტრული ნაწილი მისი თეატრალური ნაწარმოებისათვის „Timon of Athens“ (Z.632) შესრულდა კონტრაბასის დომინირებით, რამაც უცნაური ჯაზური ელფერი შესძინა ნაწარმოებს. სტეგერის ინტერპრეტაციამ ბაროკო მუსიკა თანამედროვე მსმენელს დაუახლოვა და მისთვის გასაგები გახადა. შეიძლება ამით დაირღვა ნაწარმოებების ავთენტური შესრულების მანერა, მაგრამ სტეგერმა ასეთი შესრულებით ბაროკო მუსიკისადმი მსმენელის დიდი ნაწილი დადებითად განაწყობა. ამას ისიც ადასტურებს, რომ კონცერტის ძირითადი ნაწილი სტეგერს უკვე სტუდიაში ჰქონია ჩანერილი და ეს უახლესი კომპაქტ დისკი (Mr Handel's Dinner: Music for the Opera Intermissions - Maurice Steger, La Cetra Barockorchester;



Harmonia Mundi 9027452; <https://www.jpc.de/jpcng/classic/detail/-/art/mr-handel-s-dinner/hnum/9027452>) წარმატებით გაიყიდა შესვენების დროს ფოიეს დარბაზში, ამისათვის საგულდაგულოდ მოწყობილ დისკების კუთხეში.

მეორე ნაწილში შესრულდა ჩარლზ ავისონის ცნობილი კონცერტი No.5 რე-მინორში, ჰენდელის უცნობი სუიტა და ჯემინიანის კონცერტი ფლეიტისათვის სოლ-მაჟორში (კორელის No.11 Op.5 სონატის მოტივებზე). მეორე ნაწილი უფრო აკადემიური გამოვიდა - მასში ჩემთვის ნაცნობი ნაწარმოებებიც იყო. სტეგერმა პატარა საუბარიც გამართა გერმანულ ენაზე, აუდიტორიას აუხსნა, რა ნიშნით შეარჩია მან ეს ნაწარმოებები და რა კავშირი ჰქონდა ჰენდელთან. ეტყობოდა, რომ სტეგერი მთლიანად იყო ჩართული კონცერტში და მის საშემსრულებლო ხელოვნებაში - აუდიტორიასთან მუდმივი კონტაქტი დამყარდა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მაჟორული, სახუმარო და გულს რომ ეამება - ისეთი მუსიკა შემოგვთავაზა სტეგერმა. კონცერტის დასრულების შემდეგ ბევრს გაუჩნდა სურვილი საღამო ღვინის ან შამპანურის დაგემოვნებით დაესრულებინა, რასაც იქვე ფოიეში გვთავაზობდნენ.



**ქრონიკა**

**საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა : მოვლენები, ფაქტები**

**4 მარტს** - თი ბი სი გალერიაში გაიმართა გელა ჩარკვიანის წიგნის „ნაცარელას“ წარდგენა. ავტორს მისი დაბადებიდან 80 წლისთავის გამო ეროვნული ბიბლიოთეკის საპატიო მკითხველის ორდენი გადასაცა ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

**14 მარტს** ეროვნულ ბიბლიოთეკას ესტუმრა ინდონეზიის რესპუბლიკის საკონსულტაციო ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილე ჰიდეიათ ნურ ვაჰიდი. დელეგაციას უმასპინძლა ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა. სტუმრებმა დაათვალიერეს ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმი.

**21 მარტს** ეროვნულ ბიბლიოთეკას ეწვივნენ ენ ჯონსონი - აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის რეგიონალური სპეციალისტი და ნანა შულაძე - აშშ საელჩოს საინფორმაციო რესურსების ხელმძღვანელი. სტუმრები გაეცნენ ინგლისურ-ამერიკული სამკითხველო დარბაზისა და წიგნის მუზეუმის კოლექციებს.

**25 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა „ეკვი-

ლიბრიუმმა“ ზემო სვანეთის საფლების ბიბლიოთეკებს წიგნები ჩაუტანა. ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე შეხვდა მოსწავლეებს; ახალი წიგნები გადაეცათ სოფ. ჭუბერის, ყარსგურიშისა და ნაკრას სასოფლო ბიბლიოთეკებს.

**25 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ გერმანიის ქალაქ ლაიფციგის ციხის სავადმყოფოს ბიბლიოთეკას გადასცა ქართული წიგნები. ციხის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნების შეტანა მოითხოვა ციხის ქართველმა პატიმრებმა და ამის შესახებ პრესაში განაცხადეს. განცხადებას გამოეხმაურა გერმანიაში მცხოვრები ქართველი რუსუდან ფირცხალაიშვილი, რომელიც მაშინვე დაუკავშირდა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექციას. წიგნების პარტია ოპერატიულად გადაიგზავნა ლაიპციგის ციხის ბიბლიოთეკაში.

**31 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დამოუკიდებლობის დარბაზში გაიხსნა ზვიად გამსახურდიას დაბადების 80 წლის იუბილესთან მიძღვნი-



4 მარტი




14 მარტი



21 მარტი



25 მარტი



25 მარტი (ლაიბციგი)



31 მარტი

ლი გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და თბილისის მერი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული ზ. გამსახურდიას თხზულებათა ხუთ ტომეული.

**8 აპრილს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ირაკლი ფერაძის წიგნის - „დალის ხეობა - ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევის“ წარდგენა გაიმართა, რომელსაც უძღვებოდა ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი გიორგი ჩუბინიძე. ნაშრომში განხილულია დალის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხები. საუბარია ხეობიდან დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე 2008 წლამდე და შემდგომ განსახლების არეალზე.

**8-13 აპრილს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი, საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა აბაშიძე ოფიციალური ვიზიტით რუმინეთში იმყოფებოდნენ. ქალაქ რიმნიკუვილჩაში ანთიმოზ ივერიელის სახელობის ბიბლიოთეკაში გაიმართა გა-

მოფენა „პირველი ქართული სტამბა ქართულ-რუმინულ ურთიერთობების სათავეებთან“. გამოფენას დაესწრნენ საქართველოს ელჩი რუმინეთში ნ. ნიკოლოზიშვილი და საელჩოს წარმომადგენლები. შეხვედრები გაიმართა რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიაში, რუმინეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. გადაწყდა მოეწყო ქართული წიგნის კუთხე რუმინეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მოეწეობა გამოფენა, რომელიც მიეძღვნება რუმინეთ-საქართველოს ურთიერთობის 300 წლის იუბილეს.

**13-14 აპრილს** საქართველოს პარლამენტის მოძრაობა „ეკვილიბუმი“ ეწვია ზუგდიდის მუნიციპალიტეტს. ახალი წიგნები გადაეცა სოფ. კოკის საჯარო სკოლას. სამკითხველოები მოეწყო ს. კოკის, რუხისა და ხედა ენერის წისქვილებში

**19 აპრილს** ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდს შეემატა ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინეთში, სნაგოვოში 1697 წელს რუმინულ ენაზე გამოცემული სახარება. როგორც ცნობილია, ანთიმოზ ივერიელის სახელს უკავშიდრება საქართველოში წიგნის ბეჭდვის ისტორია. ანთიმოზმმა საქართველოში სტამბის მოსწეობად გამოაგზავნა ერთ-ერთი თავისი მოწაფეთაგანი მიხაილ იშტვანოვიჩი. ამის შესახებ ცნობები მოგვეპოვება საქართვე-



8 აპრილი



13 აპრილი



19 აპრილი



23 აპრილი



23 აპრილი წიგნის ჩუქების დღე კლასიკური გიმნაზიაში

ლოში 1709 წელს დაბეჭდილ პირველ წიგნში „სახარებაში“. 1697 წელს ანთიმოზ ივერიელის მიერ დაარსებულ სტამბაში დაბეჭდილი „სახარება“ საშუალებას მისცემს ქართველ სპეციალისტებს ერთი მეორეს შეადარონ ვახტანგ მეექვსისა და ანთიმოზ ივერიელის გამოცემები.

**23 აპრილს** აღინიშნება წიგნისა და სავტორო უფლებების საერთაშორისო დღე. ეს დღე გამოცხადდა აგრეთვე წიგნის ჩუქების დღედ. აქციას შეუერთდა სახელმწიფო, კერძო პირი, საგანმანათლებლო დაწესებულებები. მიზანია საბიბლიოთეკო ფონდების განახლება. ამავ დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ლიტერატურული ესეების კონკურსი „წიგნიერის“ გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. პირველი ადგილი მიეკუთვნა ფოთელ თეკლა დუნდუას, მეორე ადგილი ბათუმელ ელენე კილაძეს, მესამე ადგილი მიეკუთვნა ამბროლაურელ ნანა კერესელიძეს.

**8 მაისს** - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლის - გიორგი ჩუბინიძის ორგანიზებით ახალგაზრდა ჰუმანიტართა I კონფერენცია გაიმართა. ღონისძიება გახსნა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მო-

ადგილემ, ეთნოლოგიის დოქტორმა მირიან ხოსიტაშვილმა. მონაწილეებს მიესალმა ისტორიის დოქტორი, ეთნოლოგი, პროფესორი როზეტა გუჯეჯანი. კონფერენციის მასალები კონფერენციის კრებულში გამოქვეყნდება.

**9 მაისს** საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მეექვსე კორპუსში გაიხსნა ჯანრი კაშიას ბიბლიოთეკა. გახსნას დაესწრნენ საქართველო პრეზიდენტი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების პასუხისმგებელი პირები. ბიბლიოთეკის ფონდები ითვლის 2000-ზე მეტ უნიკალურ გამოცემას, მათ შორისაა საბჭოთა პერიოდში გამოცემული აკრძალული ლიტერატურა, ქართველ ემიგრანტთა გამოცემები. სალომე ზურაბიშვილმა ეროვნულ ბიბლიოთეკას გასულ წლებში ასევე გადასცა ჯანრი კაშიას მიერ შეგოვილი პოლიტიკური ემიგრაციის არქივი. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება ასევე სალომე ზურაბიშვილის მიერ გადმოცემული მისი მამის ლევან ზურაბიშვილის პირადი ბიბლიოთეკის უნიკალური გამოცემები.

**27 მაისს** ეროვნული ბიბლიოთეკის დამოუკიდებლობის დარბაზში მოენყო გამო-



8 მაისი



9 მაისი



27 მაისი



3 ივნისი



12 ივნისი



10 ივნისი



14 ივნისი

ფენა „წიგნები საქართველოზე“. წარმოდგენილი იყო 750-მდე ეგზ. უცხოენოვანი გამოცემა, რომლებიც 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე იყო გამოფენილი.

**27 მაისს** ეროვნულ ბიბლიოტეკაში გაიმართა შეხვედრა ცნობილ დისიდენტის ვალერი ჭალიძის მეუღლესთან ლიზა ნალიძესთან. 1980 წელს ვალერი ჭალიძემ გამოსვცა ნაშრომი „საბჭოთა კავშირის მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის დაცვა“. დაგეგმილია ვალერი ჭალიძის პირადი არქივის გადმოცემაც.

**3 ივნისს** ეროვნულ ბიბლიოთეკაში გასულ წელს გახსნილი იტალიური ბიბლიოთეკის ფონდები კვლავ შეივსო ახალი გამოცემებით. ბიბლიოთეკის ფონდები ამჟამად 6 ათასამდე ეგზემპლარს ითვლის. ფონდი დამუშავებულია და წარმოდგენილია ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში.

**10 ივნისს** ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ ქალაქ ოდესაში. გაიმართა გიორგი კეკელიძის „გურული დღიურების“ უკრაინული თარგმანის წარდგენა. ოდესის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გახისნა ქართული წიგნების კუთხე. ოდესაში უკვე ოცი წელია იმართება გამოფენა „უკრა-

ინული წიგნი ოდესაში“. ქართულმა დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ოდესის საბიბლიოთეკო სამიტში, სადაც განიხილეს თანამედრო საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალური საკითხები.

**12 ივნისს** ეროვნულ ბიბლიოთეკაში წარმოდგენილ იყო კრებული „შვინდის დროშებით გავიგივებ ყომრალ მოედანს“. ლექსების კრებულის გამოცემის იდეა ეკუთვნის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელს ნინო სიხარულიძეს. კრებულში გაერთიანებულია აქამდე უცნობი ავტორების ლექსები, რომლებიც გამოქვეყნებულია 1918-1921 წლების ქართულ პერიოდულ გამოცემებში.

**14 ივნისს** სკოლა „ლაზარესა“ და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ორგანიზებით რუსთაველი კალიგრაფიის კონკურსის დაჯილდოვება გაიმართა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რჩეული მე-12 კლასის მოსწავლე ქეთი პაპუნაშვილი გახდა, რომელსც ეროვნული ბიბლიოთეკის ალბომი და სხვა ახალი გამოცემები გადაეცა. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის ინიციატივით ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში კონკურსის პრიზიორთა ნამუშევრების გამოფენაც გაიმართება.

## ნეკროლოგი

### ნანა ბალათურია

გარდაიცვალა თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომელი, რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარი ნანა (ნანული) ბალათურია.

ქალბატონი ნანა დაიბადა 1947 წ. ქ. ცხაკაიაში (ქ. სენაკი). 1971 წ. დაამთავრა ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი.

1968 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (ახლანდელი თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა).

ნანა ბალათურია თავისი პროფესიონალიზმითა და საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით ათეული წლების განმავლობაში ემსახურებოდა საბიბლიოთეკო საქმეს.

1999 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიულ და საცნობო განყოფილებას.

2007-2017 წწ. იგი კითხულობდა ლექციებს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან არსებულ ბიბლიოთეკართა ტრენინგ ცენტრში.

მის მიერ არის შედგენილი ქართველ მეცნიერთა ბიობიბლიოგრაფიული სერიის 11 ნაკვეთი; ბიბლიოგრაფიული რედაქტორია ამავე სერიის 16 ნაკვეთისა. არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემათა ბიბლიოგრაფიის 2 ტომის (1971-1973 და 1974-1975) ერთ-ერთი შემდგენელი.

ნანა ბალათურიას მიერ ზუსტად მომზადებული ბიბლიოგრაფიული ცნობები ყო-



ველთვის იმსახურებდა მკითხველთა მადლიერებას.

ნანამ თავისი განვლილი გზით სამუდამოდ დატოვა ხსოვნა, როგორც ერთგულმა დედამ, მეგობარმა, კარგმა ხელმძღვანელმა და საბიბლიოთეკო საქმის პროფესიონალმა.

თსუ - ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა  
ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“  
რედაქცია

## ირინა თოფურია

აბაშის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო სისტემის ბიბლიოთეკარებმა, თვითმმართველობის ორგანოებმა, ადგილობრივმა ინტელიგენციამ ამას წინათ საბოლოო გზაზე გააცვილა აბაშის საბიბლიოთეკო გაერთიანების მენეჯერი ირინე თოფურია. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა ჯერ ამავე ინსტიტუტში, შემდეგ ქ. თბილისის გამოთვლითი მანქანების ინსტიტუტში. მოგვიანებით მუშაობა გააგრძელა აბაშის საბიბლიოთეკო სამსახურის დირექტორის თანამდებობაზე. 2007 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის საბიბლიოთეკო გაერთიანების მენეჯერად. ხანგრძლივი შემოქმედებითი საქმიანობის მანძილზე ი. თოფურია ჩამოყალიბდა როგორც საბიბლიოთეკო საქმის ღირსეული ხელმძღვანელი, აღვსილი ყველა ადამიანური ღირსებითა და თვისებებით. მკითხველ საზოგადოებაში, კოლეგებსა და ადგილობრივი ინტელიგენციის წრეებში სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტითა და ღრმა სიყვარულით. ი. თოფურიას ნათლად ესმოდა წიგნისა და განათლების ფასი მომავალი თაობების პატრიოტული გრძობით აღზრდის საქმეში. წიგნის მოვლა-პატრონობას,



საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზებასა და მკითხველთა სამსახურს შეაღია თავისი ცოდნა, ენერჯია, ქალური კლდემამოსიულება და უშრეტი სულიერი ძალები.

უფალმა დაუმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

**აბაშის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო  
გაერთიანება,  
ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“  
რედაქცია**

**განცხადება**

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის №13 საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალი აცხადებს საავტორო ფოტოკონკურსს „ნიგნი ობიექტივიდან“ - დავინახოთ ბიბლიოთეკისა და ნიგნის სამყარო. კონკურსის მონაწილე ვალდებულია ფოტოები წარმოადგინოს ელექტრონული და დაბეჭდილი სახით (15/21-ზე). მონაწილეებს ვთხოვთ შეარჩიონ სამი საუკეთესო კადრი. საპრიზო ადგილზე გასულები დაჯილდოვდებიან. ფოტოების გადმოგზავნის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 2 სექტემბერი.

ტელ.: 0 431 24 33 25; მობ.: 597 50 10 00; 599 39 84 99

ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ. 197

ტელ.: 0 431 29 03 34; მობ.: 597 55 55 79; 597 97 78 77;

ელ. ფოსტა: wigniobiectividan13@mail. com

**რედაქტორისგან**

ჟურნალ "საქართველოს ბიბლიოთეკის" №1(74)2019-ში გამოქვეყნებული მ. ტოგონიძის "მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის ასპარეზზე" სტატიის ბოლოს გვ.19-22 მითითებული ლიტერატურის ჩამონათვალში დარღვეულია ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სტანდარტი.

**წიგნის ბუდე**

ლოლა სანაია



**თენგო მოდუ**

**წიგნის ბუდეები და მათი უზადო ოსტატი**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი, პროფესიით მხატვარი, თენგო მოდუ გამოირჩევა თავისი საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძობით, პროფესიონალიზმითა და ხედვის განსაკუთრებული უნარით. ეს უკანასკნელი კი თვალშისაცემია და ჩანს თითოეულ ნამუშევარში.

თენგო მოდუ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით, საქართველოს ქალაქებისა და დაბების სკვერებისა თუ ბაღებისათვის მინი სამკითხველოებს ქმნის ამა თუ იმ კუთხისთვის დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით. მისი არცერთი ქმნილება არ ჰგავს ერთმანეთს. ძალზედ შრომატევადი საქმეა, თუმცა თენგო ბედნიერი ადამი-

ანია, როცა ხედავს რომ მისი თითოეული ნამუშევარი ახარებს ბავშვებსა და დიდებს და ისტორიას რჩება სამუდამოდ. მის ყოველ ქმნილებას აღფრთოვანებაში მოჰყავს მნახველი და უჩნდებათ ერთი და იგივე კითხვა, თუ ვინ არის ის ადამიანი, ვინც ასე უზადოდ ქმნის ხელოვნების ამ ნიმუშებს.

თენგოს არ უყვარს თავის გამოჩენა და იმედს გამოვთქვამთ, რომ ის არ განაწყენდება ამ პატარა სტატიის ხილვაზე.

სიამაყის გრძობით ვივსებით, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას თენგოს სახით ასეთი ერთგული და პროფესიონალი თანამშრომელი ჰყავს.



**მარო მაყაშვილის ბაღი, თბილისი**



**რაგბის ბურთის წიგნის ბუდე**



**სკივრი სამკითხველო ეთნოგრაფიულ მუზეუმში**



**ბათუმის ბოტანიკური ბაღი**



**წიგნის ბუდე კოჯორში**



**წიგნის ბუდე ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში**





1 ივნისი - ბავშვთა დაცვის  
საერთაშორისო დღე



ნიგნის ბუდე ბათუმში



ნიგნის ბუდე ანაკლიაში



ნიგნის ბუდე საწვრთნელ ბაზა  
შევიარდნაზე



ნიგნის ბუდე ოზურგეთში



ნიგნის ბუდე ორსანთიაში



ნიგნის ბუდე საშეგრელოში



ნიგნის ბუდე ოლა ზუგდიდში

